N 2 2021

მასწავლებელი

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„სხვა გაკვეთილების ცხრილი“



მასწავლებელი

№2(70), 2021

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მანანა რატიანი, მაია მენაბდე,
მაია ფირჩხაძე,
მაია ჯალიაშვილი,
მანანა სეხნიაშვილი, მარიამ გოდუაძე,
ქეთევან ოსიაშვილი,
ქეთო ნინიძე, თეონა ბექიშვილი,
თამთა დოლიძე,
თემურ სუყაშვილი, თამარ მურუსიძე,
გიტა თვალაბეიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

რთული პროფესიაა მასწავლებლობა. თითქოს არდადეგებით უხვი, სინამდვილეში უშვებულებო, თანაც რეგულაციებით სავსე, ხშირად ცვალებადი მოთხოვნებით, მაღალი მოლოდინით და განუზომლად დიდი პასუხისმგებლობით.

არაერთი კვლევა ეძღვნება ბორნ-აუტს – მასწავლებელთა პროფესიულ გადაწვას.

„არ ვიცი, როდის დადგება ჩვენს ქვეყანაში ის დრო, როცა მასწავლებლებს დასვენების საშუალება ექნებათ, როცა დასვენების კულტურა... ჩვენში განხილვის საგანი გახდება, როცა მშობლები შვილებს ბავშვობას კი არ დავუმახინჯებთ ყველაფრის ერთბაშად თავში ჩატენით, არამედ ზომიერად, დინჯად და ზედმეტი დატვირთვის გარეშე მივიყვანთ ცოდნამდე ისე, რომ სწავლა არ შევაძულოთ. მანამდე კი მინდა უბრალოდ ვთხოვო მასწავლებლებს: ნუ დააყენებთ ფეხზე მოსწავლეებს გაკვეთილის მოყოლისას, თუ მათ ეს არ უნდათ – ცხოვრება ისედაც აიძულებს, თქვენსავით მუდამ ფეხზე იდგნენ“, – დაწერა ერთ-ერთ წერილში ჩვენი ჟურნალის ავტორმა გურამ მეგრელიშვილმა.

მასწავლებლების გამოხმაურება არცთუ ერთგვაროვანი აღმოჩნდა.

„ვითომ რატომ არ დავაყენოთ? მაშინ მე რატომ უნდა ვიდგე გაკვეთილზე სულ ფეხზე? ბევრ უფლებას ვაძლევთ მოსწავლეებს და ამიტომაა მასწავლებელი სულ თითის საშვერი... 90% ამ პრივილეგიებს არამიზნობრივად იყენებს... თუ ისტ-ი იცის, რაღად უნდა სხვა საგანი, ჰა, ინტერნეტი და ჰა, მოედანი. ცვლილება ბავშვის გატუტუცებას არ ნიშნავს. ისწავლოს, არ იყოს უზრდელი და რაც გვქონდა წესები სკოლაში, დაიცვას. რაც უფრო გაუმარტივებ პირობებს, მით უფრო მეტს მოგთხოვს და გათავხედდება, ბატონო! სკოლაში უნდა იყოს ნორმალური წესების ჩარჩო და არა გადამეტებული“.

„ანუ რა გამოდის: მოსწავლე არანაირად არ უნდა შეწუხდეს, კომფორტის ზონიდან არ უნდა გამოვიდეს... თუ უნდა, ადგება, თუ უნდა, წამოწვება, თუ მოისურვებს, საკლასო ოთახიდანაც გავა და მოგაძახებს, დღეს შენს ხასიათზე არ ვარო... საით მივდივართ, თუ ხვდებით?! მივდივართ კი არა მივექანებით!“

ვაღიაროთ, რომ მასწავლებლებს ერთი ცუდი რამ გვჭირს: „მე“-თი ვიწყებთ და „მე“-თი ვამთავრებთ. ალბათ ასე დაგვამახსოვრდა ჩვენი აღმზრდელებისგან და ასე დაგვიმახსოვრებენ ჩვენი აღზრდილებიც.

„ხშირად მეფიქრება: რატომ? სწორედ ეს არის მთავარი კითხვა, რომლის დასმაც კრიტიკული აზროვნების ნიშანია, კრიტიკული აზროვნება კი უნარია, რომელიც დაგვეხმარება, თავი გავართვათ XXI საუკუნის მოთხოვნებს“, – ამბობდა დევიდ ქლუსთერი.

ვერავინ იფიქრებს კრიტიკულად ჩვენს მაგივრად, ეს პიროვნული საზრუნავია. მაშასადამე, აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ინდივიდუალურია.

უნდა მოვისმინოთ განსხვავებული აზრი. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რას და როგორ ფიქრობენ სხვები. წაკითხულის კრიტიკულად გააზრებაც შევძლოთ.

თუ ვინმეს არ ვეთანხმებით, ირონიას ნუ მოვიმარჯვებთ. უმჯობესია, ერთად გავაანალიზოთ შეცდომის მიზეზები. შეცდომა ხშირად სწორი პასუხის ჩანასახსაც შეიცავს.

სხვებსაც მივცეთ შესაძლებლობა, დაგვისვან კითხვები, ნუ შეგვეშინდება პასუხის უქონლობის. ვაღიაროთ, რომ რაღაც არ ვიცით და ვეცადოთ, მათთან ერთად ვიპოვოთ პასუხი.

კრიტიკული აზროვნების სწავლება პასუხისმგებლობის განვითარებასაც გულისხმობს. როცა ამას გავიაზრებთ, „დამნაშავეს“ გარეთ აღარ დავუწყებთ ძებნას და საკუთარ თავს ჩავუღრმავდებით.

და რაც მთავარია, მოსწავლე უნდა გვიყვარდეს და ის საქმიანობაც, რომელსაც თავს მივუძღვნით.

მოსაზრება

მანანა რატიანი

4 | **პანდემიით გამოკვეთილი საჭიროებები – არიან თუ არა მოსწავლეები მედიაწიგნიერნი და ინფორმირებულნი**

მოსწავლემ მეტი ინფორმაცია უნდა მიიღოს ამ თემაზე, რათა დეზინფორმაციის მსხვერპლი არ გახდეს. სკოლას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრზე, ამიტომ ამ თემის განხილვა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

მაია მენაბდე

8 | **სტანდარტის შიში და ცოტა რამ ჩემი გამოცდილებიდან**

მაშინ, როცა უკვე განსაზღვრულია ოცდამეერთე საუკუნის ადამიანის აუცილებელი უნარები (სრულიად განსხვავებული წინა საუკუნისაგან), როცა სწავლა-სწავლების პროცესში უდიდეს ადგილს იკავებს მედიასაშუალებები და ტექნოლოგიები, არ გადაიხედოს პროგრამა – მე წარმოუდგენელი მგონია.

მაია ჯალიაშვილი

16 | **ჯადოსნური ფორმულები**

მასწავლებელმა შეიძლება დასვას კითხვა: როგორ მოსწავლეს ამზადებს? ისეთს, რომელიც არსებულ რეცეპტებს იყენებს თუ ისეთს, რომელიც ახალს იგონებს? შესაბამისად, საკუთარ თავსაც უნდა ჰკითხოს: რა ტიპის პედაგოგია? პირველი თუ მეორე? რაც თვითონ არ გაქვს, რა თქმა უნდა, იმას სხვას ვერ გადასცემ, ამიტომ შემოქმედებითობის განვითარებაზე პედაგოგმა გამუდმებით უნდა იფიქროს.

მოსაზრება

მაია ფირჩხაძე

19 | **მეტასაგნობრივი დავალებები ეფექტიანი სწავლებისთვის**

ევრისტიკული მეთოდის მოდელირება დიალოგის ფორმით ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობისთვის, ხელს უწყობს თვითკონტროლს და უნარების განვითარებას, ცოდნის აქტუალიზაციას. მუშაობისას მოსწავლე და მასწავლებელი თანაბრად ერთვებიან სასწავლო პროცესში და სწორი კომუნიკაციური კავშირის გზით საინტერესო შედეგამდე მიდიან.

მანანა სეხნიაშვილი

22 | **კომპლექსური დავალებები დისტანციური სწავლებისას**

უფრო და უფრო აქტუალური ხდება სწავლების სტრატეგიები და მეთოდები, რომლებიც ქმნის ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების, საჭირო ინფორმაციის შეგროვების, ჰიპოთეზების წამოყენების და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

მარიამ გოდუაძე

44 | **როცა კლასში რთული ქცევის ბავშვია**

როცა კლასში რთული ქცევის ბავშვია, სხვა მოსწავლეთა ქცევის მართვაც რთულდება და მათ მიერ შედგენილი, კედელზე გამოკრული წესები საკმარისი აღარ არის. მაგრამ ვიდრე ქცევის რეგულირებაზე დავიწყებდეთ ფიქრს, უნდა შეგვეძლოს რთული ქცევის იდენტიფიცირება და იმის ზუსტად ამოცნობა, როდის შეიძლება მივიჩნიოთ ბავშვის ქცევა პრობლემურად.

ქეთო ნინიძე

53 | **საშლელები – რეპრესირებული ტკივილების მეტაფორა**

როგორ შევეცადეთ, შეგვეცვალა სამყარო უკეთესობისკენ ჩვენი მოსწავლეების, შვილების, მოზარდი მოქალაქეებისთვის? რით უპასუხეს სახელმწიფომ, მედიამ, ეკლესიამ და, რა თქმა უნდა, სკოლამ უშუალოდ მის წიაღში ამოფრქვეულ უბედურებებს? რა გამოსავალი, რომელი ახალი მიდგომა, ინსტრუმენტი, პლატფორმა შევთავაზეთ მოზარდებს, რათა მათ ერთმანეთის მიღება, დანდობა და თანამშრომლობა ესწავლათ?



სასწავლო რესურსი

თეონა ბექიშვილი

37 | საფრთხეები და პრობლემები მხატვრულ ლიტერატურაში აღწერილი სექსუალური ძალადობის სცენების სწავლებისას

თავისთავად ცხადია, ავტორი თავისუფალია და როგორც უნდა, ისე დაწერს, მაგრამ, ვფიქრობ, მასწავლებლებს ეთიკური კანონი გვავალდებულებს, შესაბამისი კომენტარი გავაკეთოთ იქ, სადაც საფრთხეა ახალგაზრდების მსოფლმხედველობის არასწორი ჩამოყალიბებისა.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

25 | შეკითხვები – სწავლების და საუბრის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

შეკითხვა საუბრის ძირითადი ელემენტი და თანამოსაუბრისგან ინფორმაციის მიღების მთავარი საშუალებაა. საუბრის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად სწორად იქნება შერჩეული, ფორმულირებული და გამოყენებული შეკითხვები.

რესურსი

თამთა დოლიძე

31 | რამდენიმე გზა წერის სწავლებისთვის

საგანმანათლებლო სივრცეში წერის სწავლებასთან დაკავშირებით საკმაო გამოცდილება დაგროვდა. წერითი აზროვნების განვითარების არაერთი ეფექტური გზა გვასწავლეს და გამოვცადეთ. მათგან გამოვყოფდი ერთ-ერთ საკმაოდ საინტერესო და შემოქმედებით მეთოდს, რომელსაც ხშირად ვიყენებ სწავლების პროცესში.

გიტა თვალაბეიშვილი

40 | ჩვენ შეგვიძლია

დღეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მშობლის წინაშე არის ოჯახში გენდერული სტერეოტიპებისგან დაცლილი აღმზრდელობითი სივრცე, რათა გოგონებსა და ბიჭებს ერთნაირად მიეცეთ განვითარების შესაძლებლობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს გამოწვევა ეხება არა მხოლოდ ოჯახს, არამედ სასკოლო საზოგადოებასაც, რადგან სკოლა არის ის ერთ-ერთი ინსტიტუცია, სადაც საფუძველშივე ხელი უნდა შეეწყოს ბავშვის სამოქალაქო ცნობიერების სწორად ფორმირებას.

თამარ მურუსიძე

48 | ინტერნეტმაღაზია – კომპლექსური დავალების შეფასება სოლოტაქსონომიით

შეფასება მნიშვნელოვანია სწავლის მართვისთვის და აუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს. სოლოტაქსონომიით შეფასება კი შესანიშნავი შესაძლებლობაა მოსწავლეთა შედეგების დასადგენად და გასაუმჯობესებლად.

გამოცდილება

თემურ სუყაშვილი

34 | სავარჯიშოები ღირებულებების აღმოჩენისა და განმტკიცებისთვის

სასკოლო გარემოში ღირებულებების ჩამოყალიბების მნიშვნელობას ხაზს უსვამს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის.

მანანა რატიანი

პანდემიით გამოკვეთილი საჭიროებები – არიან თუ არა მოსწავლეები მედიაწიგნიერნი და ინფორმირებულნი

მოსწავლემ მეტი ინფორმაცია უნდა მიიღოს ამ თემაზე, რათა დეზინფორმაციის მსხვერპლი არ გახდეს. სკოლას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრზე, ამიტომ ამ თემის განხილვა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

პანდემიის პირობებში გატარებულმა ერთმა წელიწადმა მსოფლიო მრავალმხრივ შეცვალა. შეგვცვალა ჩვენც, რიგითი მოქალაქეები, რომლებსაც ერთიანად დაგვატყდა თავს ინფორმაცია, ვარაუდები, საეჭვო კვლევები და მათი შედეგები, ხშირად – ურთიერთსაპირისპირო. დაგვჭირდა, უფრო მეტად ჩავღრმავებოდით თემატიკას, რომელიც მხოლოდ სკოლაში თუ გვქონდა ნასწავლი, რომლითაც აქამდე მხოლოდ სპეციალისტები ინტერესდებოდნენ და პროფესიულ წრეში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე განიხილავდნენ, მათთვის განკუთვნილ სამეცნიერო ჟურნალებში აქვეყნებდნენ კვლევათა შედეგებს.

პანდემია ცხოვრების ყველა სფეროზე აისახა, ეკონომიკური ზარალის მასშტაბი განუზომლად დიდია. ექსპერტები მსჯელობენ, მინიმუმამდე როგორ დაიყვანონ ზიანი, რომელიც ქვეყნებს შეზღუდვებმა მოუტანა.

ვიდრე განათლების, ეკონომიკისა თუ ნებისმიერი სხვა სფეროს სრულფასოვან ამოქმედებაზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია, პანდემიის შეჩერებას ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში შევუწყოთ ხელი, დავიცვათ სოციალური დისტანცირების, პირბადის ტარების წესები, შევასრულოთ რეკომენდაციები ხელებისა და ზედაპირების დამუშავების თაობაზე. მეცნიერებმა ერთ წელიწადში მოახერხეს ვაქცინის შექმნა. თუ ვაქცინაცია მოსახლეობის ფართო ფენებს მოიცავს, მალე შევძლებთ ცხოვრების ნორმალურ რიტმში დაბრუნებას.

ამ სტატიაში საინტერესო ჭრილში განვიხილავთ იმუნიზაციის მნიშვნელობას, მის კავშირს სიცოცხლის ხანგრძლივობასთან. შემოგთავაზებთ საინტერესო სტატისტიკას, რომელიც დაგეხმარებათ, მოსწავლეებთან ღიად და არგუმენტირებულად იმსჯელოთ აღნიშნულ თემაზე, ისინიც ჩართოთ საინტერესო კვლევაში, განუვითაროთ კრიტიკული აზროვნება, კვლევითი უნარები და, რაც მთავარია, დაეხმაროთ მათ, მედიაწიგნიერები გახდნენ. ანტისამეცნიერო განწყობები მძლავრად უტევს საყოველთაო ჯანდაცვას და პანდემიის დასასრულს გვაშორებს.

მოდი, დავიწყოთ...

ვაქცინაციის მნიშვნელობა

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში მსოფლიომ ათასზე მეტი ეპიდემია და პანდემია გადაიტანა (ზიკა, სარსი, ქოლერა, მერსი-კოვი, ებოლა, აივ/შიდსი). მოსახლეობის გაზრდილი მობილობის გამო ინფექციური დაავადებები სწრაფად ვრცელდებოდა. აფეთქებებს მოჰყვა დიდი ადამიანური მსხვერპლი, სოციალური და ეკონომიკური უთანაბრობის გამწვავება. უზარმაზარი ზარალი განიცადა ეკონომიკამ.

კრიზისის დროს მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები კოორდინირებულად მუშაობენ, ერთიანდებიან და ცდილობენ, მაქსიმალურად მოკლე დროში დაეხმარონ ქვეყანას, სადაც ეპიდემიამ იფეთქა. უმეტესად მისი შეკავება დიდი ძალისხმევით ხერხდება. პარალელურად მეცნიერები ცდილობენ ინფექციის დამარცხებას (მხოლოდ ებოლას შესახებ დაიწერა 40-მდე კვლევა, შემუშავდა საინტერესო რეკომენდაციები). მაგრამ, როგორც კი ინფექციას ვიმორჩილებთ, ფოკუსი იცვლება, თემისადმი ინტერესი იკარგება და მომდევნო შემთხვევამდე უზრუნველად ვაგრძელებთ ცხოვრებას. არადა, მომდევნო ეპიდემია თუ პანდემია მხოლოდ დროის საკითხია. საჭიროა, ყველა ასეთი შემთხვევა განვიხილოთ, ვისწავლოთ მათგან და მომავალს უფრო მომზადებულები შევხვდეთ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე იმუნიზაციის შესახებ არაერთ საინტერესო ინფორმაციას ამოიკითხავთ. სწორედ ვაქცინაცია მიიჩნევა ინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველ ყველაზე ეფექტურ იარაღად. ვაქცინა იმუნურ სისტემას მომავალი საფრთხისთვის წვრთნის. ის დახოცილი ან მოდიფიცირებული მიკრობებისგან, მათი ნაწილებისგან ან დნმ-სგან შედგება. ვაქცინა ორგანიზმს „ატყუებს" – აფიქრებინებს, რომ ინფექცია შეხვდა. იმუნური სისტემა თავს ესხმის მოჩვენებით მტერს და მასთან გამკლავებას სწავლობს. ამ გზით ადამიანი ინფექციის მიმართ იმუნიტეტს გამოიმუშავებს - თუ მას მომავალშიც შეეჯახა, სათანადოდ შეიარაღებული დახვდება.

მედიცინაში ეს გარღვევა 1796 წელს მოხდა. პირველი ვაქცინაცია რვა წლის ბიჭს ჩაუტარდა. ინგლისელმა ექიმმა ედუარდ ჯენერმა აცრისთვის გამოიყენა საქონლის ყვავილით [vaccinia virus, ყვავილვაქცინის ვირუსი] დაავადებული ახალგაზრდა ქალის მასალა. ასე დაედო დასაბამი თანამედროვე ვაქცინაციას. სიტყვა „ვაქცინა" კი ლათინური სიტყვისგან „vacca" („ძროხა") მომდინარეობს.

ვაქცინაციის ისტორიას XVIII საუკუნის მიწურულიდან, ჯენერის მეთოდის გამოცდის დღიდან ითვლიან. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ყვავილი მხოლოდ 1980 წელს მიიჩნია აღმოფხვრილად, რაც გლობალური კამპანიის შედეგია. მხოლოდ მეოცე საუკუნეში ამ დაავადებას 300 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა.

კაცობრიობის ისტორიის ამ და სხვა ღირსშესანიშნავ ეპიზოდებს შეგიძლიათ გაეცნოთ National Geographic-ის გვერდზე, რიჩარდ კონიფის სტატიაში „როგორ გვცვლის პანდემიები" (აგვისტო, 2020).

საუკუნეებია, კაცობრიობა იმუნიზაციის გზით ებრძვის ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ყვავილი, პოლიომიელიტი, წითელა, ცოფი, შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი, დიფთერია, ტეტანუსი, ჯილეხი... საყოველთაო ვაქცინაციის წყალობით ყოველწლიურად სამი მილიონი ბავშვის გადარჩენა ხერხდება. აქვე გვეუბნებიან, რომ იმუნიზაცია აცრილებთან ერთად იცავს აუცრელებსაც, რადგან აცრილთა სიმრავლე დაავადების გავრცელებას აფერხებს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მასობრივი ვაქცინაცია.

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა

სიცოცხლის ხანგრძლივობა უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად, შეგვიძლია შევადაროთ, როგორ შეიცვალა შერჩეულ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა.

ქვეყანა	წელი			
	1800	1900	2000	2020
სამხრეთი კორეა	25,8	25,9	76,3	83,4
ავღანეთი	28,2	29,4	54,6	64,4
ირანი	25	26,3	73,6	78
საქართველო	31,9	33,4	73,1	73,3
ჩინეთი	32	32	72,1	77,7
იტალია	29,7	43,5	79,6	83,6
გაერთიანებული სამეფო	38,6	46,3	78	81,2
ბრაზილია	32	32,3	71,7	76,1

რატომ შემცირდა ასე მკვეთრად სიკვდილიანობა, ბევრი რამით შეიძლება აიხსნას, მაგრამ მთავარი მაინც საბაზისო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამკვიდრება და მედიცინის მიღწევებია. შეიძლება დავასახელოთ მათი უკეთესი ხელმისაწვდომობაც. იმუნიზაციამ მოიცვა მთელი მსოფლიო. ის განსაკუთრებით ხელმისაწვდომი გახადა საერთაშორისო ორგანიზაციების ჯანდაცვის პროგრამებმა. სწორედ ამ გზით შემცირდა მანამდე სასიკვდილო დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა და გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა (მ. რატიანი, „მოსახლეობის ზრდის თავისებურებები და დემოგრაფიული გადასვლის მოდელი").

უნდა ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა სტაბილურობით გამოირჩეოდა, ზრდა უმნიშვნელო იყო, მაგრამ უკანასკნელ საუკუნეებში საგრძნობლად დაჩქარდა, რამაც XX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ სახიფათო კონტურები შეიძინა. ისევ რიცხვებს დავუბრუნდეთ: კაცობრიობის მთელი ისტორია აღმოჩნდა საჭირო, რომ მსოფლიოს მოსახლეობას 1800 წლისთვის მილიარდიანი ნიშნულისთვის მიეღწია, 1930 წელს კი დედამიწას უკვე ორი მილიარდი მკვიდრი ჰყავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 130 წელი საკმარისი აღმოჩნდა მოსახლეობის 100%-იანი ზრდისთვის. ამის შემდეგ ტემპმა უფრო მეტად მოიმატა და მხოლოდ 30 წელიწადში მოსახლეობას კიდევ მილიარდი

შეემატა. მომდევნო მატებას მხოლოდ 15 წელი დასჭირდა, დღეს კი 12-13 წელია საკმარისი, რომ მოსახლეობამ მილიარდიანი ზრდა აჩვენოს.

ვაქცინების შემუშავების მეთოდები

თანამედროვე მედიცინაში განსხვავებული მეთოდებით შემუშავებული ვაქცინები გამოიყენება. ვაქცინების შემუშავების მეთოდები და ტიპები გასაგებადაა ახსნილი „ავერსის“ ვებგვერდზე.

აღნიშნული მეთოდებიდან ოთხი კოვიდის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს. მათ შორისაა ტრადიციული მეთოდი, პროტეინული ერთეულების შეყვანა, ვექტორული ვაქცინა და ინფორმაციული, ანუ მესინჯერ-რნმ ვაქცინები.

ქვემოთ გთავაზობთ თითოეული მათგანის მოკლე აღწერას:

1. **ტრადიციული მეთოდი** – დასუსტებული/ინაქტივირებული ვირუსის გამოყენება იმუნური პასუხის გამოსამუშავებლად ნაცადი და ტრადიციული მეთოდია, თუმცა განსაკუთრებით მაღალი ეფექტურობა შესაძლოა ვერ იქნეს მიღწეული. ამ მეთოდს უმთავრესად ჩინური კომპანიები იყენებენ.
2. **პროტეინული ერთეულების** – ვირუსის რეკომბინანტული ცილის (სპაიკ-პროტეინის) ნაწილის შეყვანა. გამოიყენება ნოვავაქსის და სანოფი-გლაქსოს ვაქცინებში. აღნიშნული კვლევები გახანგრძლივდა და 2021 წელს დასრულდება. სანოფი-გსკ-ს ვაქცინის შედეგებსაც 2021 წლის ბოლოსთვის შევიტყობთ – ასაკოვან პირებთან ეფექტი დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა და კომპანიებმა კვლევების გაგრძელება გადაწყვიტეს.
3. **ვექტორული ვაქცინა** – კორონავირუსის გენის – ე.წ. წვეტის ცილის (spike protein) გენის მიბმა რომელიმე ვექტორთან (გადამტანთან) – უვნებელ ვირუსთან, მაგალითად, რეკომბინანტულ ადენოვირუსთან. გადამზიდავი ვირუსი უზრუნველყოფს კორონავირუსის სპაიკ ცილის მიტანას და იმუნური სისტემა იწყებს ლიმფოციტებისა და ანტისხეულების გამომუშავებას (ოქსფორდი-ასტრაზენეკა, ჯონსონი და ჯონსონი, რუსეთის გამალეას ინსტიტუტი და ჩინური კანსინო).
4. **ინფორმაციული, ანუ მესენჯერ-რნმ (მ-რნმ) ვაქცინები.** ამ მეთოდით დამზადებულია პფაიზერ-ბიონტექის და მოდერნას ვაქცინები. ამ დროს ორგანიზმში შეჰყავთ არა ვირუსი ან მისი ცილის (სპაიკ პროტეინის) ფრაგმენტი, არამედ მ-რნმ, რომელიც სპაიკ-პროტეინის ინფორმაციას შეიცავს. შედეგად ორგანიზმი თვითონვე იწყებს სპაიკ-პროტეინის გამომუშავებას, რომელიც იმუნურ პასუხს აღძრავს. აღნიშნული ტექნოლოგია ყველაზე სწრაფია, თუმცა ამ მეთოდით ჯერ არცერთი ვაქცინა არ შექმნილა.

შემოგთავაზებთ საინტერესო სტატისტიკას, რომელიც დაგეხმარებათ, მოსწავლეებთან ღიად და არგუმენტირებულად იმსჯელოთ აღნიშნულ თემაზე, ისინიც ჩართოთ საინტერესო კვლევაში, განუვითაროთ კრიტიკული აზროვნება, კვლევითი უნარები და, რაც მთავარია, დაეხმაროთ მათ, მედიაწიგნიერები გახდნენ. ანტისამეცნიერო განწყობები მძლავრად უტევს საყოველთაო ჯანდაცვას და პანდემიის დასასრულს გვაშორებს.

ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა

ვაქცინაცია საზოგადოებრივ სიკეთეთაგანია, რადგან ის უკლებლივ ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, აღმსარებლობისა, სქესისა, ასაკისა, შემოსავლისა, აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს საერთაშორისოდ დადგენილი აუცილებელი ვაქცინები. განვითარებული ქვეყნები ამას თავად უზრუნველყოფენ, ხოლო იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც საკმარისი რესურსი არ გააჩნიათ, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია და UNICEF ეხმარებიან. იმუნიზაციის პროცესთან დაკავშირებული კოორდინაცია თუ გართულდა, მართვის სადავეები საერთაშორისო სააგენტოების ხელში გადადის. გავის ალიანსი ამის კარგი მაგალითია. ეს არის დიდი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის მიზანია ვაქცინაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით – განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისთვის.

წარსული პანდემიების დროს მიღებული გამოცდილება აჩვენებს, რომ დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები, როგორც წესი, ვაქცინებს მდიდარ ქვეყნებზე მეტხანს ელოდებიან. ეფექტური ვაქცინების ხელმისაწვდომობის შემთხვევაშიც კი დაბალშემოსავლიანი ქვეყნების დაუცველ მოქალაქეებს ნაკლებად აქვთ ვაქცინებზე წვდომა. ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და კონკურენციის გამო ვაქცინების არასაკმარისი მიწოდების გასანეიტრალებლად შეიქმნა კოვაქსის ინიციატივა, რომელსაც 186 ქვეყანა შეუერთდა. ის ვაქცინების სამართლიან განაწილებას უზრუნველყოფს. ამიტომ არის, რომ კოვიდის ვაქცინაცია დღეს ქვეყნების უმრავლესობაში დაწყებულია.

დეზინფორმაცია ვაქცინაციის შესახებ

დეზინფორმაცია საფრთხეს უქმნის ქვეყნის განვითარებას. ის ეჭვქვეშ აყენებს ძირითად მიღწევებს, ძლიერ ინსტიტუტებს, იწვევს საზოგადოების დაპირისპირებას, საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს, დემოკრატიულ ღირებულებებს, ჯანდაცვას. ამიტომ მნიშვნელოვანია, თითოეულ მოსწავლეს შეეძლოს კრიტიკულად აზროვნება, შესწევდეს უნარი, გადაამოწმოს ინფორმაციის წყაროები, მოვლენები თუ ფაქტები, ამოიცნოს ყალბი ინფორმაცია, ეჭვქვეშ დააყენოს მის გამავრცელებელთა მოტივები, შეიარაღდეს არგუმენტებით, არ მოექცეს გავლენის ქვეშ და დისკუსიის დროს დამაჯერებელი იყოს.

პანდემიის გავრცელებამდე თავდასხმის ობიექტი ხშირად იყო ლუგარის ცენტრი, რომლის მნიშვნელობაზეც დღეს უკვე აღარავინ დავობს, რადგან მან დიდი როლი შეასრულა პანდემიასთან ბრძოლის ყველა ეტაპზე.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ამოიცანი დეზინფორმაცია“ ფარგლებში მოამზადა მედიამონიტორინგის ანგარიში, რომელიც კარგად ხსნის პანდემიის დროს გავრცელებულ არაერთ ყალბ ინფორმაციას, მათ შორის -ვაქცინაციასთან დაკავშირებულსაც.

„მითების დეტექტორი“ და „ფაქტმეტრი“ ორი დიდი ვებგვერდია, რომლებიც მოსახლეობას ეხმარება, არ მოექცნენ გადაუმოწმებელი, ყალბი ინფორმაციის გავლენის ქვეშ. აქვე წაიკითხავთ არაერთი მითის შესახებ, იპოვით დამაჯერებელ არგუმენტებს მათ წინააღმდეგ. მოსწავლეებსაც შეუძლიათ, გახმაურებულ თემებთან დაკავშირებული ინფორმაცია ამ გვერდების მეშვეობით გადაამოწმონ. ბოლო ხანს აქ აქტიურად განიხილება პანდემიისა და ვაქცინაციის საკითხები.

ასევე საინტერესოა ანტივაქსერული მოძრაობისა და პროპაგანდის შესახებ თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მომზადებული სტატია „ანტივაქსერული მოძრაობა და რუსული პროპაგანდა“, რომელშიც მოყვანილია საინტერესო ფაქტები საზოგადოდ ვაქცინაციაზე და ბოლო ხანს ანტივაქსერული მოძრაობების წახალისებაზე.

ჩვენს მოსწავლეებსაც შეუძლიათ მსგავსი კვლევის ჩატარება, პანდემიის წარმოშობაზე, გავრცელებაზე, ვაქცინაციაზე გავრცელებული მითების მოძიება. შეუძლიათ, შეისწავლონ ფაქტები, მოუსმინონ ექიმებს, გაეცნონ სანდო წყაროებს, გაიგონ, რამდენად მავნებლურია მსგავსი ქმედებები, ვის და რაში შეიძლება სჭირდებოდეს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა. ამის შემდეგ კი შეიძლება გაიმართოს დისკუსია, მომზადდეს საინფორმაციო კამპანია მითების წინააღმდეგ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კოვიდ 19-ით გამოწვეულ კრიზისს, სამედიცინოსთან ერთად, აქვს გრძელვადიანი გლობალური ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური შედეგები. პრობლემების მოგვარების უმოკლესი გზა ფართომასშტაბიანი ვაქცინაციაა. მოსწავლემ მეტი ინფორმაცია უნდა მიიღოს ამ თემაზე, რათა დეზინფორმაციის მსხვერპლი არ გახდეს. სკოლას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრზე, ამიტომ ამ თემის განხილვა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

მაია მენაბდე

სტანდარტის შიში და ცოტა რამ ჩემი გამოცდილებიდან

უკვე ძალიან ბევრი დღეა, ამ საკითხზე ვფიქრობ. მხოლოდ ვფიქრობ არა - ვდარდობ კიდეც. მერე ისე აეწყო, კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა. იქ ამ თემას შევეხე. ინტერვიუ მთხოვეს. ვერც იქ ავუარე ამ პრობლემას გვერდი... მალე საშუალო საფეხურის სტანდარტი დაიდება. შეიცვლება თუ არა მასში რამე? თაობები იცვლება, იცვლება მათი ინტერესები, მოლოდინი, მზაობა, განწყობა... სწავლებისადმი მიდგომა და დამოკიდებულებაც მკვეთრად შეიცვალა. ნუთუ არ დადგა პროგრამის გადახედვის დრო? კიდევ დიდხანს ვიტრიალებთ მოჯადოებულ წრეზე?

ეს არ არის მხოლოდ ჩემი სადარდებელი. ჩემ გარშემო ბევრი ფილოლოგი, რომლებიც ქართულ ლიტერატურას საშუალო საფეხურზე ასწავლიან, ჩივის, რომ ძალიან ძნელია, ამ მოცულობის, ქრონოლოგიურად დალაგებული და ამის წყალობით ერთად თავმოყრილი ურთულესი ტექსტებით სიღრმისეულად ასწავლო ქართული ლიტერატურა თანამედროვე ბავშვს, ძალდაუტანებლად აღუძრა ინტერესი და, რაც მთავარია, შეაყვარო.

მაშინ, როცა უკვე განსაზღვრულია ოცდამეერთე საუკუნის ადამიანის აუცილებელი უნარები (სრულიად განსხვავებული წინა საუკუნისაგან), როცა სწავლა-სწავლების პროცესში უდიდეს ადგილს იკავებს მედიასაშუალებები და ტექნოლოგიები, არ გადაიხედოს პროგრამა – მე წარმოუდგენელი მგონია.

ამ გადახედვაში, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ჩვენი კლასიკური ლიტერატურის უკანა პლანზე გადაწევას, გამარტივებული, ადაპტირებულ-დაღეჭილი ტექსტების მიწოდებას... გარდა იმ თემებისა, რომლებიც მარადიულია და ყოველ საუკუნეში თავისებურად იჩენს თავს, ძველი ქართულის სწავლების ხიბლი ისიც მგონია, ოცდამეერთე საუკუნის ბავშვს რომ შეუძლია, მეხუთე საუკუნის ტექსტი გაიგოს, რუსთაველის ენის სილამაზე და სირთულე ერთდროულად აღიქვას... ძველ სიტყვებში დამალული ერის სულის, ხასიათის ამოკითხვა შეძლოს, მათი დაძველებისა თუ სახეცვლილების მიზეზებზე დაფიქრდეს... ამასთან, მიმაჩნია, რომ სრულიად განსხვავებული ესთეტიკის კლასიკური ტექსტები ბავშვს კომპეტენტურმა ადამიანმა (ამ შემთხვევაში – მასწავლებელმა) უნდა მიაწოდოს, რადგან მან იცის, რაზე და როგორ დასვას აქცენტი, როგორ გაუადვილოს გაგება და გათავისება...

ოღონდ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს მოზომილად, თანამედროვე ლიტერატურის კონტექსტის გათვალისწინებით, რათა ბავშვმა რაც შეიძლება მეტი პარალელი გაავლოს, ადვილად დაუკავშიროს თავის ყოფას, ინტერესებს და არ გაუჩნდეს განცდა, რომ ქართულის გაკვეთილზე სხვა საუკუნეში ცხოვრობს უცხო პრობლემებით და გარეთ სხვა საუკუნეა... მეტყვით, რომ ამის გაკეთებას მასწავლებელს არავინ უშლის. მართალია, როგორც რიგითი მასწავლებელი, მეც ვცდილობ, მიუხედავად გადატვირთული პროგრამისა, არასაპროგრამო თანამედროვე ტექსტები შევაშველო ბავშვებს. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ სწავლისას ყოველთვის სიამოვნებით კითხულობენ თანამედროვე მწერლის **ირაკლი ქასრაშვილის „მონას“**, რომელიც საოცარ თანაგანცდას უჩენს მკითხველს მეორეხარისხოვანი პერსონაჟების მიმართ. როცა „კაცია-ადამიანს“ სწავლობენ, აუცილებლად ვაკითხებ აკა მორჩილაძის პოსტმოდერნულ მოთხრობას **„მოგზაურობა კახეთში 1855“**, რომელიც სულ სხვაგვარად დანახულ პერსონაჟს აცნობს მკითხველს და აფიქრებს, რა მნიშვნელობა აქვს ეპოქას, რომელშიც ნაწარმოები იქმნება. ჩემი ამოცანაა, დავიხმარო მათთვის

ასე ახლობელი თანამედროვე ტექსტი და დავანახო, რამდენად ცოცხალი და აქტუალურია კლასიკური ლიტერატურა. მაგრამ ეს ყველაფერი ხდება ბავშვის უდიდესი დატვირთვის ხარჯზე.

თუ დაწყებით და მეტ-ნაკლებად საბაზო საფეხურზეც მასწავლებელს აქვს არჩევანის უფლება, რადგან სტანდარტით გათვალისწინებული ტექსტების რაოდენობა შედარებით მცირეა, საშუალო საფეხურზე ვრცელია ეს ჩამონათვალი, რომელშიც საკმაოდ რთული და დიდი ტექსტები შედის. ამიტომაც არც სახელმძღვანელოების ავტორების და, შესაბამისად, არც მასწავლებლების არჩევანის ადგილი აღარ რჩება.

რატომ არ შეიძლება, „ვეფხისტყაოსანი“ ისწავლებოდეს ყველა კლასში (მეხუთე კლასიდან მოყოლებული), ასაკის შესაბამისად განმარტებული და მიწოდებული; თავების რაოდენობა იყოს ცოტა შემოკლებული და გრძელდებოდეს სიუჟეტის მიხედვით ისე, რომ მეთორმეტე კლასში მოსწავლეს ტექსტის მხოლოდ ნაწილი ჰქონდეს დარჩენილი შესასწავლად, სამაგიეროდ, წინა კლასებში შესწავლილი იდეურად შეკრას და ტექსტის მრავალმხრივ ღირებულებებზე იმუშაოს მასწავლებელთან ერთად?

რატომ არ შეიძლება, გადანაწილდეს ჰაგიოგრაფია სხვადასხვა კლასში და მასში ასახული პრობლემების გაგრძელება თანამედროვე ტექსტებში იპოვონ მოსწავლეებმა?

ჩემი აზრით, „დავითიანსაც“ ისე ვასწავლით, ბავშვს მხოლოდ დაძლეული (თუ დაუძლეველი?) სირთულის განცდა ამახსოვრდება და არა სრულიად განსხვავებული ხმის პოეტის გამორჩეული ტექსტი. რატომ არ შეიძლება, ვასწავლოთ უფრო მცირე მონაკვეთები, მაგრამ მწერლის ენაზე, მხატვრულ ღირებულებებსა და პრობლემათა, თემათა მრავალფეროვნებაზე დავაფიქროთ მშვიდად და აუჩქარებლად?

რას აძლევს ბავშვს ერთ კლასში ორი რომანის სწავლა (სხვა უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებთან ერთად), როცა გამოცდილება გვეუბნება, რომ კარგად მიწოდებული ფრაგმენტები მკითხველს თავისთავად აღუძრავს მთლიანი ნაწარმოების წაკითხვის სურვილს? რატომ არ შეიძლება, სრული რომანი კლასგარეშე წასაკითხ სარეკომენდაციო ჩამონათვალში შევიტანოთ?

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს ოპონენტებიც საკმაოდ ჰყავს (კარგად მახსოვს, როგორ დადგა ფეხზე საზოგადოების დიდი ნაწილი, როცა ძველი ქართული ტექსტები ცოტათი შეამოკლეს).

ხშირად მესმის მეტისმეტად წყალშემდგარი არგუმენტი: „ჩვენ ხომ ვსწავლობდით?!“. კი, ჩვენ ვსწავლობდით, უფრო ადრე იყო დრო, სულ სხვა, სრულიად უსარგებლო რამეებსაც ასწავლიდნენ ბავშვებს და

ხშირად მესმის მეტისმეტად წყალშემდგარი არგუმენტი: „ჩვენ ხომ ვსწავლობდით?!.“ კი, ჩვენ ვსწავლობდით, უფრო ადრე იყო დრო, სულ სხვა, სრულიად უსარგებლო რამეებსაც ასწავლიდნენ ბავშვებს და იმასაც მორჩილად სწავლობდნენ. მაგრამ ჩვენ და ჩვენზე უფროსები სხვა ეპოქის შვილები ვიყავით, სულ სხვა სულიერი მოთხოვნილებებითა და სურვილებით.

იმასაც მორჩილად სწავლობდნენ. მაგრამ ჩვენ და ჩვენზე უფროსები სხვა ეპოქის შვილები ვიყავით, სულ სხვა სულიერი მოთხოვნილებებითა და სურვილებით. აქ მთავარი საკითხი, მგონი, ისაა, რომ სწავლების პროცესმა ფეხი აუწყოს დროს – ძალიან დინამიკურ, ცვალებად, უამრავი ინფორმაციით, უცნაური მოვლენებითა და ინდიგო ბავშვებით სავსე ოცდამეერთე საუკუნეს! თუ ყოჩაღები ვართ, ამ ბავშვებს უნდა დავეწიოთ, მათი ინტერესები და მოთხოვნები გავითვალისწინოთ! ისე და იმდენი ვასწავლოთ, რომ მოერიონ კიდეც და სიყვარულით, ხალისით მიიღონ.

ბავშვების თვალით ყურება ძალიან ძნელია, მაგრამ განათლების სფეროში ჩართული ადამიანები ყველაზე მეტად უნდა ვცდილობდეთ ამას. მეც ვცდილობ შეძლებისდაგვარად. ამ შემთხვევაშიც, რომ დავრწმუნებულიყავი, საკუთარი უნიათობა (ოპონენტთა ერთ-ერთი „მტკიცე“ არგუმენტი ესეცაა) არ მალაპარაკებდა და პრობლემა ნამდვილად არსებობდა, გადავწყვიტე, ბავშვებისთვის მიმემართა.

ჩემს მოსწავლეებს, სხვების მოსწავლეებს და უკვე სტუდენტებსაც ვთხოვე, არგუმენტირებულად ეპასუხათ ორ კითხვაზე:

1. შენი აზრით, უნდა ისწავლებოდეს თუ არა დიდტანიანი ნაწარმოებები სკოლაში? რატომ?
2. რამდენად კომფორტული იყო შენთვის ძველი ქართულის ერთ კლასში, ანუ ქრონოლოგიურად შესწავლა?

პირველ კითხვაზე უფრო განსხვავებული პასუხები მივიღე: უმეტესობა თვლიდა, რომ არა, არ უნდა ისწავლებოდეს, რადგან მოსაბეზრებელია მთელი თვის განმავლობაში ერთსა და იმავე ტექსტზე მუშაობა, როცა შესაძლებელია მსგავსი ტექსტების კლასგარეშე წაკითხვა და იმავე თემებზე უფრო მოკლე ნაწარმოებებით საუბარი, იმავე მწერლის უფრო მოკლე ნაწარმოებებით ან ამონარიდებით გაცნობა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ დიახ, დიდტანიანი ნაწარმოებები უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, რადგან, საზოგადოდ, თანამედროვე ბავშვებს აშინებთ მოცულობითი წიგნები და მათ კითხვას სკოლაში თუ არ მიეჩვივნენ, არაფერი გამოვა.

მეორე კითხვაზე, ფაქტობრივად, ერთი და იგივე პასუხი გამცეს: კარგი იქნება, ძველი ქართული გადანაწილებული იყოს კლასების მიხედვით, ასე უფრო გაუადვილდებოდათ შესწავლა და მეტი დროც ექნებოდათ ჩასაღრმავებლად. ახლა კი იმდენი რამ აქვთ მოსასწრები, დიდხანს ვერ ჩერდებიან ტექსტებზე.

თუმცა აქაც იყვნენ გამონაკლისები: მასწ, ისე ჩავყვინთე ამ ძველ ქართულში, მგონია, თანამედროვე ტექსტებს საერთოდ ვეღარ წავიკითხავო... გაიელვა ერთმა მოსაზრებამაც, რომ ქრონოლოგიური სწავლება იწვევს მიჩვევას, ბავშვები ეჩვევიან ძველ ტექსტებს და თუ თავიდან არაფერი მესმოდა, თანდათან ყველაფერი ნათელი გახდაო.

საყურადღებოა ის, რომ რადგან ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ნებაყოფლობითი იყო, ძირითადად ისეთმა ბავშვებმა მიპასუხეს, რომლებსაც არც წერა ეზარებათ, არც კითხვა და არც, საზოგადოდ, სწავლა. ცოტანი იყვნენ.

დანარჩენებს ან ფიქრი და წერა დაეზარათ, ან უბრალოდ ჩათვალეს, რომ მათთვის სულერთი იყო, არც ერთს არ ისწავლიდნენ. სწორედ ასეთი მოსწავლეები უნდა იყვნენ ჩვენი ორიენტირები – მათ რა აინტერესებთ, რას დაძლევენ, როგორ ჩაერთვებიან სწავლის პროცესში, თორემ მაღალი შინაგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეებს, მე თუ მკითხავთ, მასწავლებელი და სახელმძღვანელო ნაკლებად სჭირდებათ, იმდენს მუშაობენ საკუთარ თავზე.

ვფიქრობ, სამინისტროს მიერ მსგავსი, ოღონდ მასშტაბური კვლევის ჩატარებაც საჭიროა, რათა მშობლიური ლიტერატურის სწავლა, დაფასება, სიყვარული ვალდებულებად კი არ ავკიდოთ ბავშვებს, პასუხისმგებლობა გავუჩინოთ მის მიმართ. უნდა ვასწავლოთ, რომ ნებისმიერი სიყვარული, მათ შორის - მშობლიური ლიტერატურის სიყვარულიც, პასუხისმგებლობაა. ვალდებულება და პასუხისმგებლობა კი განსხვავდება ერთმანეთისგან: პირველი გარედან წამოკიდებული ტვირთია, რომელიც აწუხებს ადამიანს, ამიტომ ყოველთვის ეცდება, როგორც კი შანსი გაუჩნდება, მოიშოროს, პასუხისმგებლობა კი იმდენად ბუნებრივი ხდება, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეგიძლია:

გიყვარს, აფასებ და უვლი კიდეც იმას, ვის ან რის წინაშეც მას გრძნობ.

ეს პრობლემა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა დისტანციური სწავლების დროს. როცა შემცირდა გაკვეთილების რაოდენობა, როცა სწავლების ცოცხალი პროცესი სანატრელი გახდა, მუდმივ შფოთვაში გადამეზარდა ფიქრი – როგორ უნდა მოვასწრო მეათე კლასში შეტანილი, საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ურთულესი ტექსტები ისე, რომ ეკრანს მიღმა დარჩენილმა ბავშვებმა წაიკითხონ კიდეც, სათანადოდ გაიაზრონ, დაამუშაონ და ამ ტექსტების ძალა და ხიბლიც იგრძნონ? მით უმეტეს, რომ არც ტექსტებია ისეთი, არც მოსწავლეების ასაკი, რომ მხოლოდ კომპიუტერულ თამაშებად ქცეული აქტივობებით მიაღწიო მიზანს.

ჩემი გამოცდილებიდან ამოვკრიბე რამდენიმე აქტივობა თუ დავალება, რომლებიც დამეხმარა, ბავშვებისთვის მეტ-ნაკლებად საინტერესო გამეხადა ძველი ქართულის სწავლის პროცესი.

ცნობის ფურცელი აბო თბილელის წამებასთან დაკავშირებით

შექმენი მოკლე „ცნობის ფურცელი“, რომელზეც ასახავ „აბოს წამებაში“ მომხდარ ამბავს ორივე მხრიდან: ქართველებისა და არაბების.

- გაითვალისწინე ეპოქა.
- შეარჩიე შესაბამისი ენობრივი სტილი.
- ყურადღება მიაქციე ფურცლის დიზაინს, შრიფტს, მოცულობას.
- წარმოაჩინე ნაწარმოების შინაარსის ცოდნა.

არაბი თვითმხილველი

რამდენიმე ნიმუში:



ქრისტეანენო, გულისყურითა ისმენნით!

დღეს, მეათესა დღესა დღესასწაულისა მაცხოვრისა ნათლისღებისასა, ქრისტეს მბრძოლელთა მეფე მარტეოლეულ და მოკლულ იყო ნეტარი აბო, ხელოფან, კეთილად შემზადებელ ხურნელთა მან საღმრთელთა, რომელ იყო სარკინოზი და რომელმან ქრისტეს ხელფრულისათვის დაუტევა მამული თვისი, ნათესაცა და მონაგები თვისი და ნათელ-იღო ქრისტეანად. შეოფდა ესე ქვეყანის საჭმელსა, ეთაურეა გასეფდა მან ყოველი, რაოდენ აქუნდა მას. განმტკიცებულ იყო ქრისტეს მამანი და მოთმინებითა სძლო ამირასა და ამისი ჯალათების ხმობრეგლეესა. წმანდა მოწამემ ხელფრულმა ქრისტეანი ნეტარსა მამანი უნდა განაცხადოს და განამტკიცოს რწმენა ნეტარი ეკლესიად. აღეჭმა ქრისტეანენი, განაგდეთ შიში მძლავრთისა მათ და განუდგიდეთ ყოველნაგვ, დედასაც და მამასაც, მონეცნაც და ქალბეულნაც. აღეფალისა მას, რომელ არს ხელფალეფა და ხელფაცა დაწუნეს ნინეცი ესე წმიდისა მოწამისანი და პატივ-ეცეთ მოწამესა ღვთისა ნეტარსა აბოსა.



ყოველთა სარკინოზთა და ქართველთა ქართლისაი სმენად და გასაგებად

ამასა დღესა, იანვარსა ექუსსა, დიდი ამირას ბრძანებით, ხელფალდ განკითხულ იქნა აბო, ბუნებით სარკინოზ, რომელმან დაუტევებელ მამული ესე თვისი და ხელფალი ესე თვისი, მოცალული ნეფეს მაგმედის მოცემული, იტყვ თავსა თვისსა ქრისტეანად და მრავალთა ასწავებდა ხელოფნასა და უგუნურებასა თვისსა და რომელ მსაჯულსა ნეფესა ამირასა მეფეფლობასა ხატეფეთა და შეჯერებასა ურწ და შეუსმენელ იყო. ყოველთა მასსაყოთ უგუნურ და შეუსმენელ დაფიქრდეს და შეისმინოს, სანამ ეამი აქუეთ, ხელი ეუ არა - მასსაყოთ განკითხულ იქმნება ყოველი. თუ კი უგუნურისა ამისა აბოისა პატივ-ცეცებას განიზრახავს, ამირას მიერ განკითხულ იქნება იმეფამადაც.

ბაზეთი

ინფორმაციული

786 წლის 6 იანვარი

ეპიზოდი აბოს გარდაცვალებისა და თაყვანცემის შესახებ

ამირამ თავი მოაკვეთა აბო ცხმილელს, შენიშნეს, რომ ამ დროს ამირას თვალიდან ცრემლიც კი ჩამოუგორდა, რადგან განიდევნა არა ქრისტიანის, არამედ ბუნებით სარკინოზის სიკვდილი.
ის რომ სარკინოზი მოკვდა, ეს მას ტანჯავდა, ამიტომ არ უნდოდა მასთან ახლოს აბო დაკრძალულიყო კი ყოველ-ფერ.
აბოს ნეშტი დაწვა და ძვლები ბაგდადში გადაყარა. ასე აბოს სხეულთან ერთად თავისი ტანჯვაც საბოლოოდ მოიშორა.

რაც შეეხება თავშეყრას, შეიკრიბნენ ქრისტიანენიც და არაბენიც. არაბები განიცდიდნენ აბოს სიკვდილს და იხსენებდნენ მას. შეკრება დაიწყო ღამის პირველ საათზე და გაგრძელდა დილის სამ საათამდე. არაბები დარჩნენ და ხასწაულიც იხილეს, შეიცვალა, რადგან ეს ხასწაული იყო მტკიცებულება იმისა, რომ აბო მართალად „ჭეშმარიტი“ სარწმუნოების მიმდევარი იყო...

ასახული მთავარი პრობლემა მისი თვალთახედვით. გაითვალისწინე მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:

- შეარჩიე კონკრეტული პერსონაჟი ტექსტიდან (მაგალითად, ერთ-ერთი არაბი, რომელმაც აბო დააბეზღა, ან არაბი, რომელიც ტკბილი ენით ურჩევდა აბოს მაჰმადიანობაში დაბრუნებას).
- შენი წარმოსახვით აღწერე მისი და აბოს ურთიერთობა.
- წარმოაჩინე ნაწარმოების მთავარი პრობლემა, ფაქტები, მოვლენები, სხვა პერსონაჟები, შერჩეული პერსონაჟის ხედვის კუთხიდან.
- გამოიყენე თხრობითი ტექსტის აუცილებელი მახასიათებლების (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასკვნა) ცოდნა.

წარდგენის შემდეგ ისაუბრე:

- რა გავლენა მოახდინა მთხრობლის შეცვლამ ნაწარმოების თემისა და იდეის წარმოჩენაზე?
- კერძოდ, რა მინიშნებებს დაეყრდენი?

ნააზრევის მოსმენა – გაანალიზება, დაკავშირება ნაწარმოების მთავარ პრობლემასთან

ნაწარმოების დამუშავების შემდეგ მოისმინეს მწერლის, მთარგმნელის, აღმოსავლეთმცოდნე გიორგი ლობჟანიძის მოკლე მონოლოგი, რომელმაც ისინი ოცდამეერთე საუკუნეში არსებულ პრობლემებზე დააფიქრა და უბიძგა, მრავალმხრივ გაეაზრებინათ ის უჩვეულო ფაქტი, რომ *„უცხოი უცხოთა შჯულითა მოვიდა* და ქრისტესა, ღმერთსა ჩვენსა, შეემეცნა“. მოსმენასთან ერთად ბავშვებს უნდა ეპასუხათ ფორმისის ფორმატში შედგენილი კითხვებისთვის, რომლებიც მონოლოგის გააზრებაში დაეხმარებოდათ.

ფილმი და პარალელები ნაწარმოებთან

ფილმები ჩემი სწავლების განუყოფელი ნაწილია. მიმაჩნია, რომ ტექსტებში დანახული პრობლემების კინოენაზე გააზრება ძალიან ეხმარება მოსწავლეებს ანალიზის უნარის განვითარებაში. სწავლის მოტივაციასაც ამაღლებს (რადგან მათი საყვარელი დარგია კინო) და ხშირად ლიტერატურის, ტექსტის ყოვლისშემძლეობასაც აღიარებენ. მეგობრებს ვთხოვე, დაესახელებინათ ფილმები, რომლებიც ადამიანის არჩევანს, პიროვნულ თავისუფლებას ეხმიანება. შემოთავაზებულთაგან ავირჩიე „მისტერ პიპი“. ცოტა მძიმე ფილმია, მაგრამ ძალიან კარგად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის საკუთარი არჩევანი, ცხოვრებისეული გზა, ამ გზაზე შემხვედრი ადამიანები, რამხელა ძალა აქვს რწმენასა და ლიტერატურას.

გრიგოლ ხანძთელის გალაქტიკა

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მთავარი პერსონაჟი თავად გრიგოლია, მაგრამ მასთან ერთად ნაწარმოებში ბევრი სხვა პერსონაჟიც ჩნდება. იმისთვის, რომ წარმოაჩინოთ და გაიაზროთ მათი მიმართება გრიგოლ ხანძთელთან, გთავაზობთ, შექმნათ თქვენი თვალით დანახული „გრიგოლ ხანძთელის გალაქტიკა“, მზის სისტემის მსგავსად, ელექტრონულ ფორმატში (ვორდში, სლაიდის სახით, ფოტოშოპში ან ფეინთში).

ა) მზის ადგილას მოათავსეთ გრიგოლი, ხოლო გარშემო – ის პერსონაჟები, რომლებიც თანდათან ჩნდებიან ტექსტში. ორბიტებზე განლაგებით გამოხატეთ თითოეულის მიმართება მთავარ პერსონაჟთან.

ბ) პერსონაჟები ანუ პლანეტები უნდა დანომროთ და დაწეროთ თითოეულ მათგანზე მოკლე, მნიშვნელოვანი ინფორმაცია, აღწეროთ, რა ადგილი უჭირავს ტექსტში ამა თუ იმ პერსონაჟს.

გ) შესაძლებელია, თითოეულ პლანეტა-პერსონაჟს ჰყავდეს თანამგზავრიც (თუ საჭიროდ ჩათვლით).

დ) გაითვალისწინეთ: ტექსტის გაცნობასთან ერთად თანდათან ორბიტების დამატება დაგჭირდებათ.

ბავშვებმა ეს დავალება შეასრულეს, როცა ტექსტის მხოლოდ ნაწილი გვქონდა წაკითხული, ხოლო დასრულების შემდეგ ხელახლა მიუბრუნდნენ და შეავსეს გალაქტიკა. თითოეული დავალება განვიხილეთ გაკვეთილზე. გთავაზობთ მოსწავლის მიერ შექმნილ ერთ-ერთ სრულყოფილ ნიმუშს:



1, 2 – ნერსე ერისთავი და მისი ცოლი, რომლებმაც აღზარდეს გრიგოლი. დედოფალი გრიგოლის მამიდაა.

3, 4, 5 – საბა, ქრისტეფორე და თეოდორე, მონასტრების მაშენებელი სასულიერო პირები, რომლებიც გრიგოლს ეხმარებოდნენ მისიის შესრულებაში.

6 – ხუედიოსი, ბერი, რომელიც განმარტოებულად ცხოვრობდა ხანძთაში და რომელმაც სიზმრად ნახა, რომ მასთან გრიგოლი მივიდოდა და მონასტერს ააგებდა.

7 – დედა ფებრონია, რომელიც სამცხიდან წავიდა და დასახლდა ხანძთაში, გრიგოლის მიერ აშენებულ დედათა მონასტერში – გუნათლის ვანში.

8 – ზენონი – მდიდარი ოჯახიშვილი, რომელმაც მთელი ქონება დას დაუტოვა და დედა ფებრონიას შემწეობით, რომელიც მისი ნათესავი იყო, გრიგოლის მოწაფე გახდა.

9, 10 – მამა ეტვიფანე და მღვდელი მატოი, რომლებიც ქართლიდან მივიდნენ და ხანძთის მონასტერში დასახლდნენ.

11 – მეფე აშოტ კურაპალატი, რომელიც მატერიალურად ეხმარება გრიგოლს (მონასტერს სახნავ-სათესი მიწები აჩუქა).

12 – გაბრიელ დაფანჩული, აზნაური აშოტ კურაპალატის კარზე. ეხმარებოდა გრიგოლს მამათა და დედათა მონასტრების შენებისას.

13, 14, 15 – აშოტ კურაპალატის ვაჟები: 13 – ბაგრატი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ მეფე გახდა; 14 – გუარამი, რომელმაც ჯავახეთის კრება გამართა; 15 – ადარნერსე, რომელმაც მეუღლე აფხაზეთში გაგზავნა, თვითონ კი სხვა ქალი შეირთო.

16 – გრიგოლის მეგობარი, რომელმაც გადაწერა და იერუსალიმიდან ჩამოიტანა საბაწმინდის წესი.

17 – მირიან აზნაური, რომელმაც სამცხეში ჩასული ქრისტეფორე და თეოდორე მიიღო სტუმრად.

18 – არსენი, მირიანის ექვსი წლის შვილი, რომელიც ქრისტეფორემ და თეოდორემ დაიმოწაფეს. ჯავახეთის კრებაზე გრიგოლის დახმარებით გადაწყდა, არსენი კათალიკოსი გამხდარიყო.

19 – ეფრემი – ბიჭი, რომელიც გრიგოლმა დაიმოწაფა ქართლში ჩასვლისას. შემდგომში გახდა „მცხეთის ქართლისა“ კათალიკოსი.

20 – აფხაზეთის მეფე დემეტრე, რომელიც გრიგოლს უბისის მონასტრის შენებაში დაეხმარა.

21 – გრიგოლის დედა, რომელიც მერეს მონასტერში დასახლდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა.

22 – აშოტის საყვარელი, რომელიც გრიგოლმა დედა ფებრონიასთან მიიყვანა.

23 – ადარნერსეს საყვარელი, რომლის გულისთვისაც მან ცოლი აფხაზეთში გაგზავნა.

24 – ადარნერსეს ცოლი (ანასტასია?), რომელიც მონაზონი გახდა. ქმარს ყოველივე აპატია და დალოცა კიდეც, რის შემდეგაც ადარნერსე მძიმე სენისგან განიკურნა.

25 – ცქირი, რომელმაც ანჩი დაიპყრო და გრიგოლის მოკვლა განიზრახა.

26 – გლახაკი, რომელიც ცქირმა დაიქირავა გრიგოლის მოსაკლავად.

სიტუაციური ამოცანები

სიტუაციურ ამოცანებს სწავლების პროცესში ხშირად ვიყენებ. ეს მეხმარება, ინტერესი აღვუძრა ბავშვებს, ვუბიძგო, აღიქვან ტექსტში ასახული პრობლემა ცხოვრებისეულად და შეხედონ კრიტიკული თვალით. თავიდან მე მივაწოდე რამდენიმე ნიმუში, მერე დავავალე, თავადაც შეექმნათ. ეს ამოცანები ემსახურებოდა იმ ბავშვების გააქტიურებასაც, რომლებსაც ტექსტი არ ჰქონდათ წაკითხული. ისინი ხალისით ერთვებოდნენ მსჯელობასა და გამოსავლის ძიებაში. მაგალითები:

ზენონი

იყო ერთი ახალგაზრდა, შეძლებული და წარჩინებული ოჯახის შვილი. რელიგიურად აღზრდილს ბერობა უნდოდა. მშობლები ადრე გარდაეცვალა. მას განზრახული ჰქონდა, რომ მთელი ქონება დისთვის დაეტოვებინა და თვითონ ბერად წასულიყო უცხო მხარეში. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა. მისი და შეაცდინა უკეთურმა კაცმა და შავშეთში გაიტაცა. რა უნდა ექნა ზენონს? თუკი იმ კაცს დაედევნებოდა, შეიძლება, მოეკლა კიდეც და სულს სამუდამოდ დაიმძიმებდა უდიდესი ცოდვით. რომ არ გაჰკიდებოდა, შერცხვენილი იქნებოდა.

თქვენი აზრით, რა გზას აირჩევს ზენონი და რატომ?

ქრისტეფორე და თეოდორე

ა) ისინი გრიგოლ ხანძთელის განუყოფელი სულიერი ძმები იყვნენ. ერთად წა-

მაშინ, როცა უკვე განსაზღვრულია ოცდამეერთე საუკუნის ადამიანის აუცილებელი უნარები (სრულიად განსხვავებული წინა საუკუნისაგან), როცა სწავლა-სწავლების პროცესში უდიდეს ადგილს იკავებს მედიასაშუალებები და ტექნოლოგიები, არ გადაიხედოს პროგრამა – მე წარმოუდგენელი მგონია.

მოვიდნენ ქართლიდან და ერთადვე დაიწყეს ხანძთის მონასტრის შენება. დროთა განმავლობაში თითოეულს უფრო და უფრო უძლიერდებოდა სურვილი, რომ გრიგოლისაგან დამოუკიდებლად ჩაეყარათ საფუძველი ახალი მონასტრებისთვის. მაგრამ თავიანთი სულიერი ძმისა და მოძღვრის, გრიგოლის ერიდებოდათ. აღარ იცოდნენ, რა ექნათ: არც „საღმრთო შური“ ასვენებდათ და ვერც გრიგოლს შეჰბედეს ამ უცნაური სურვილის გამხელა.

როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცევიან ისინი?

ბ) გრიგოლის თანამოძმეები, ქრიტეფორე და თეოდორე, გაიპარნენ მონასტრიდან. მათ გრიგოლისგან დამოუკიდებლად სურდათ მონასტრების აშენება და მიზნის მისაღწევად აფხაზეთში გაემგზავრნენ. გრიგოლი ამის გაგებისას „შეწუხნა ფრიად“, ანუ დასევდიანდა, ეწყინა. თქვენი აზრით, როგორ მოიქცევა გრიგოლი – „მოღალატეებზე“, რომლებმაც მეგობარსა და მოძღვარს დაუმალეს თავიანთი განზრახვა, გულს აიცრუებს თუ აპატიებს? თვითონაც ხომ გაიპარა სახლიდან მაშინ, როცა მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ? ჩათვლის საჭიროდ მათ მოძებნას თუ არა? თუ ასეა, თვითონ გაემგზავრება საძებრად თუ სხვას გააგზავნის? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

საბა იშხნელი

ხელმწიფეს გრიგოლმა მოახსენა საბა იშხნელის კარგი საქმეების შესახებ – მან აღადგინა იშხნის მონასტერი და წინამძღვრობდა. მეფეს ძალიან გაუხარდა ასეთი ადამიანის არსებობა და მისი გაცნობა მოიწადინა. დაწერა წერილი და ღირსეული ადამიანის ხელით გაუგზავნა საბას, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ მან მეფესთან სტუმრობაზე უარი განაცხადა. მოციქულებმა უთხრეს აშოტს: „არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსვლაი აქა“.

ა) თქვენი აზრით, რატომ უნდა ეთქვა საბას უარი მეფესთან მისვლაზე?
ბ) როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცეოდა ხელმწიფე?

საბოლოოდ საბა მაინც მივიდა სამეფო კარზე.

როგორ ფიქრობთ, რა გარემოებებმა განაპირობა ეს?

გრიგოლ ხანძთელი და ანიმაციური ფილმი „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“

ამ ანიმაციურ ფილმს აქტიურად იყენებენ სამოქალაქო განათლებისა და გეოგრაფიის სწავლებისას.

რადგან ისევ ონლაინგაკვეთილი უნდა ჩამეტარებინა, – 9 საათზე ეკრანებთან ჯდომა და საგაკვეთილო განწყობის პოვნა განსაკუთრებით უჭირთ ბავშვებს, – მინდოდა, რაიმე მულტიმედიური აქტივობა შემეთავაზებინა. უცებ ამომიტივტივდა გონებაში ეს ანიმაციური ფილმი. გაკვეთილზე ერთად ვუყურეთ, ვისაუბრეთ, მერე სახლში სამუშაოდ მცირე აქტივობა მივეცი საკვანძო საკითხებზე დასაფიქრებლად და ამის შემდეგ შეასრულეს ასეთი დავალება: უყურე ანიმაციურ ფილმს „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“ და დაუკავშირე ის იდეურად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“. დაწერე ანალიტიკური ესე (ანალიზი).

ნაშრომი სრულყოფილი რომ გამოგივიდეს:

- ჩამოაყალიბე, რა არის ანიმაციის მთავარი თემა და სათქმელი.
- გაავლე პარალელი და იმსჯელე, რა იდეური კავშირია ანიმაციურ ფილმსა და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ შორის.
- ისაუბრე, რა მსგავსებაა მის მთავარ გმირსა და გრიგოლ ხანძთელს შორის. ნაწარმოებიდან მოიყვანე ციტატები.
- გაითვალისწინე ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

სულხან-საბა ოცდამეერთე საუკუნეში

წარმოიდგინე, რომ სულხან-საბა ორბელიანი ოცდამეერთე საუკუნეში აღმოჩნდა. ჩამოაყალიბე ანალიტიკური ესეს (იგივე ანალიზი) ფორმით, რას შეცვლიდა ის თავის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ ჩვენი საუკუნის ფასეულობების, ინტერესებისა და პრობლემების გათვალისწინებით, რას დატოვებდა უცვლელად.

ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:

- დააკვირდი ამ თვალით როგორც სიუჟეტსა და პერსონაჟებს, ისე იგავ-არაკებსაც.
- თითოეულ სავარაუდო ცვლილებაზე/უცვლელო-

ბაზე ისაუბრე ოცდამეერთე საუკუნის ჭრილში და დაასაბუთე მისი აუცილებლობა.

- გაითვალისწინე სულხან-საბას ინტერესები, დამოკიდებულებები და პიროვნული მახასიათებლებიც (ბიოგრაფიიდან გამომდინარე).
- ნაშრომს უნდა ჰქონდეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

„სიბრძნის დღიურები“ „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით

„სიბრძნე სიცრუისას“ შესწავლასთან ერთად გააკეთეთ მცირე ჩანაწერები შემდეგ საკითხებზე:

- რას გასწავლით ესა თუ ის ეპიზოდი, ესა თუ ის იგავ-არაკი?
- თქვენთვის მისაღებია თუ არა, მოგწონთ თუ არა, რასაც გასწავლით? რამდენად აქტუალურია ის თანამედროვე ცხოვრებაში?
- რაიმე ამბავი ხომ არ გახსენდებათ თქვენი ან სხვისი ცხოვრებიდან / ლიტერატურიდან / ფილმებიდან?

გაითვალისწინეთ დღიურის მახასიათებლები:

ა) თითოეული ჩანაწერის დათარიღება;

ბ) წერის უშუალო და გულწრფელი სტილი, თითქოს მხოლოდ საკუთარი თავისთვის წერდეთ.

მოსწავლეები პერიოდულად ავსებდნენ დღიურს და კვირის ბოლოს გაკვეთილს მხოლოდ დღიურების განხილვას ვუთმობდით.

ჩვენ კი ვაგრძელებთ, მაგრამ ეს უუუუგრძესი წერილი აქ მაინც უნდა დავასრულო. გიტოვებთ რამდენიმე მოკლე ამონარიდს მოსწავლეების დღიურებიდან (თითოეულის სტილი დაცულია):

13.12.20

„მეფე ხორასნისა“ იგავ-არაკი იყო საინტერესო და მე კი ვეთანხმები იმას, რომ სიკეთე დაგიბრუნდება, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხდება. არის, როცა ადამიანს რამდენი სიკეთეც არ უნდა გაუკეთო, მაინც არაფერს იზამს. მე მჯერა ამ სიტყვების, მაგრამ ახლანდელ დროში ეს ძალიან იშვიათად ხდება...

17.12.20

„არცარა ენის უტკბესი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასა“ – აბსოლუტურად ვეთანხმები ამას, რადგან ადამიანის სიტყვებს დიდი ძალა აქვს. მათ შეუძლიათ, ისეთი სიხარული და ბედნიერება მოგიტანონ ერთ დროს, სხვა დროს კი გაგანადგურონ. მხოლოდ ადამიანი ირჩევს, რა დროს მიანიჭოს თავის ენას, ანუ ლაპარაკს, სიტკბო და რა დროს – სიმწარე. ერთი და იგივე წინადადება სულ სხვანაირად შეიძლება მოგესმას, რადგან სხვადასხვანაირ კონტექსტში იქნება. ადამიანი უნდა ეცადოს, მოერიდოს მწარე სიტყვების გამოყენებას სხვების მიმართ, რადგან ჩემით ბევრჯერ მაქვს გამოცდილი და ვიცი, რომ ეს შენ შეიძლება დაგავიწყდეს, მაგრამ სხვას გულში დიდხანს დარჩება.

17.12.20

ვფიქრობ, რომ სულხან-საბას ზედმეტად ბევრი ჰიპერბოლა აქვს გამოყენებული. შეეძლო, უფრო რეალურად შეეფასებინა პერსონაჟები, მაგრამ ჩემთვის მაინც მისაღებია ლამაზი, ძველი ქართული, ყველაფრის დეტალურად აღწერა. მომწონს, სახელები როგორც შეურჩია პერსონაჟებს...

24.12.20

როგორ არ მინდოდა, ბევრი ვეცადე, მაგრამ მაინც გამეცინა და ისე, რომ კარგა ხანს ველარ გავჩერდი. ეს საოცრება იყო, რადგან 7 ადამიანის ისტორია მოვისმინე და გავლიზიანდი სასულელეების გამო, მაგრამ მერვე ადამიანი ძალიან შემეცოდა და ამასთანავე ბევრიც ვიცინე. ჩემი აზრით, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ნამდვილად პრობლემა ჰქონდა, იყო ეს მე-8 პერსონაჟი. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯეო და მართლაც ნაღვლიანი ადამიანია.

12.2020

ჯუმბერის ქცევა და სიტყვები ბევრად უფრო მომწონს, ვიდრე ლეონისა. თუმცა ეს „მე ვარ შენი საუნჯე, შენი განძი, შენი ლარი“ ცოტა ამპარტავნულად კი გამოუვიდა :)

სიმართლე რომ ვთქვა, უფრო სწორად, დავწერო, ვერ მივხვდი, რისთვის მოყვა ლეონი იგავს „უსამართლო შირვან-შაჰი“. ანუ მეფე იმ შაჰს შეადარა? და კიდევ ეს ფრაზაა საინტერესო – „მათ მსგავსად, თუ ეგ თქვენი საჭურისი ცოცხალია, ბევრი ამისთანა დღე გარდამხდება“. რას ნიშნავს „თუ ცოცხალია“? იმას ხომ არ გულისხმობს ლეონი, თავიდან მოიშორე, რომ მე საწყალს არაფრის შემეშინდესო?

09.01.2021

ღამის პირველის ნახევარი. რა ვქნა, ყველა კარგი იდეა ღამით მომდის თავში. ახლა, კარგა დასვენებულზე, გულახდილად შემიძლია დავწერო, რომ უკვე მომბეზრდა ლეონის მტრობა და ყველა მისი ქმედების გაკრიტიკება. არც რუქაა ისეთი ანგელოზი, მე რომ გამომყავს. ორივე ჩვეულებრივი ადამიანია და ისეთივე ამბივალენტურია, როგორიც ყველა ჩვენგანი. ახლა მივხვდი, რომ სწორედ ამაშია ავტორის ოსტატობა – „სიბრძნე-სიცრუისას“ არც ერთი პერსონაჟი (რა თქმა უნდა, იგავ-არაკების პერსონაჟების გამოკლებით) არ არის ცალმხრივი, აბსოლუტურად ბოროტი ან აბსოლუტურად კეთილი. ეს კი, იმ პერიოდის ლიტერატურაში, მგონი, ძალიან იშვიათი შემთხვევაა (კლუბის ბოლო შეხვედრა მახსენდება, ლევან ბრეგაძე რომ გვყავდა სტუმრად. როგორც მისი სიტყვებიდან მახსოვს, ეს ნატურალურობა, ამბივალენტობა, ჩვეულებრივობა ლიტერატურის შედარებით ახალი მიმდინარეობებისთვის არის დამახასიათებელი. თუმცა სულხან-საბას პერსონაჟებს მაინც ვერ დავარქმევ ჩვეულებრივ ადამიანებს...

მაია ჯალიაშვილი

ჯადოსნური ფორმულები

მასწავლებელმა შეიძლება დასვას კითხვა: როგორ მოსწავლეს ამზადებს? ისეთს, რომელიც არსებულ რეცეპტებს იყენებს თუ ისეთს, რომელიც ახალს იგონებს? შესაბამისად, საკუთარ თავსაც უნდა ჰკითხოს: რა ტიპის პედაგოგია? პირველი თუ მეორე? რაც თვითონ არ გაქვს, რა თქმა უნდა, იმას სხვას ვერ გადასცემ, ამიტომ შემოქმედებითობის განვითარებაზე პედაგოგმა გამუდმებით უნდა იფიქროს.

კაცობრიობის ისტორიაში არაერთი გამოჩენილი პედაგოგი იყო, რომლებმაც თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება თეორიულ შეხედულებათა სისტემად აქციეს და მემკვიდრეობად დაუტოვეს თაობებს. სხვათა ნაღვაწის ამსახველ ამ „ბაბილონის ბიბლიოთეკაში“ (ბორხესი), რა თქმა უნდა, კარგია, აუცილებელია ფიქრიანი გასეირნება სწავლების ჯადოსნური ფორმულების აღმოსაჩენად, მაგრამ საკითხავი ის არის, არსებობს კი ამგვარი „შელოცვა-მეთოდები“, რომლებსაც მასწავლებელმა შეიძლება მიაგნოს და საკლასო ოთახში შემეცნების რიტუალის ჩასატარებლად გამოიყენოს?

ეი ჯეი ჯულიანი, ამერიკელი განათლების სპეციალისტი, თავის წერილში „მზარეული და შეფმზარეული“ მსჯელობს იმ გზებზე, რომლებსაც მასწავლებელი ირჩევს, რათა მოსწავლეები თავისუფალ, დამოუკიდებელ, შემოქმედებით პიროვნებებად აღზარდოს. მეტაფორულად თუ ვიტყვით, ზოგი უკვე არსებული რეცეპტის მიხედვით ამზადებს კერძს, ზოგი კი ცდილობს, ახალი რეცეპტი გამოიგონოს.

თვალისმომჭრელი და მიმზიდველია რეცეპტების რაოდენობა და, რა თქმა უნდა, ცდუნებაც დიდია, თავის აუტკივებლად გამოიყენო რომელიმე ამ ზღვა მასალიდან, მაგრამ შემოქმედებითი ადამიანი სხვანაირად ფიქრობს. მისთვის ექსპერიმენტები, ინგრედიენტებით თამაში, ახალი გემოს სინთეზი უფრო საინტერესოა. გაუკვალავ გზაზე სიარული სახიფათოა, შეცდომათა თუ დაბრკოლებათა რიცხვიც გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, მაგრამ შეფმზარეულს ეს არ აბრკოლებს: საბოლოო შედეგი ყველა წარუმატებელი მცდელობით აღძრულ ტკივილს გადაფარავს. რუსთველი, ადამიანის ბუნების დიდი მესაიდუმლე, ამბობს: „ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასულისა“, ან „მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა“. ამ აფორიზმებში ჩანს ადამიანის შემართების, იმედის ფსიქოლოგიური ნიუანსები. ერთი მხრივ, შეცდომათა ხსოვნამ ადამიანს შესაძლოა არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩინოს და წინსვლაზე ფიქრი მიატოვებინოს, ამიტომ დავიწყება ჯობია. მეორე მხრივ, რაც უფრო რთულია ამოცანა, მით უფრო დიდია მისი ამოხსნით მოგვრილი სიხარული.

ასე რომ, მასწავლებელმა შეიძლება დასვას კითხვა: როგორ მოსწავლეს ამზადებს? ისეთს, რომელიც არსებულ რეცეპტებს იყენებს თუ ისეთს, რომელიც ახალს იგონებს? შესაბამისად, საკუთარ თავსაც უნდა ჰკითხოს: რა ტიპის პედაგოგია? პირველი თუ მეორე? რაც თვითონ არ გაქვს, რა თქმა უნდა, იმას სხვას ვერ გადასცემ, ამიტომ შემოქმედებითობის განვითარებაზე პედაგოგმა გამუდმებით უნდა იფიქროს. თვითკმაყოფილება რომ დამღუპველია და პროგრესის შემაფერხებელი, ყველამ ვიცით. პროფესიული ცოდნა და უნარები არ უნდა გადაიქცეს ჩვევად, მასწავლებელი რობოტსა თუ ავტომატს არ უნდა დაემსგავსოს, ამისთვის კი ახლის ნახვა, შესწავლა და გააზრებაა საჭირო. ყოველი პედაგოგისთვის, განურჩევლად ასაკისა და გამოცდილებისა, სიახლეებისკენ სწრაფვა უნდა იყოს სტიმულის მიმცემი სრულყოფის გზაზე. სრულყოფა კი არასოდეს სრულდება. სანამ ასწავლი, მანამდე თვითონაც გზაზე დგახარ და მოსწავლეებთან ერთად მიიკვლევ უცხო სანახებს სწავლების „ჯადოსნური ფორმულების“ აღმოსაჩენად, თუმცა ხვდები, რომ თვითონ ეს გზაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

საიმონ სინეკი, ცნობილი ორატორ-შთამაგონებელი და ორატორ-მოტივატორი, გახმაურებულ წიგნში „პირველად იყო რატომ“ საუბრობს თავის მიერვე მიგნებულ „ოქროს წრეზე“, რომელიც ნებისმიერ საქმეში აუცილებელია წარმატებისთ-

ვის. კარგი იქნება, თუ პედაგოგები გაითვალისწინებენ ამ მახვილგონივრულ მიგნებას. მასწავლებელმაც და მოსწავლემაც ხშირად უნდა შეხედონ ამ წრეს და უპასუხონ კითხვებს: რა? როგორ? რატომ? შეიძლება, წრის შიგნიდან გარეთ მივმართოთ მზერა და ფიქრის ნაკადები ასე წარვმართოთ და შეიძლება პირიქითაც – გარედან შიგნით. ორივე მიმართულება ეხმარება ადამიანს საქმის სიღრმისეულად გაცნობიერებაში.

მასწავლებელმაც და მოსწავლემაც ნებისმიერი საგნის ნებისმიერი საკითხის შესწავლისას უნდა დასვან კითხვა: რატომ? ეს ფუნდამენტური კითხვაა! რატომ? რისთვის არის საჭირო რაღაცის შესწავლა, რამე საქმის გაკეთება, როგორ გამოიყენებს სამომავლოდ? რა შედეგი თუ სარგებელი ექნება? რა ჯილდოს მიიღებს? სარგებელი თანაბრად გულისხმობს სულიერ-მატერიალურ სფეროებს, რადგან ადამიანი ორბუნებოვანია, სულიც აქვს და სხეულიც, მხოლოდ მატერიალური სამყაროთი ვერ შემოიფარგლება, მხოლოდ პრაქტიკულ-პრაგმატული საჭიროებებით ვერ იცხოვრებს. მას შემდეგ, რაც ეს „რატომ“ გაცნობიერდება, პასუხი გაეცემა, გაიოლდება სწავლების პროცესი, ჯერ მიენიჭება ყოველივე იმას, რასაც მასწავლებელი თუ მოსწავლე აკეთებენ. ამ კითხვაზე პასუხი რწმენას შემატებს ნებისმიერი ასაკის ადამიანს. ეს „რატომ“ გაამართლებს ადრე გაღვიძებასა თუ გვიან დაძინებას, რაღაცაზე უარის თქმას დროისა და ენერგიის დასაზოგავად და მოსწავლეს მიაჩვევს დისციპლინას, მოაწესრიგებს მის ყოველდღიურობას.

მომდევნო კითხვაა: როგორ? რა მეთოდით, ხერხითა თუ ძალისხმევით შეიძლება მივაღწიოთ მიზანს, რა არის საჭირო საკითხისა თუ თემის შესასწავლად, კონკრეტული ამოცანის ამოსახსნელად, დაგეგმილი დავალების შესასრულებლად თუ სრულყოფილი, ღირსეული ცხოვრებისათვის სამომავლოდ?

ყოველდღიურად ეძებ თუ არა რაიმე განსხვავებულ ხერხს, ცდილობ თუ არა გაცვეთილ-გაშაბლონებული, სტერეოტიპული „ინგრედიენტების“ ახალი კომბინაციით დაკავშირებას? გინდა თუ არა, იყო განსხვავებული?

შემდეგი კითხვაა: რა? რას სწავლობ? მაგალითად, მათემატიკას, ბიოლოგიას, ქიმიას, გეოგრაფიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას. როგორ გესმის შესასწავლი საგნის, თემის, საკითხის რაობა? რა დავალებას ასრულებ? რა არის ის, რასაც აკეთებ? რითია მნიშვნელოვანი?

ეს კითხვები სხვებსაც მოიყოლებს, რაც მოსწავლეს კრიტიკულ აზროვნებას მიაჩვევს. კითხვების დასმა ხომ მთავარია, რათა არჩევანი გააკეთო, გადაწყვეტილება მიიღო. სამწუხაროდ, უამრავი სამეცნიერო გამოკვლევა ადასტურებს, რომ რაც უფრო იზრდება ადამიანი, მით უფრო კარგავს კითხვების დასმის უნარს, შესაბამისად, უმცირდება შემოქმედებითი უნარებიც. ზოგს სჯერა, რომ შემოქმედებითი უნარი თანდაყოლილია, მაგრამ კვლევები მოწმობს, რომ ასე არ არის. რა თქმა უნდა, ნიჭის გარეშე არ იქმნება შედევრები, მაგრამ შემოქმედებითად აზროვნება შესაძლებელია. ამას უნდა მიეჩვიოს ადამიანი, უფრო სწორად, არ უნდა მიაძინოს ეს უნარი, რომელიც საუკეთესოდ წარმოჩნდება ბავშვობაში. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ადამიანები ისეთ რობოტებსაც ქმნიან, რომლებსაც ჩატვირთული აქვთ შემოქმედებითი სამუშაოების შესასრულებელი პროგრამები, შეუძლიათ ნახატისა თუ ლექსის შექმნა, ამოცანის სხვადასხვა გზით ამოხსნა, მაგრამ ამ მანქანებს აკლიათ ემოციები. ამიტომ რობოტი ვერასოდეს ჩაანაცვლებს ცოცხალ მასწავლებელს, რომელსაც შეუძლია, მზერით, ჟესტითა და მიმიკით, სიტყვათა ნიუანსობრივი, ინტონაციური მიმოხვრით ისეთი ინფორმაცია გადასცეს მოსწავლეს, რომლის ციფრულ ენაზე თარგმნაც შეუძლებელია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მასწავლებელმა განათლების იოლ გზას, მზამზარეულ რეცეპტებს კი არ უნდა მიაჩვიოს

მასწავლებელი უნდა იქცეს მოტივაციის წყაროდ, შთამაგონებლად. ამისთვის მან ყოველი ხერხი და საშუალება უნდა გამოიყენოს, რათა მოსწავლეს გაკვეთილზე დასწრება უხაროდეს. გაკვეთილის დაწყებამდე დრო კი უნდა დაიმუხტოს შეხვედრის იმგვარი მძაფრი მოლოდინით, რომელიც სწავლების პროცესში მონაწილე ორივე მხარეს მიანიჭებს შემოქმედებით სიხარულს.

მოსწავლეები, არამედ ყოველ გაკვეთილზე ახლის შექმნისკენ უბიძგოს.

ეს კარგად ჩანს ყველასთვის საყვარელი მწერლის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის მოთხრობაში „პატარა უფლისწული“. დიდები ნახატზე ქუდს ხედავენ და არა იმას, რაც ხატია: მახრჩობელა გველს სპილო გადაუყლაპავს. სამაგიეროდ, ამას ხედავს პატარა უფლისწული. მას ყუთში მჯდომი ბატკანიც მოსწონს, რადგან ის თვითონ უნდა დაინახოს. სკოლამ ბავშვებს წარმოსახვის ეს თანდაყოლილი უნარი არ უნდა ჩაუკლას, სერიოზულ ადამიანებად, „სოკოებად“ არ უნდა აქციოს. როგორც სენტ-ეგზიუპერის ოქროსკულულებიანი პერსონაჟი ამბობს: „მე ერთი პლანეტა მეგულება, სადაც წითური კაცი ცხოვრობს. მას არასოდეს უყნოსია ყვავილის სურნელება, არასოდეს შეუხედავს ვარსკვლავებისთვის, არასოდეს ჰყვარებია ვინმე და რიცხვების შეკრება-გამოკლების მეტი არაფერი გაუკეთებია. მთელი დღე შენსავით ერთსა და იმავეს იმეორებს: საქმის კაცი ვარ, სერიოზული კაცი ვარო, – და ამპარტავნად იბღინძება. მაგრამ ის ხომ კაცი არ არის. ის სოკოა!“

პატარა უფლისწული ზრდასრული ადამიანების კიდევ ერთ სამწუხარო ნაკლს ამხელს: „დიდები არასოდეს გკითხავენ იმას, რაც მთავარია. არასოდეს გკითხავენ, როგორი ხმა აქვს შენს მეგობარს, რა თამაში უყვარს, ან პეპლების კოლექციას თუ აგროვებს. ამის მაგიერ გკითხავენ: რამდენი წლისაა, რამდენი ძმა ჰყავს, რამდენს იწონის და რა ჯამაგირი აქვს მამამისსო. და ჰგონიათ, რომ ამით უკვე ყველაფერი გაიგეს. დიდებს რომ უთხრათ, ვარდისფერი აგურისგან ნაგები ლამაზი სახლი დავინახე, რომლის რაფაზე ნემსიწვერა ყვაოდა, ხოლო სახურავზე მტრედები დაგოგმანებდნენო, ვერ მიხვდებიან, როგორია ეს სახლი. მათ ასე უნდა უთხრათ: „მე დავინახე სახლი, რომელიც ასი ათასი ფრანკი ღირს“, – და მაშინ აღტაცებით წამოიძახებენ, რა მშვენიერი სახლი ყოფილაო!“

თანამედროვე მოსწავლეები, „ციფრული აბორიგენები“ (როგორც უწოდა მარკ პრენსკიმ, განათლების საკითხების ამერიკელმა მკვლევარმა), ნებისმიერ ინფორმაციას ელექტრონული სახით იოლად და სწრაფად მოიპოვებენ. ისინი მიჩვეულნი არიან მულტიმედიურ გარემოს, შესაბამისად, მასწავლებლისგანაც გაკვეთილზე ამავეს ელიან. ახალგაზრდა პედაგოგებისთვის ეს უფრო იოლია, ასაკოვან მასწავლებელს კი მეტი ძალისხმევა მართებს. ელექტრონულმა სივრცემ მშობლებთან მასწავლებლის ურთიერთობაც გაამარტივა. პედაგოგს შეუძლია, წერილით აცნობოს მშობელს შვილის შესახებ, დაწვრილებით აღუწეროს მისი ქცევა, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, ცოდნა და სხვა. ე.ი. უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა, მშობელთან ერთად დაგეგმოს მოსწავლის სასიკეთოდ რაიმე ღონისძიება და განახორციელოს კიდეც. მშობელი ვეღარ მოიმიზეზებს უდროობას სკოლაში მიუსვლელობის გასამართლებლად.

წლების წინ პედაგოგები და მოსწავლეები თანაბრად ფლობდნენ ტექნიკას, რომელიც სასწავლო პროცესთან იყო დაკავშირებული. დღეს ასე აღარ არის, მასწავლებელი ხანდახან – და უფრო ხშირადაც – ვეღარ ეწევა მოსწავლეს. ამიტომ მუდმივად უნდა ეცადოს, ახალი უნარები შეიძინოს, გაკვეთილზე გამოიყენოს ვიზუალური ინფორმაცია, მოსწავლეებიც ჩართოს ინტერნეტსივრციდან მრავალფეროვანი რესურსის მოპოვებასა თუ ახალი, დამოუკიდებელი აუდიო- თუ ვიდეომასალის შექმნაში. ასე მასწავლებელიც ბევრ რამეს ისწავლის მოსწავლეებისგან, რასაც შემდეგ მათსავე სასიკეთოდ გამოიყენებს. ასე რომ, ერთადერთი ჯადოსნური ფორმულა შემოქმედებითობაა.

მასწავლებელი უნდა იქცეს მოტივაციის წყაროდ, შთამაგონებლად. ამისთვის მან ყოველი ხერხი და საშუალება უნდა გამოიყენოს, რათა მოსწავლეს გაკვეთილზე დასწრება უხაროდეს. გაკვეთილის დაწყებამდე დრო კი უნდა დაიმუხტოს შეხვედრის იმგვარი მძაფრი მოლოდინით, რომელიც სწავლების პროცესში მონაწილე ორივე მხარეს მიანიჭებს შემოქმედებით სიხარულს.

მაია ფირჩხაძე

მეტასაგნობრივი დავალებები ეფექტიანი სწავლებისთვის

ე.წ. მეტასაგნობრივი დავალებები, მიიღება ჩვეულებრივი დავალების სტრუქტურირებით, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან ახალ მიდგომებს და აზროვნების გააქტიურებას, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე მიღებული ცოდნის „გაერთიანებას“, კომპლექსურად წარმოდგენას.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ დავალებას აქვს თავისი პირობა, რომელშიც ნათლად, გასაგებად უნდა იყოს მითითებული, რას და როგორ მოითხოვენ მოსწავლისგან, რა უნდა მიიღონ შემეცნებითი საქმიანობის საბოლოო პროდუქტად.

დავალების პირობები ძირითადად გულისხმობს შემდეგ ოპერაციებს:

- **შეადარეთ... განაზოგადეთ... გამოიტანეთ დასკვნა... დააკონკრეტეთ... მოიყვანეთ არგუმენტი... და ა.შ.**

თითოეული მათგანი ერთგვარი უნივერსალური სასწავლო ქმედებაა და ამიტომ მეტასაგნობრივიც. პრაქტიკულადაც, ნებისმიერი დავალება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც მეტასაგნობრივი დავალება. გამონაკლისია დავალებები, რომლებსაც ერთმნიშვნელოვნად მარტივი მიზანი აქვს (თუმცა პერიფრაზირებაც რომ ავიღოთ, თუნდაც ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივი, მასაც კი სააზროვნო ოპერაციათა მთელი წყება უდევს საფუძვლად).

საზოგადოდ, შემეცნებით საქმიანობაზე გათვლილი დავალებები მრავალფეროვანია, სხვადასხვაგვარი: ისტორიული/თანამედროვე დოკუმენტების ფრაგმენტები, კონკრეტული სოციალური სიტუაციის ამსახველი მასალა, ცალკეული სქემები, დიაგრამები და სხვა, – რომელთა საფუძველზეც მოსწავლემ უნდა შეძლოს განზოგადება, დაკონკრეტება, შედარება, ლოგიკური, სტრუქტურული, ფუნქციური კავშირების გამოვლენა/დადგენა და ა.შ. ამ მრავალფეროვან დავალებათაგან მნიშვნელოვან პედაგოგიურ პოტენციალს შეიცავს ის დავალებები, რომლებიც მიმართულია შინაარსის წვდომისკენ – აუცილებელი ქმედებების შესასრულებლად. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სწავლის პროცესში, ისე დიაგნოსტიკისთვისაც. მათი შესრულებისას გამოჩნდება, რა სახის უნარების დეფიციტია მოსწავლეებში (და არა სწავლაში არსებული პრობლემები).

ასეთი დავალებები, ე.წ. მეტასაგნობრივი დავალებები, მიიღება ჩვეულებრივი დავალების სტრუქტურირებით, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან ახალ მიდგომებს და აზროვნების გააქტიურებას, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე მიღებული ცოდნის „გაერთიანებას“, კომპლექსურად წარმოდგენას. მასწავლებლები ვალდებული არიან, ასეთ დავალებებზე მუდმივად გასცენ უკუკავშირი, დაურთონ მეთოდური კომენტარები და შეაფასონ მოსწავლის ცალკეული ნაბიჯები.

განვიხილოთ მეტასაგნობრივი დავალების რამდენიმე მაგალითი ისტორიის საგნიდან:

მაგალითი 1. დავალება: ვინ და როგორ მართავდა ეგვიპტეს? (VII კლასი)

ძველი ეგვიპტის ისტორიის შესწავლისას მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს პატარა ბარათებს, რომლებზეც დაწერილია ცნებები: „დიდგვაროვანი“, „მეომარი“, „მწერალი“, „ფარაონი“. ბარათების მიხედვით მოსწავლემ უნდა ააგოს პირამიდა და აღწეროს ის. დავალება უნდა შესრულდეს რამდენიმე წუთში.

კითხვები დავალების შესრულებისთვის:

- როგორ ფიქრობთ, რა პრინციპის მიხედვით არის შედგენილი ბარათები?
- დაალაგეთ ეგვიპტის მოსახლეობა პირამიდის საფეხურებზე (ზემოდან ქვემოთ). ახსენით, რატომ გააკეთეთ ასე.
- დაასათაურეთ სქემა (გამოიყენეთ კონკრეტული

ტერმინი, ცნება, რომლითაც აღნიშნავთ ხელისუფლების ორგანიზებას ეგვიპტეში).

შესაძლო პასუხები და კომენტარები

პასუხები:

1. ფარაონი, დიდგვაროვანი, მწერალი, მეომარი (ჩამოთვლილია რიგობის მიხედვით);
2. წარწერა – სახელმწიფო („ხელისუფლება“, „ხელისუფლების ორგანიზაცია“, „მართვა“ და ა.შ).

შემეცნებითი უნარები, რომელთა ფორმირებაც მოხდა:

- ცნების განსაზღვრა (მოსწავლეებმა გააერთიანეს საგნები და მოვლენები გარკვეული ნიშნების მიხედვით);
- მოდელებისა და სქემების გამოყენება (მოსწავლეებმა შესაძლოა შექმნან ხელისუფლების აგების აბსტრაქტული მოდელი);
- მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირების განსაზღვრა;
- ინდუქციური ლოგიკური კავშირების აგება და დასკვნების გამოტანა (მოსწავლეები გამოავლენენ კავშირებს და ურთიერთობებს საგნებსა და მოვლენებს შორის).

მეთოდური კომენტარები:

ა) მოცემული დავალება შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიის გაკვეთილზე, ძველი სახელმწიფოების შესწავლის დროს, ცნება „სახელმწიფოს“ ფორმირებისთვის.

ბ) დავალების შესრულებისას მნიშვნელოვანია, მოსწავლე გაერკვიოს, რატომ არ მიიღეს ბარათები წარწერით „ხელოსანი“, „მეთემე“.

გ) დავალებას შესაძლოა ჰქონდეს განმავითარებელი ხასიათი: ბარათის ამა თუ იმ საფეხურზე განთავსების დროს მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რატომ გააკეთეს ეს არჩევანი.

მაგალითი 2. აღორძინება იტალიაში (VIII კლასი)

დავალების პირობა: წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალება.

რენესანსი იყო ანტიკური კულტურის აყვავების, ანტიკურობით გატაცების პერიოდი. მთავარი იდეა, რომელიც ბატონობდა XIV-XVII საუკუნეებში, ანტიკურობის აღორძინება იყო. მიჩნეულია, რომ რომაული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი – ლიტერატურა, ქანდაკება და არქიტექტურა – გაანადგურეს ბარბაროსებმა – გოთებმა, რომელთაგანაც მომდინარეობს შუა საუკუნეების არქიტექტურული სტილის – გოთიკის სახელწოდება.

აღორძინების ხანის მწერლები და მხატვრები ჩაულრმავდნენ წარსულს. დაყვეს ის პერიოდებად: ანტიკურ ხანად, ბარბაროსულ ეპოქად („ბნელ საუკუნეებად“), შუა საუკუნეებად. დაიწყეს ანტიკური ტრადიციების კვლევა, განახლება, ძველი არქიტექტურული ფორმების აღდგენა (მაგალითად, პეტრარკა გატაცებული იყო ციცერონით, დონატელო ძველი რომის ნანგრევებს სწავლობდა...). მუსიკოსებმა ძველი ჰანგების აღდგენაც კი სცადეს, ხოლო მასწავლებლებმა – განათლების კლასიკური სისტემის რეკონსტრუქცია: დაინტერესდნენ გრამატიკით, რიტორიკით, სიტყვათწყობით, ისტორიით, ეთიკით, მაშასადამე, იმ საგნებით, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის შინაგანი „მე“-ს გახსნას. აქედან მომდინარეობს აღორძინების ეპოქის სახელწოდებაც: „ჰუმანიზმი“. ერთმა მოაზროვნემ აღორძინების ხანას „ახალი საუკუნის ტრიუმფიც“ კი უწოდა.

კითხვები და დავალებები:

1. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ აღორძინების ხანაში არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ცოდნის სხვა სფეროებშიც მნიშვნელოვანი გარღვევა მოხდა. მოიყვანეთ არგუმენტი და გამოიყენეთ გეოგრაფიის, ისტორიის და სხვა საგნებიდან მიღებული ცოდნა.
2. იპოვეთ ტექსტში შეფასებითი ხასიათის მტკიცებულება და შეავსეთ ის ამ ეპოქის თქვენეული შეფასებით.
3. შეადგინეთ/შეავსეთ ტექსტის გეგმა:
   ა) ცალკეული პუნქტების მიხედვით;

ევრისტიკული მეთოდის მოდელირება დიალოგის ფორმით ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობისთვის, ხელს უწყობს თვითკონტროლს და უნარების განვითარებას, ცოდნის აქტუალიზაციას. მუშაობისას მოსწავლე და მასწავლებელი თანაბრად ერთვებიან სასწავლო პროცესში და სწორი კომუნიკაციური კავშირის გზით საინტერესო შედეგამდე მიდიან.

ბ) მოკლე თეზისების სახით.

პასუხები და კომენტარები

პასუხები:

1. შესაძლებელია ისეთი მაგალითების მოყვანა, რომლებიც ამტკიცებს, რომ: „რენესანს მოჰყვა მთელი რიგი აღმოჩენები გეოგრაფიაში (მათ შორის – მოგზაურობა დედამიწის გარშემო, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, კომპასი, სანავიგაციო ხელსაწყოები...), საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მედიცინაში... საბეჭდი დაზგის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონება...
2. შესაძლებელია შემდეგი მტკიცებულების მოყვანა: „რენესანსი კულტურის აყვავების პერიოდია – „ახალი დროის ტრიუმფი“.
3. შეადგინონ გეგმა ცალკეული პუნქტების მიხედვით ძირითად ცნებებზე:

ა) „რენესანსი“, „აღორძინება“.. „აღორძინების პერიოდის იტალიის კულტურა“, „აღორძინების პერიოდის იტალიის გამოჩენილი მოღვაწეები“;

ბ) მოკლე თეზისები:

- რენესანსის არსი: კულტურის აყვავება, ბარბაროსების (გოთები) მიერ რომაული კულტურის განადგურება;
- მთავარი იდეაა ანტიკური კულტურის აღორძინება; ხდება წარსულის გადახედვა და მისი პერიოდიზაცია;
- აღორძინება ანტიკურობის მიმართ ინტერესის გაღვივება, შედევრების მიბაძვა და ძველი ზნეობრივი ნორმების გაცნობაა;
- აღორძინების ხანის იტალიურმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპაზე (ლიტერატურის გამოცოცხლება...).

შემეცნებითი ინტერესის ფორმირება:

- ანალიზი, ინფორმაციის შედარება, წყაროს ტექსტის ზედმიწევნით გააზრება;
- არსებული ცოდნის აქტუალიზაცია, ცოდნის ინტეგრაცია;
- კერძოდან – ზოგადის, ზოგადიდან – კერძო დეტალების გამოყოფა;
- მტკიცებულებათა არგუმენტირება.

მეთოდური კომენტარი:

მასალის გამოყენება შეიძლება ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების გაკვეთილებზე. შესაძლებელია დისკუსიაც: შეიძლება თუ არა, აღორძინებას „ახალი დროის ტრიუმფი“ ეწოდოს? მოიყვანეთ ყველა შესაძლო არგუმენტი... და ა.შ.

მეტასაგნობრივი დავალებები ეფექტურია შედეგების თვალსაზრისით. ხელს უწყობს თავისუფალი, მობილური, ინტელექტუალური ადამიანის ჩამოყალიბებას, საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვას, ინფორმაციასთან მუშაობისა და არასტანდარტულ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღების უნარების ფორმირებას, ე.წ. მეტასაგნობრივი კომპეტენციებისა და უნივერსალური სასწავლო ქმედებების დაუფლებას და წარმატებით გამოყენებას სწავლებაში.

მანანა სეხნიაშვილი

კომპლექსური დავალებები დისტანციური სწავლებისას

უფრო და უფრო აქტუალური ხდება სწავლების სტრატეგიები და მეთოდები, რომლებიც ქმნის ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების, საჭირო ინფორმაციის შეგროვების, ჰიპოთეზების წამოყენებისა და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

დღეს, გლობალური ინფორმაციის ეპოქაში, საჭიროა თაობა, რომელსაც შეუძლია, არა მხოლოდ დამოუკიდებლად და კრიტიკულად შეაფასოს, დაალაგოს და გაფილტროს ინფორმაციის ნაკადი, არამედ მაღალი ხარისხის საინფორმაციო პროდუქტიც შექმნას. ეს ეხება მოსწავლეებსაც. მათ კარგად იციან, როგორ მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ქსელში, მაგრამ ყოველთვის არ იციან, პრობლემის გადასაჭრელად როგორ შექმნან მაღალი ხარისხის პრაქტიკულად საჭირო რესურსი.

უფრო და უფრო აქტუალური ხდება სწავლების სტრატეგიები და მეთოდები, რომლებიც ქმნის ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების, საჭირო ინფორმაციის შეგროვების, ჰიპოთეზების წამოყენებისა და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

ზოგადი დიდაქტიკა და აკადემიური საგნის კერძო მეთოდები მოსწავლეთა დამოუკიდებლობისა და თვითგანვითარების უნარების გამომუშავებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას მოითხოვს. ეს გულისხმობს სწავლების ახალი ფორმებისა და მეთოდების მოძიებას, განათლების შინაარსის განახლებას. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია პროექტებით, აქტიური სწავლების სხვადასხვა ფორმით, კომპლექსური დავალებებით.

კომპლექსური დავალებები ქმნის ხელსაყრელ პირობებს აქტიური, შემოქმედებითი და დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. მოსწავლეები სწავლობენ ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას, უნარების გამოყენებას.

დღეს აქტუალურია დისტანციური სწავლების საკითხი. დისტანციური სწავლება არის განათლების ახალი ფორმა, რომელიც გულისხმობს ისეთ საშუალებებს, მეთოდებს, განათლების ორგანიზაციის ისეთ ფორმებს, რომლებიც ინფორმაციული ქსელებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით ხორციელდება.

დისტანციური სწავლების ნებისმიერი მოდელი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა დამოუკიდებელი შემეცნებითი საქმიანობის მოქნილ კომბინაციას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროსა და სასწავლო მასალასთან. სწავლების ეს მოდელი გულისხმობს სასწავლო პროცესში ინოვაციური პედაგოგიური ტექნოლოგიების ჩართვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოიცავს როლური თამაშების ორგანიზებას, თანამშრომლობის სწავლას და ა.შ. ყველა მათგანი ხელს უწყობს მონაწილეთა შესაძლებლობების გამოვლენას და, იმავდროულად, პიროვნების სოციალური თვისებების ფორმირებას (გუნდში მუშაობის უნარი, სხვადასხვა სოციალური როლის შესრულება, ერთობლივ საქმიანობაში ერთმანეთის დახმარება). ამიტომ დისტანციური სწავლების პროცესში დამოუკიდებელი სამუშაო უნდა დაიგეგმოს ისე, რომ არა მარტო საპროგრამო მასალის აღქმას უზრუნველყოფდეს, არამედ მოსწავლეთა განვითარებასაც უწყობდეს ხელს.

სამუშაოს ერთ-ერთი ფორმაა დისტანციური კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებისას მოსწავლეები არა მხოლოდ პრაქტიკულად იყენებენ შეძენილ უნარებს, არამედ სამუშაოს ახალ მახასიათებლებსაც სწავლობენ. ეს მოტივირებული სწავლის წინაპირობაა და არა უბრალოდ მასწავლებლის გამოცდილების გადაცემის საშუალება.

ამასთან, დისტანციური სწავლების ფონზე ჩვენ ვეჯახებით პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ორგანიზების თავისებურებებს.

ტრადიციული ეტაპები (პროცესში ჩართვა, სამუშაოების დაგეგმვა, შედეგების პრეზენტაცია, შეფასება, ასახვა) მონაწილეებთან პირისპირ კომუნიკაციით კი არ ხორციელდება, არამედ ქსელური კორესპონდენციის ფორმით – ფორუმზე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. მასწავლებლის ფუნქციები იგივე რჩება: მიზნების დასახვა, მოსწავლეთა საქმიანობის ორგანიზება, აქტივობათა მართვა და მიღებული შედეგების შეფასება.

როგორც დაგეგმვის, ისე კომპლექსური დავალების ნებისმიერ ეტაპზე პედაგოგი სთავაზობს მოსწავლეებს მუშაობის პირობებსა და ნაბიჯებს.

როგორ დავგეგმოთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა დისტანციური სწავლების გარემოში?

გთავაზობთ თითოეულ ეტაპს და აქტივობას დისტანციური სწავლების პირობებში. ეს ეტაპები პირობითია და მატრიცაში არსებულ ეტაპებს არ უკავშირდება.

პირველი ეტაპი მოიცავს ისეთი პრობლემის ფორმულირებას, რომელთა შესწავლაც მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლეებისთვის. ის იწყება დავალების საკითხის (თემის), მისი ტიპის, საბოლოო პროდუქტის, მონაწილეთა რაოდენობის, მიზნებისა და ამოცანების გაცნობით. დავალება საინტერესო და აქტუალური უნდა იყოს.

როგორ გავაკეთოთ ეს? დავალება ფორმულირებული უნდა იყოს მოსწავლისთვის ბუნებრივი ენით და ისე, რომ მას ინტერესი გაუჩნდეს. თავად პრობლემებს მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით გამოყოფენ. მართალია, მასწავლებელი თემიდან გამომდინარე არჩევს საკითხს, აკავშირებს მას ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან, მაგრამ მთავარი მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობაა, რასაც აუცილებლად მივაღწევთ, თუ მათი ინტერესების სფეროსაც გავითვალისწინებთ. დიდი მნიშვნელობა აქვს წარდგენას და კითხვის დასმას, რომელიც არსებით როლს ასრულებს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაში. როდესაც გაკვეთილზე მოსწავლეებს, მათი დაინტერესების მიზნით, ვუთხარი, რომ ახალ დავალებას ვიწყებდით და მივეცი სამი მინიშნება, მათ გამოთქვეს ვარაუდი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს. ამ მარტივი აქტივობის შედეგად რამდენიმე საინტერესო საკითხიც გამოიკვეთა.

მომდევნო ნაბიჯი მოიცავს ისეთი გეგმის შემუშავებას, რომელიც დასახული მიზნისკენ წაგვიყვანს. მეორე ჩართვისას ჯგუფები უკვე შექმნილი იყო, სამოქმედო გეგმა – დასახული. ამ ეტაპზე მოსწავლეებმა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: „რა უნდა გაკეთდეს? რა მეთოდებს გამოიყენებთ? რა შედეგი მოჰყვება დავალებას? როგორ ფიქრობთ, როგორი პროდუქტი იქნება უფრო მისაღები და ეფექტური/ეფექტიანი?“

ერთად დაიგეგმა დავალებები და განაწილდა როლები, თითოეულ მოსწავლეს მიეცა განსაზღვრული მოცულობის სამუშაო.

მოსწავლეებს ყველა ეტაპზე სჭირდებათ დახმარება. ორგანიზებაში დაგვეხმარა ვიდეოკონფერენცია, რომელზეც განვიხილეთ ყველა წამოჭრილი კითხვა.

ინფორმაციის ძიების მეორე ეტაპი – ეს არის მასალების დამოუკიდებელი დამუშავება, ძირითადის ხაზგასმა (არსებითისა და უმნიშვნელოს

კომპლექსური დავალებები ქმნის ხელსაყრელ პირობებს აქტიური, შემოქმედებითი და დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. მოსწავლეები სწავლობენ ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას, უნარების გამოყენებას.

გამოჯვნა), სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის განზოგადება და ანალიზი, სადავო საკითხებზე დისკუსია. ამ ეტაპზე რეფლექსია სავალდებულოა.

დისტანციური სწავლების პირობებში რეფლექსია შეიძლება აისახოს დავალებების კომენტარებში. მოსწავლეებმა გააზიარეს გეგმები, რუკები, თვალსაჩინოებები, შეაგროვეს მასალა, განიხილეს მონაწილეებსა და „დამკვირვებლებთან" ერთად.

მესამე ეტაპი: კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ გაკეთდა დასკვნები, მოსწავლეებმა წარადგინეს პროდუქტი.

ეს დავალება შეიძლება შესრულდეს ჯგუფში.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ბოლო, მეოთხე ეტაპია პრეზენტაცია. მონაწილეები აჯამებენ კომპლექსური დავალების შედეგებს, პასუხობენ კითხვებს, რომლებიც მიზნად ისახავს პროექტის ეფექტურობის დადგენას და მათი საქმიანობისა და პროდუქტის შეფასებას: მიაღწიეს თუ არა მიზანს, რა გაკეთდა, როგორ იყო დაგეგმილი, რისი ბრალია წარუმატებლობა და გეგმიდან გადახრა, რა სირთულეებს შეეჯახნენ და ა.შ.

პრეზენტაციის დროს ურთიერთშეფასების გამოყენება ძალიან ეფექტურია. ამ დროს ყველა ყურადღებით ისმენს და ჩართულია სასწავლო პროცესში.

დისტანციური სწავლება იძლევა მულტიმედიური რესურსების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას. როგორც კი მოსწავლეები გამოცდილებას შეიძენენ, უკვე პრეზენტაციისთვის დამოუკიდებლად მომზადებაც შეეძლებათ. ჩემი როგორც მასწავლებლის ამოცანაა, ვასწავლო მათ სწორად ორიენტირება და შესაბამისი ქცევის ჩამოყალიბებაში დავეხმარო.

ვფიქრობ, ამ გამოცდილებაში მთავარი ის არის, რომ კომპლექსური დავალების აქტივობები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გააგრძელონ კომუნიკაცია, ურთიერთქმედება, პრობლემების გადაჭრა და ერთად დაეუფლონ კომპიუტერს. მუშაობის დროს მოსწავლეებს ჰქონდათ ოპერატიული უკუკავშირი, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა, სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული დავალებები გაეანალიზებინათ.

ასეთი დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, იმუშაოს ერთდროულად ჯგუფშიც და ინდივიდუალურადაც.

ქეთევან ოსიაშვილი

შეკითხვა – სწავლებისა და საუბრის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

შეკითხვები, მათი სწორად ფორმულირება, შერჩევა და გამოყენება ყოველთვის იყო სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მნიშვნელოვანი წინაპირობა, მაგრამ შეკითხვების როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა დღეს, როდესაც მასწავლებლებს ხშირად ვესაუბრებით მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაზე, სწავლებისადმი კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე, ინტერაქციული სწავლების უპირატესობაზე, მაღალი დონის საზროვნო უნარების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. გარდა ამისა, მოსწავლესთან დაკავშირებული ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად პედაგოგს ხშირად უწევს საუბარი მშობელთან, კოლეგასთან, თავად ბავშვთან. ვინაიდან შეკითხვა საუბრის ძირითადი ელემენტი და თანამოსაუბრისგან ინფორმაციის მიღების მთავარი საშუალებაა, საუბრის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად სწორად იქნება შერჩეული, ფორმულირებული და გამოყენებული შეკითხვები.

შეკითხვები გვეხმარება ახალი ინფორმაციის მიღებაში ან ჩვენს ხელთ არსებულის დაზუსტებაში, ასევე – საკუთარი აზრის, შეფასების, პოზიციის დემონსტრირებაში, თანამოსაუბრის ცნობიერებისა და ემოციების მომართვაში. ყოველივე ამასთან ერთად, უფროსების – პედაგოგებისა და მშობლების – მხრივ კითხვების სწორად დასმა მოზარდებისთვის კითხვების დასმის უნარის განვითარების კარგ საშუალებას წარმოადგენს, ეს უნარი კი, თავის მხრივ, ძალიან სასარგებლოა. ვინაიდან შეკითხვა შემეცნების ინსტრუმენტია, ბევრი პედაგოგი მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის დონეს განსაზღვრავს იმის მიხედვით, როგორ და რა კითხვებს სვამენ ისინი. დღეს ხშირად მოისმენთ საყვედურებს მოზარდების მისამართით იმის გამო, რომ მათ უჭირთ შეკითხვების დასმა. მათ მიერ დასმული შეკითხვები, როგორც წესი, მარტივია, პრიმიტიული, ეფუძნება მხოლოდ ფაქტებს; კარგად გააზრებულ და ფორმულირებულ შეკითხვებს იშვიათად სვამენ. ამდენად, მნიშვნელოვანია, აღნიშნული უნარის განვითარებას სწავლების პროცესში სერიოზული ყურადღება დაეთმოს. ადამიანი, რომელსაც კითხვების დასმის უნარი აქვს, უკეთესად ორიენტირებს გარე სამყაროში, ვიდრე ის, ვისაც ეს უნარი არ გააჩნია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბავშვები ადვილად სწავლობენ დაკვირვებით და ადვილად ახდენენ უფროსების ქცევის მოდელირებას, პედაგოგებისა და მშობლების მიერ ბავშვთან ურთიერთობისას შეკითხვების სწორად გამოყენება შეიძლება კითხვების დასმის უნარის განვითარების ეფექტიან საშუალებად იქცეს.

შეკითხვა საუბრის ძირითადი ელემენტი და თანამოსაუბრისგან ინფორმაციის მიღების მთავარი საშუალებაა. საუბრის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად სწორად იქნება შერჩეული, ფორმულირებული და გამოყენებული შეკითხვები.

როგორ დავსვათ კითხვები, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვებში, ერთი მხრივ, შემეცნებითი უნარების, მეორე მხრივ კი კითხვების დასმის უნარის განვითარებას?

- უპირველეს ყოვლისა, ბავშვისთვის დასმული შეკითხვა უნდა იყოს მოკლე და მკაფიო. როდესაც შეკითხვა ერთ წინადადებაშია ჩატეული, მოზარდს ზედმეტ მინიშნებებს არ ვაძლევთ. ამასთან ერთად, მოკლე შეკითხვები, ჩვეულებრივ, უფრო გასაგებია და პრობლემის არსს უფრო ნათელს ხდის. შეკითხვის ფორმულირებისას შევეცადოთ, აზრი მოკლე ფრაზით გამოვხატოთ და დავიწყოთ კითხვითი სიტყვით.
- შეკითხვების ფორმულირებისა და გამოყენების დროს ვიყოთ თანმიმდევრულები. თუ შეკითხვებს ისე ავაგებთ, რომ თანმიმდევრულობა დაცული იყოს,

მოზარდებს განსახილველი საკითხის არსში გარკვევის კარგ პირობებს შევუქმნით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისკუსიის წარმართვის დროს. საწყისმა შეკითხვებმა დისკუსიის მონაწილეებს საკითხის განხილვის სურვილი უნდა აღუძრას. ამას უნდა მოჰყვეს ისეთი შეკითხვები, რომლებიც გააღრმავებს და შეავსებს ძირითად შეკითხვას. დასკვნითი შეკითხვები კი დისკუსიის შეჯამებაში უნდა დაგვეხმაროს. იმისთვის, რომ სადისკუსიო საკითხის ეფექტიანად განხილვა შევძლოთ, აუცილებელია, წინასწარ მოვამზადოთ ძირითადი კითხვები, ყურადღებით მოვისმინოთ პასუხები და პერიოდულად განვაზოგადოთ გამოთქმული მოსაზრებები. ყოველივე ეს საუბრის მონაწილეებს საშუალებას მისცემს, დამოუკიდებლად შეიძინონ ახალი ცოდნა.

- შევეცადოთ, მოვუსმინოთ და გავუგოთ მოზარდებს, როცა მათ შეკითხვით მივმართავთ. შეკითხვის სწორად ფორმულირებასთან ერთად, მოსმენასაც დიდი როლი ენიჭება საუბრის ეფექტიანად წარმართვაში. ცნობილია, რომ ადამიანები, განსაკუთრებით მოზარდები, ძალიან არიან დამოკიდებულნი ჯგუფის აზრზე და იშვიათად ეწინააღმდეგებიან მას, მაშინაც კი, როდესაც ის, მათი თვალთახედვით, არ შეესაბამება საღ აზრს თუ გარკვეულ პრინციპებს. ამიტომ, თუ აუდიტორიას შეკითხვით მივმართავთ, გავითვალისწინოთ: მაშინაც კი, როდესაც უმრავლესობა ერთ აზრზეა, ეს აზრი არ უნდა მივიღოთ როგორც ყველაზე სწორი. მზად ვიყოთ ისეთი პასუხის, ისეთი თვალსაზრისის მოსასმენადაც, რომელიც ჯგუფის საერთო აზრისგან განსხვავდება.
- შეკითხვები ისე ჩამოვაყალიბოთ, რომ არ იყოს შთამაგონებელი, არ მოიცავდეს მზა პასუხს და თავს არ ვახვევდეთ ბავშვს ჩვენს აზრს. „შენ ეს პერსონაჟი არ მოგწონს, არა? შენ ხომ არ მოიქცეოდი ასე?“ - ამგვარად დასმული კითხვები ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარებას და ვერ იქნება კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა დაისვას შეკითხვა.
- გამოვიყენოთ უფრო მეტად ღია, შემოქმედებითი კითხვები, რომლებზეც ბავშვმა შეიძლება პასუხის სხვადასხვა ვარიანტი მოიფიქროს და რომლებიც მას დიალოგის გაგრძელების სურვილს აღუძრავს.

დაბოლოს, კითხვების დასმისას არ დავივიწყოთ კეთილგანწყობილი ტონი, ვიყოთ შემწყნარებელი, როცა ბავშვს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა ან არასწორ პასუხს იძლევა. ნუ ვაქცევთ ამას ტრაგედიად. ბავშვს აქვს შეცდომის უფლება – ის ხომ მოსწავლეა, სწავლობს. მან უნდა იცოდეს, რომ ამ პროცესში ბევრ სირთულეს შეხვდება და სწორედ იმისთვის სწავლობს, რომ ეს სირთულეები გადალახოს.

შეკითხვები გვეხმარება ახალი ინფორმაციის მიღებაში ან ჩვენს ხელთ არსებულის დაზუსტებაში, ასევე – საკუთარი აზრის, შეფასების, პოზიციის დემონსტრირებაში, თანამოსაუბრის ცნობიერებისა და ემოციების მომართვაში.

ინტერნეტგაზეთი
WWW.MASTSAVLEBELI.GE
სამასწავლებლო | კედლის გაზეთი | გალერეა | პედსაბჭო | ზარია! | კონტაქტი
www.mastsavlebeli.ge
განათლება – თავისუფლებაა!
www.mastsavlebeli.ge

შორენა ტყეშელაშვილი

გოგოების გვერდით

ამასწინათ, ანასტასიას, ჩემს ექვსი წლის გოგონას, ელინორ პორტერის „პოლიანა“ წავუკითხე. პატარა ობოლი გოგონას შესახებ საუცხოოდ მოთხრობილმა ამბავმა ისე დამაინტერესა, კითხვის ძილისწინა რიტუალს ვეღარ დაველოდე და იმ დღესვე დავამთავრე.

„პოლიანას“ წაკითხვის სიამოვნება ბავშვობაში არ მქონია, რადგან ის ცოტა ხნის წინ თარგმნეს. ამიერიდან უფრო მეტი მკითხველი გაიცნობს კეთილ და იმედიან პერსონაჟს და, ვფიქრობ, თანამედროვე ბავშვები მასაც ისევე შეიყვარებენ, როგორც სხვა, უკვე ცნობილ ლიტერატურულ გმირებს.

თერთმეტი წლის პოლიანა ერთადერთ ცოცხალ ნათესავთან - დეიდასთან მიემგზავრება. ლამაზ და მდიდრულად მორთულ სახლში, როგორზეც პოლიანა მანამდე ოცნებობდა, არც ისეთი კეთილი დამოკიდებულება და სასიამოვნო ატმოსფერო ხვდება.

პოლიანა მხიარული და კეთილი გოგონაა, რომელსაც განსაკუთრებული უნარი აქვს, ადამიანებს სიხარული განაცდევინოს. მისი ძლიერი მხარე და ბედნიერების გასაღები საიდუმლო თამაშია, რომელსაც ბავშვობიდან თამაშობს. „სიხარულობანა“ – ასე ჰქვია თამაშს, რომელიც გოგონას მოძღვარმა მამამ ასწავლა. მისი პრინციპი ასეთია: ამბებში, რომლებიც ჩვენს თავს ხდება, ყოველთვის შესაძლებელია რამე სასიხარულოს პოვნა. პოლიანა სხვებსაც ამას ასწავლის: როცა ჩვენ გარშემო ყველაფერი ძალიან ცუდადაა, როგორ ვიპოვოთ ნუგეში და სიხარული, რომელიც გადაგვარჩენს და სიცოცხლის სურვილს დაგვიბრუნებს. მამამ პოლიანას მთავარი ცხოვრებისეული სიბრძნე გაუზიარა, რომელსაც მარტო დარჩენილი პატარა გოგო წარმატებით იყენებს.

მშობლობის მთავარი დანიშნულება შვილის გაძლიერებაა, იმ უნარების გაღვივება, რომლებიც რთულ სიტუაციებში დაეხმარება მაშინ, როცა თავად ვერ შეეძლებთ მის დახმარებას ან ფიზიკურად ვერ ვიქნებით მის გვერდით – როგორ გადაირჩინოს თავი, როგორ დაუძვრეს პრობლემების სქელ ღრუბელს, ვის სთხოვოს დახმარება? ამ ყველაფრის სწავლება შესაძლებელია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. როგორ მოვახერხებთ ამას, ეს უკვე ჩვენს – მშობლების ოსტატობაზეა დამოკიდებული.

რა ხდება გოგონების თავს? როგორ გრძნობენ თავს ისინი, როდესაც მარტო აღმოჩნდებიან განსაცდელის პირისპირ? ვის სთხოვენ დახმარებას, როცა უჭირთ? გვიყვებიან პრობლემების შესახებ თუ ჩუმად არიან? ან რატომ არ გვთხოვენ დახმარებას ჩვენ? როგორ მოვიქცეთ, რომ უფრო ძლიერები, უფრო თავდაჯერებულები, ბედნიერები და ლაღები იყვნენ? როგორ დავიცვათ მათზე უფრო ძლიერებისა და უხეშებისგან? – მშობლობა ასეთ კითხვებზეც მოითხოვს პასუხს.

თოთხმეტი წლის ნინის ისტორია ყველამ გავიგეთ, ყველა შეგვზარა. მას შემდეგ კვირა არ გავა, რამე ამბავი არ გავიგოთ პატარა გოგონებზე, რომლებზეც იძალადეს, დაჩაგრეს, სცემეს, გული ატკინეს და რომლებსაც არავინ ჰყავდათ ისეთი, ვისაც ენდობოდნენ, ვინც მათ ტრაგიკულ ამბებს დაიტევდა, თანაუგრძნობდა...

მთელი ამ ხნის განმავლობაში ელინორ პორტერის პოლიანა მახსენდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი თავგადასავალი არ ჰგავს ჩვენი გოგონების თავგადასავლებს, სადაც ისინი მარტო რჩებიან უდიდესი პრობლემების პირისპირ.

„პოლიანას“ გმირი ჩვენი ტრაგიკული გოგონებისგან იმით განსხვავდება, რომ მშობელმა მთავარი ცხოვრებისეული სიბრძნე ასწავლა და მერე, როცა უკვე აღარ იყო მის გვერდით, გოგონას მამისგან ნასწავლი სიბრძნე იცავდა, ძალას მატებდა.

ჩვენ რას ვასწავლით ჩვენს გოგონებს? როგორ უნდა მოიქცნენ, თუ პრობლემების უფსკრულს შეეჩეხებიან? ვაძლევთ იმედს, რომ მათ დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებთ? ვაძლიერებთ თუ ვკიცხავთ, ვარცხვენთ და კიდევ უფრო მეტ ტკივილს ვაყენებთ?

ბესო პაპასქუა

ზღაპრის კვალდაკვალ

2012 წელს, სამაგისტრო ნაშრომის დაცვიდან ზუსტად ათ დღეში, თავი ჯარში მიკრეს. თბილისის 31-ე საავიაციო ქარხნის ეზოში გამოკეტილი, წელიწადი და ორი თვე გავდიოდი სამხედრო სავალდებულო სამსახურს. 2013 წელს სამხედრო ბაზა საკონტროლო გამშვები პუნქტის გამოსასვლელიდან დავტოვე. ამას მანამდეც სიამოვნებით გავაკეთებდი, მაგრამ არ მიშვებდნენ.

ჯარი ათასგვარი სირთულისა და დეფიციტის ადგილია, მათ შორის – ინტელექტუალურისაც. ხშირად რომელიმე ონავარი სერჟანტი ჯარისკაცს სმენაზე დადგომას უბრძანებს და წარბშეკრული ეუბნება: „ახლა კითხვას დაგისვამ და თუ ძალიან სწრაფად არ მიპასუხებ, მთელი დღე პახაობაში ამოგხდი სულს“. მერე სიგარეტს უკიდებს და შეშინებულ ჯარისკაცს, რომელიც მთელი გონებით სხარტი პასუხის გაცემაზეა ორიენტირებული, ეკითხება: „რომელ წელს მოხდა 2008 წლის ომი?“ „2012 წელს, ბატონო სერჟანტო!“ – პასუხობს ზამბარასავით დაჭიმული ჯარისკაცი.

ჯარში მიღებული ტრავმების მოსაშუშებლად წლები თუ არა, თვეები მაინც არის საჭირო. მე წლები არ დამჭირვებია. ფოთში წამოვედი, ჩემს სახლში, და მიუხედავად იმისა, რომ ოთახში წიგნებით სავსე კარადა მედგა, მათკენ არც კი გამიხედავს. სამაგიეროდ, ყოველ დილით ზუსტად 5 საათსა და 50 წუთზე ვაჭყეტდი თვალებს და კარგა ხანს ვერ ვხვდებოდი, ნამდვილად საკუთარ ლოგინში ვიწექი თუ ისევ ყაზარმაში, რკინის ორსართულიანი საწოლის მეორე სართულზე. მერე კომპიუტერთან ვჯდებოდი და შუადღემდე ვთამაშობდი Call of duty-ს. ჯარის დამთავრებიდან სამ თვეში ჩემს ანგარიშზე უამრავი მოკლული ვირტუალური ჯარისკაცი, წარმატებით დახურული ტური და გარღვეული ალყა იყო. სამი თვის თავზე დედაჩემი წამომადგა თავს და ნახევრად ხუმრობით სრულიად ჯადოსნური რამ მითხრა: „დროა, ჯამაგირის საშოვნელად წახვიდე“. რაღაც მეცნო. თაროსთან მივედი და ძველ წიგნებში დავიწყე ქექვა. ბოლოს ზღაპრების კრებული აღმოვაჩინე, გადავშალე და მთელი დღე და ღამე გავასწორე მათ კითხვაში.

ზღაპრის მორფოლოგიაში არსებობს ასეთი ცნება: შტამპი. ის მყარ, განმეორებად სიუჟეტს გულისხმობს. ერთ-ერთი ასეთი სიუჟეტის მიხედვით, შვილის სახლიდან გასვლისა და მოგზაურობის აქტი მშობლების მოთხოვნითაა პროვოცირებული და სწორედ ეს იქცევა ნამდვილი თავგადასავლის დაწყების საფუძვლად. ასე გახდა ჩემი ახალი თავგადასავლის სულისჩამდგმელი ქალი, რომელიც, დღემდე მჯერა, ზღაპრის გმირია.

დასაქმების საიტებს დავუწყე თვალთვალი, მაგრამ არაფერი ჩანდა. მალე ბავშვობის ძმაკაცმა დამირეკა და მითხრა, რომ ბათუმში მიდიოდა სამუშაოდ და ვერაფრით მოეფიქრებინა, რა ჯანდაბა მოეხერხებინა ერთი ზედმეტი წერაქვისთვის. გავყევი. კაი ხანს ვთხრიდით რაღაც ტრანშეებს. იქ აღებული ფული მალე დამიმთავრდა. რამე ახალი იყო საჭირო. ავიკარი გუდა-ნაბადი, ჩავიდე შიგ ქართული ზღაპრების სქელი კრებული – ის ერთადერთი წიგნი, რომლის წასაკითხადაც მეყო ნებისყოფა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში – და თბილისისკენ დავაწექი.

ზუსტად არ ვიცოდი, რა მინდოდა, მაგრამ მზად ვიყავი ნებისმიერი გამოწვევისთვის. ელიავას ბაზრობაზე, სანტექნიკის მაღაზიაში უნდა დამეწყო მუშაობა გამყიდველად, მაგრამ საქმე არ აეწყო. მალე კი შემოსავლების სამსახურმა დადო ვაკანსია მებაჟის თანამდებობაზე და ოჯახის უხუცესი წევრის, ბებიაჩემის კატეგორიული მოთხოვნით, რომელმაც ამ უწყებაში წამყვან პოზიციაზე მომუშავე ჩვენი ოჯახის ერთ ახლობელთან მიშუამდგომლა, განაცხადი შევიტანე. ახლობელმა სრულიად დესპოტური ბარიერი დამიწესა: „ზოგადი უნარების გამოცდა უნდა ჩააბაროო“.

ჩავიჭერი. გეპეის კორპუსიდან გამოსული, გამოვცდი ზოოპარკს, ამოვიარე ვარაზის ხევი და სტუდენტებით სავსე უნივერსიტეტის ეზოსთან რეტი დამეწია, სკამთან ჩავიკეცე. რატომღაც ზურაბ კიკნაძე და მისი ყვითელყდიანი დიდი წიგნი დამიდგა თვალწინ, რომლითაც ქართული ფოლკლორის სწავლისას, პირველ თუ მეორე კურსზე ვხელმძღვანელობდით – შტამპები, დეკები, გველეშაპები... ტელეფონი ამოვიღე და დედაჩემს დავურეკე, ზღაპრის გმირს: „ჩავიჭერი, დე“. და გავუთიშე. ყელში რაღაც ბურთი მაწვებოდა.

ჩემს ისედაც დაბალ თვითშეფასებას გამოცდაში ჩაჭრა ვერაფრით წაადგა სასიკეთოდ. ფულიც აღარ მქონდა და როცა იმ თვეში დეკნილების ყოველთვიური შემწეობაც სრულიად ბუნდოვანი მიზეზის გამო არ დამირიცხეს, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემი ბედი დაწერილი და ნაწინასწარმეტყველები იყო.

როგორღაც კიდევ ერთხელ შევეხეტე დასაქმების ბიუროს საიტზე და ვნახე, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სახელწოდებით: „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ – დამხმარე მასწავლებლის თანამდებობაზე აცხადებდა კონკურსს. ორი წლით ადრე აღნიშნული პროგრამის გასაუბრებაზე უკვე წარმატებით ვიყავი ჩაჭრილი. იმედიანად განწყობილი არც ამჯერად ვყოფილვარ, თუმცა განაცხადი მაინც გავაკეთე და ვიდრე გასაუბრების შედეგებისთვის დამირეკავდნენ, ან არ დამირეკავდნენ, უმთავარი ღამით, შეიარაღებული რუსი მესაზღვრეებისგან მალულად, ჩემი ზღაპრების კრებულიანად ენგურს მიღმა გადავიპარე.

ერთი თვე ეფერებოდა ბებია ზოგადი უნარების გამოცდაში ჩაჭრილ სანაქებო შვილიშვილს, რომლის შესაძლებლობებზეც ყოველთვის ზედმეტი წარმოდგენა ჰქონდა, შვილიშვილი კი თავგადადებული და იმედგადაწურული ეხმარებოდა თხილის კრეფაში, სანამ მოულოდნელად არ დაურეკეს: „პროგრამაში აგიყვანეთ“.

კაი ხანს ვუხსნიდი ღვთიურ ძალთა მიმართ მადლიერების გრძნობით აღსავსე ბებიაჩემს, რომ ეს არ იყო დიდი წარმატება. ვცდილობდი ჩამეგონებინა, რომ მუშაობა მოხალისე მასწავლებლის გაურკვეველ თანამდებობაზე მომიწევდა და ეს დიდად არ წაადგებოდა ჩემს პროფესიულ საქმიანობას. მაგრამ ის არ დამცხრალა და იმავე ღამეს შეატყობინა ადგილობრივ სანათესავოს, თან სთხოვა, ენგურზე გადაპარვაში დამხმარებოდნენ. ვიდექი და თვალი უკან მრჩებოდა. დამორცხვებული ვუყურებდი ამ ათას ჭირნახულ, მარტოხელა ქალს, ეს იოტისოდენა წარმატება ასე რომ უხაროდა, თვალებში სიხარულის ნაპერწკლები უელავდა და ჯიუტად იმეორებდა: „წადი, ბებო, წადი...“

კიდევ ერთხელ ჩავიდე ჩემი ყდაგაცვეთილი კრებული გუდაში და სანამ დავტოვებდი, სურვილი მომეძალა, ცხოვრებაში პირველად გამემხილა მისთვის უდიდესი სიმართლე. ნაბიჯი გადავდგი, გულში ჩავიკარი და ჩურჩულით ვუთხარი: „შენც ზღაპრის გმირი ხარ, ბე... მთავარი და ყველაზე მაგარი გმირი...“

მეგი კავთუაშვილი

ნამდვილად კარგია სკოლა, რომელიც სახლთან ახლოს არის?

მივეჩვიე, რომ გაზაფხული ჩემთვის იწყება შეკითხვით: „შეგიძლია, მირჩიო, რომელია კარგი სკოლა?“. შეკითხვის ავტორი, როგორც წესი, ახალბედა მშობელია, რომელიც პირველად დადგა არჩევანის წინაშე. იშვიათად, მაგრამ ეს შეკითხვა გამოცდილ მშობლებსაც აქვთ, რომელთაც სკოლებთან თანამშრომლობის ნეგატიური პრაქტიკა დაუგროვდათ და გადაწყვეტილების მისაღებად სხვისი აზრის გაგებაც სჭირდებათ.

ვერ ვბედავ, პასუხად ვუთხრა ფრაზა, რომელსაც სოციალურ ქსელში გაჩაღებულ დისკუსიებში წერენ ხოლმე: „კარგია ის სკოლა, რომელიც სახლთან ახლოს არის“. ალბათ იმიტომ ვერ ვბედავ, რომ ჩემი, როგორც მშობლის გადაწყვეტილება არ ყოფილა ასეთ მარტივ ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული. კარგი სკოლის შესახებ მე ჩემი წარმოდგენა მაქვს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის სხვა მშობლის პერსპექტივიდანაც მოსაწონი იქნება.

იმისთვის, რომ სხვას კონკრეტული სკოლა ვურჩიო, უფრო მნიშვნელოვანია, შეფასების მეტ-ნაკლებად ობიექტური კრიტერიუმები არსებობდეს, ვიდრე ის, თუ რა ისტორიები მსმენია ამა თუ იმ სკოლის ცხოვრებიდან.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სკოლების შეფასების არც სუბიექტური და არც ობიექტური სისტემა არ არსებობს. ამ ფონზე, ცხადია, მშობლებს უჭირთ გააზრებული, ინფორმირებული არჩევანის გაკეთება და უმეტესად ნაცნობ-მეგობრების გამოცდილებას ეყრდნობა, ეს კი არცთუ იშვიათად ქმნის რისკს, მშობლების მოლოდინი და სასკოლო რეალობა სრულიად ასცდეს ერთმანეთს.

როგორ შეიძლება, ამ ვითარებაში მშობლებმა თავიდან ავირიდოთ გაუგებრობები, ბავშვისთვის სკოლ(ებ)ის შეცვლის პრაქტიკა და უსიამოვნებები? როგორ მივიღოთ პასუხისმგებლობიანი გადაწყვეტილება, რომელიც ამ 12 წელს ჩვენი შვილისთვის სასიამოვნოს, საინტერესოს და სასარგებლოს გახდის?

სკოლის შერჩევა ჩვენი შვილის გაცნობით დავიწყოთ.

როგორია ჩვენი შვილი? რა საჭიროებები აქვს მას? როგორი გარემო სჭირდება, რომ შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს, თავი კარგად იგრძნოს და განვითარდეს?

ამის შემდეგ განვსაზღვროთ, როგორია ჩვენი ოჯახის მოლოდინი სკოლის მიმართ.

კარგი იქნება, ოჯახის წევრებმა პერიოდულად ვიმსჯელოთ, რა მიგვაჩნია ბავშვისთვის საუკეთესოდ. რას მოველით სკოლისგან: მაღალკონკურენტულ განათლებას? ფიზიკურ უსაფრთხოებას? ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას? მზრუნველობას? მდიდარი სოციალური კაპიტალის დაგროვებას? ჯანსაღ კვებას? თანასწორ გარემოს? მრავალფეროვან შესაძლებლობებს? ბედნიერ ბავშვობას? ბავშვის დამოუკიდებელ პიროვნებად აღზრდას? ბუნებასთან ახლოს ყოფნას? ტექნოლოგიებზე წვდომას?..

პრიორიტეტების დალაგება დაგვეხმარება, განვსაზღვროთ ჩვენი ღირებულებები და ამის მიხედვით ვეძებოთ სასურველი სკოლა.

როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია სკოლის შესახებ?

გამოვკითხოთ სამიზნე სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და კურსდამთავრებულები. არა ერთი, არამედ შეძლებისდაგვარად ბევრი ადამიანის სიღრმისეული გამოკითხვა პირველად შთაბეჭდილებას შეგვიქმნის. სასურველია, ვკითხოთ არა ის, რამდენად კმაყოფილნი არიან სკოლით, არამედ როგორი მოლოდინი ჰქონდათ და რამდენად გაუმართლათ ის სკოლამ. ასევე, გამოვკითხოთ – რა მოსწონთ და რას შეცვლიდნენ ამ სკოლაში? რა არის სკოლის ძლიერი და სუსტი მხარე? როგორ თანამშრომლობს სკოლა მშობლებთან და როგორ რეაგირებს შენიშვნებსა თუ რეკომენდაციებზე?

გარდა ამისა, კარგი იქნება, „დავგუგლოთ“, რა ინფორმაცია იძებნება ამ სკოლის შესახებ ინტერნეტში – მოხვედრილა თუ არა და რა ნიშნით მოხვედრილა ჟურნალისტების ობიექტივში. ზოგჯერ სკოლები თავად ავრცელებენ ინფორმაციას. იმის გადახედვა, თუ როგორ და რით პოზიციონირებს სკოლა მედიაში, გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით მის ღირებულებებსა და შესაძლებლობების დიაპაზონზე.

ვიზიტი სასურველ სკოლაში

რა არის ჩვენთვის სკოლაში ვიზიტის მიზანი? ჩვენი მიზანია, დავათვალიეროთ სკოლის ინფრასტრუქტურა და პირველწყაროსთან გადავამოწმოთ უკვე მოძიებული ინფორმაცია.

პირველი ვიზიტის დროს ჯობია, სკოლას ბავშვის გარეშე ვეწვიოთ. მისვლამდე საკონტაქტო პირს დავურეკოთ ან ინტერნეტში მითითებულ ნომერზე დავუკავშირდეთ და სტუმრობის დრო დავნიშნოთ. ასეთი ფორმით დაწყებული კომუნიკაცია, სულ მცირე, იმის გარანტიას მოგვცემს, რომ მასპინძელი მომზადებული შეგვხვდება, დაგეგმილად გამოყოფს დროს იმისთვის, რომ სკოლა დაგვათვალიერებინოს და ჩვენს კითხვებს უპასუხოს. თუ სკოლასთან წინასწარ დაკავშირება ვერ ხერხდება, ცხადია, პირდაპირ მისვლაც შეიძლება. თუ, მცდელობის მიუხედავად, სკოლის თანამშრომლები დიდი ენთუზიაზმით არ მოეკიდებიან ჩვენი ინტერესის დაკმაყოფილებას, ესეც მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნება.

გარდა ამისა, სკოლაში ვიზიტი დაგვეხმარება, შევაფასოთ, რამდენად უსაფრთხოა ფიზიკური გარემო, როგორია საკლასო ოთახები, საერთო სარგებლობის ფართები, რამდენად იძლევა ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას საპირფარეშოების მდგომარეობა, არის თუ არა ცივი/ცხელი წყალი, არის თუ არა მწვანე ეზო, სპორტული დარბაზები, სარეკრეაციო სივრცე, კვების სივრცე, ბიბლიოთეკა და ა.შ. ფიზიკური გარემო იმაზე მეტ ინფორმაციას გვაწვდის, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მაგალითად, თუ სკოლის შესასვლელში რკინის დეტექტორები დგას და ყოველი კუთხე-კუნჭული სათვალთვალო კამერებით არის აღჭურვილი, ეს შეიძლება იმის ნიშანი იყოს, რომ სკოლაში კონტროლზე დაფუძნებული დისციპლინაა დამყარებული.

რა კითხვები დავსვათ სკოლაში ვიზიტის დროს?

როგორ ხედავს სკოლა თავის დანიშნულებას? როგორი მიდგომები აქვს სწავლა-აღზრდის პროცესის მიმართ? რა მიღწევები აქვს? რამდენად ტიპური ან ალტერნატიულია? მიჰყვება განათლების სამინისტროს დადგენილ ეროვნულ სასწავლო გეგმას თუ სწავლების განსაკუთრებული სტანდარტი აქვს? როგორი ტრადიციები აქვს სკოლას? რა არის მისი მთავარი ღირებულებები? რა კომპეტენციის ადამიანები არიან დასაქმებული პედაგოგებად? მასწავლებლების გარდა, კიდევ რა ტიპის პერსონალია სკოლაში და რა ფუნქციები აქვთ? მოსწავლის წახალისებისა და გაკიცხვის როგორი სქემები არსებობს? როგორ ზრუნავს სკოლა ბავშვებზე? როგორი სქემით ურთიერთობს მოსწავლეთა მშობლებთან? როგორია მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობრივი თანაფარდობა?

მიღებული ინფორმაცია, ერთი მხრივ, მშობელს წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, რამდენად მოხერხებული იქნება მისი შვილისთვის ასეთ სკოლაში სწავლა; მეორე მხრივ კი სკოლა უკეთ გაიცნობს მშობელს, როგორც მომავალ პარტნიორს.

მას შემდეგ, რაც ჩვენი არჩევანი რამდენიმე სკოლამდე დავიწროვდება, შეგვიძლია, განმეორებითი ვიზიტი ბავშვთან ერთად დავგეგმოთ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას კი ბავშვის აზრი გავითვალისწინოთ.

ზოგჯერ მშობლებს გვგონია, სკოლის შესარჩევად საკმარისი პირობაა ის, რომ დაწყებით კლასში საუკეთესო მასწავლებელი ასწავლის. I-IV კლასებში კარგ მასწავლებელს მართლაც ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია, მაგრამ თუ მშობელს არჩევანი აქვს, უმჯობესია, გადაწყვეტილება ფართო ხედვასა და გრძელვადიან პროგნოზს მოარგოს. დამრიგებლის გარდა, ბავშვს სკოლაში სხვა ადამიანებთანაც უწევს ურთიერთობა, თანაკლასელები იქნებიან ისინი, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, მანდატურები თუ ადმინისტრაციის თანამშრომლები. დირექციის მიერ სკოლის მართვის სტილი თითოეული მოსწავლის ცხოვრების ხარისხზე აისახება – როგორ ჭრიან სასწავლო-სააღზრდელო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს, როგორ რეაგირებენ გამოწვევებზე, რომლებიც მრავლად არის ბავშვობიდან მოზარდობამდე გასავლელ თორმეტწლიან გზაზე.

სასურველია, მშობლები სკოლის შერჩევის ეტაპზევე ვაცნობიერებდეთ, რომ სკოლა მთლიანი ორგანიზმია, რომელიც გარკვეულ წესებს ექვემდებარება. ვიკითხოთ – ვინ ადგენს, რა პერიოდულობით და როგორია ეს წესები იმ სკოლაში, სადაც შვილის მიყვანა გვინდა? ვიკითხოთ, რადგან მშობლები პასუხისმგებელნი ვართ შვილების წინაშე – სკოლა, რომელშიც ყოველ დილით ვუშვებთ, თითოეულ მოსწავლეს სავალდებულოსთან ერთად სასიამოვნო, ღირსეულ, განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემო პირობებს უნდა უქმნიდეს.

გურამ მეგრელიშვილი

ზუმს მიღმა გაზაფხულია

გავა წლები და მასწავლებლები, რომლებიც პანდემიის დროს გაკვეთილებს ზუმით ატარებდნენ, ალბათ მხიარულად გაიხსენებენ ამბებს, რომლებიც დისტანციურ სწავლებას ახლდა თან. ბავშვები უფრო ადვილად დაივიწყებენ სწავლის ამ ეტაპს, მაგრამ განათლების სისტემამ არ უნდა დაივიწყოს – შესაძლოა, ოდესმე კიდევ დადგეს დრო, როცა დისტანციური სწავლება გახდება საჭირო. არ უნდა დაივიწყოს და მზად უნდა იყოს ამ საოცრად რთული გამოწვევისთვის, რომელმაც ძირითადად მასწავლებლების გაორმაგებულ შრომაზე გადაიარა.

ბევრი პედაგოგი წერდა საკუთარ გამოცდილებაზე ზუმით სწავლებისას, ბევრს სათქმელი წინ აქვს. მე მსურს, ნამდვილ და ცოცხალ შემთხვევებზე მოვყვე, მაგრამ მოვყვე იუმორით, კრიტიკისა და ვაი-ვიშის გარეშე. იმედია, ვისაც ეს საკითხი ეხება, სერიოზულად წაიკითხავს და დაფიქრდება. კონფიდენციალურობისთვის ყველა სახელი და გვარი შეცვლილია.

მაშ ასე, ზუმის კურიოზები:

ლელა მ. ბუნებისმეტყველების ახალგათხოვილი მასწავლებელია. კოვიდმა მას უდროო დროს და უადგილო ადგილას მოუსწრო, რადგან ონლაინგაკვეთილების ჩატარება იმ პერიოდში მოუწია, როცა სტუმრიანობა ჯერაც არ ჰქონდათ ჯეროვნად მოლეული. ამ ამბავს თვითონ ჰყვება და ჰყვება მხიარულად, თუმცა მასში ჩანს იმ სიტუაციის მთელი ტრაგიზმი, რომელშიც განათლების სისტემა მოექცა.

ლელას ორშაბათის გაკვეთილი მამამთილის ნაბახუსევზე ყოფნის ფონზე ჩატარდა. მუხლებამდე ტრუსიანი კაცი ბუზღუნით დადიოდა ოთახში და რაღაცას გამწარებული ეძებდა. ბინა პატარაა. ლელა მორიდებითაა მამამთილთან, მაგრამ ბავშვების რეაქციისაც რცხვენია, რადგან მათ ნამდვილად დაინახეს, როგორ ჩაისეირნა ეკრანთან გაბრუებულმა კაცმა.

ირინა ვ. მათემატიკას ასწავლის. რაკი მასწავლებლის შრომა ხშირად დამღლელ საქმიანობად არ ითვლება, ოჯახის წევრები იმდენივეს სთხოვენ მას, რამდენსაც ჩვეულებრივ დიასახლისს. ირინა ვ. სახლში ყოფნისას მასწავლებლადაც რჩებოდა, მზარეულადაც, მრეცხავადაც, დამლაგებლადაც და შვილების მომვლელადაც, რადგან ქმარს აზრადაც არ მოსვლია ცოლს შეხიდებოდა – „სახლში ხარ, მაშინ ხარჩოც შენ გააკეთე, ბავშვი უნიტაზიდან შენ ჩამოსვი და მეზობელი თუ დაიძახებს, შენ უპასუხე, რადგან გევალება“.

ირინა ვ. (სიცილით) ჰყვება, მაგრამ ვაი ამ სიცილს. ერთხელ მოსწავლეებმა გაკვეთილის დროს მწვანილის დაჭრაზე წამასწრეს. ვიდეო კი გამორთული მქონდა, მაგრამ სპეციფიკურმა ხმამ გამყიდაო. ამ ამბავში ის ტრაგიკომიკურობა გამოსჭვივის, ქალ მასწავლებლებს ჩვეულებრივ ყოფაშიც რომ წყევლასავით თან დაჰყვებათ. საზოგადოებამ ხომ ასე გაანაწილა როლები: სამსახურში ქალმა უნდა იაროს და სახლის საქმეც ქალის საკეთებელია. მერე რა, თუ სიქაგაცლილ და დაღლილ (ის, ვინც მასწავლებლის შრომაზე იტყვის, ადვილი საქმეაო, უბრალოდ უქნარა და ყბედი მგონია, რადგან ცოტა საქმე თუ მეგულება დედამიწაზე იმაზე რთული, ვიდრე მასწავლებლის შრომაა – სხვის შვილებზე პასუხისმგებლობა უდიდესი სტრესია) მასწავლებელ ქალსაც სჭირდება ამოსუნთქვა და დასვენება. ნარჩოს ვინ გააკეთებს სახლში და ჭურჭელს ვინ დარეცხავს?

თ.ბ-ს შუა გაკვეთილზე მცირეწლოვანი შვილები შეუცვივდნენ ოთახში. გოგო და ბიჭი კატა-ძაღლივით იყვნენ წაკიდებული და მშობელს კარგა ხანი დასჭირდა მათ დასამშვიდებლად. ერთ მოსწავლეს უთქვამს: მასწავლებელო, ზრდილობაზე რომ გველაპარაკებით, თქვენი შვილები რა სიტყვებს ეძახდნენ ერთმანეთს, თუ გესმოდათო?

მასწავლებელი წერდა: ოთხშაბათობით, როცა გაკვეთილს ვატარებ, ჩემი უმცროსი სხვის გაკვეთილს ესწრება, უფროსი ფორტეპიანოზე გამეს უკრავს და თუ მაზლიც სახლშია და პრიუსის დაშლილ ნაწილებზე ელაპარაკება კლიენტებს, დღე დაკარგული და მკვდარია ჩემთვისო.

მრავალწევრიან ოჯახებში დიდი აურზაური იყო ხოლმე გაკვეთილების მსვლელობისას. მე შენ გეტყვი და ბევრი ცხოვრობს ისე, რომ დამოუკიდებელი ოთახი ჰქონდეს. აგერ ირმა ე-ის ამბავიც: ირმა მთელი პანდემიის განმავლობაში ონლაინგაყიდვებზე მუშაობდა. მისი 5 შვილიდან 4 სკოლის მოსწავლეა, მული კი – მასწავლებელი. ყველანი გადასასვლელ ხიდთან, მოსკოვის პროექტის ოროთახ-ნახევრიან ბინაში ცხოვრობენ. დედამთილ-მამამთილიც იქვე ცხოვრობს.

როცა მულს გაკვეთილები ეწყებოდა, ირმას ერთი შვილი მეზობელთან გადიოდა ჩართვისთვის, მეორე სამზარეულოდან ესწრებოდა გაკვეთილებს, მესამე – დედის ტელეფონით (მაგრამ კლიენტებისგან შემოსულ ყველა ზარს დედა პასუხობდა, ამიტომ მესამე შვილის გაკვეთილი წყვეტილად მიმდინარეობდა). მეოთხე, ყველაზე უფროსი კი დედის მანქანასთან ჩადიოდა და იქიდან ერთვებოდა. ის, ვისაც სამზარეულო მოუწევს, ხმას არასოდეს იღებს, რადგან სამზარეულოში გამუდმებით ხმაურია და ბავშვებს ერიდებათ ბებიის ქოთქოთში გაკვეთილზე ჯდომაო, – ჰყვება ირმა.

ალბათ ნაცნობი სიტუაციაა, როცა ბავშვი გაკვეთილზე შემოდის და არც კამერას რთავს, არც მიკროფონს. არადა, რეალურ შეხვედრებზე ცოცხალი და აქტიური გახსოვთ და თავს ეკითხებით: – ნეტავ რა დაემართა?

ინტერნეტსივრცე მოიარა ფოტომ, ბავშვი ბოსლიდან რომ ერთვება ბუნების გაკვეთილს. ის არც პირველია, არც უკანასკნელი. მთიულეთის ერთ-ერთ სოფელში მომიყვნენ, მობილურის ინტერნეტი მხოლოდ სახლის მეორე სართულზე იჭერდა, საიდანაც მეორეკლასელი თემური მთელი ზამთარი გაყინული თითებით ესწრებოდა შეხვედრებს, რადგან იმ ოთახში ღუმელი არ იდგაო.

საპირფარეშოში მოწყობილი კაბინეტი? კედელზე დაკიდებული ხალიჩითა და წიგნების თაროთი, საერთო ოთახში მწოლიარე მძიმე ავადმყოფი ბებო რომ არ შეეწუხებინა მასწავლებელს.

ასაკოვანი მასწავლებლები? ზუმსა და მაიკროსოფტ თიმს ალღო რომ ვერაფრით აუღეს და კაი ხანი ბავშვები გაკვეთილიდან რომ აგდებდნენ ხოლმე?

ან ონავარი კლასი, მასწავლებელს რომ პირს შეუკრავდნენ: თქვენი ხმა არ ისმის, მასწ, იქნებ ხმამაღლა ილაპარაკოთო, მთელი ხმით რომ აყვირებდნენ გაკვეთილებზე და თვითონ ქირქილებდნენ?

ზუმმა და ონლაინგაკვეთილებმა ორმაგად დატვირთეს მასწავლებლები. ახლა მსოფლიო ვირუსთან ომის რეჟიმშია. ცხადია, ომში არ წუწუნებენ. წინა ხაზზე იბრძვიან ექიმებიც, პოლიციელებიც და ბევრი სხვა პროფესიის წარმომადგენლებიც. მაგრამ ისე ხდება ხოლმე, რომ მასწავლებლების ამბავს ყველაზე ბოლოს მოვიკითხავთ, თითქოს საზოგადოების ის ნაწილი იყოს, ნაკლებად რომ ედარდება ყველას.

ზუმს მიღმა გაზაფხულის სურნელი დატრიალდა. იმედი გაჩნდა, რომ სკოლა ჩვეულ რეჟიმს მალე დაუბრუნდება, მაგრამ ჯერ კიდევ შორი გზაა პანდემიის დამარცხებამდე, შორია ცხოვრების ჩვეულ რეჟიმთან დაბრუნებამდე. კაცობრიობამ დაინახა, რომ საყოველთაო უბედურება კიდევ შეიძლება განმეორდეს სხვადასხვა სახელითა და ფორმით.

მასწავლებლებმა უნდა ისწავლონ ახალ რეალობასთან შეგუება და ამაში, ვფიქრობ, სახელმწიფოს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლი ყველაზე ბოლო არ უნდა იყოს.

თამთა დოლიძე

რამდენიმე გზა წერის სწავლებისთვის

კალმის ხელში დაჭერიდან წერითი უნარ-ჩვევების გამომუშავებამდე საკმაოდ დიდი გზაა გასავლელი. სკოლამდელი აღზრდის პროგრამაში დიდი ადგილი უჭირავს წვრილი მოტორიკის განვითარებას (წერტილების შეერთებით ფიგურების შექმნა, ხატვა, გაფერადება, ძერწვა, გამოჭრა და ა.შ.). ყურადღება ექცევა ფანქრის სწორად დაჭერის ჩვევის გამომუშავებას, სახატავ სივრცეში ორიენტირებას, დავალების გათვალისწინებით სივრცის ადეკვატურ განაწილებას და სხვ. ზემოაღნიშნული გამოცდილება ბავშვებს წერის საწყის ეტაპზე გადასვლას და გრაფიკული გამოსახულების სპეციფიკურ საგნობრივ ბადეში გადატანას გაუადვილებს. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასოების/ციფრების მათთვის განკუთვნილ ჩარჩოში სწორი მიმართულებით მოხაზვას.

წერის სწავლების ადრეულ ეტაპზე გარკვეული ყურადღება ნაწერის ვიზუალურ მხარესაც ექცევა. მართალია, ელექტრონული „საბეჭდი მანქანების“ საუკუნეში კალიგრაფია ისეთივე აქტუალური ვერ იქნება, როგორიც წიგნების გადამწერთა ეპოქაში, მაგრამ, ჩემი აზრით, ხელით წერის საჭიროება ბოლომდე არასდროს გაქრება. მაგალითად, ადამიანებს ყოველდღიურად სჭირდებათ მიზნობრივი ჩანაწერების გაკეთება (დღის გეგმის, საყიდლების სიის ჩამოწერა და სხვ.). გარდა ამისა, წარმოგიდგენიათ სწავლა-სწავლების პროცესი ფურცლისა და კალმის გარეშე?! აღარაფერს ვიტყვი გრაფოლოგიაზე, რომლის თანახმადაც კალიგრაფია შესანიშნავად გვიხატავს ადამიანის ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

ტექნიკის დახვეწა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ წერის პროცესი მხოლოდ ფურცელზე ასოების წესების დაცვით მოხაზვას არ ნიშნავს. მოსწავლეები საბაზისო უნარებთან ერთად თანდათანობით ივითარებენ საკუთარი ნააზრევის გადმოცემის, ნამუშევრის აზრობრივად და სტილებრივ-გრამატიკულად გამართვის, მიზნობრივი თუ შემოქმედებითი ტექსტების შეთხზვის, ნამუშევრის კორექტირება-რედაქტირების უნარებს. მიუხედავად იმისა, რომ წერის კომპლექსური უნარების სათანადოდ ჩამოყალიბებას წლები სჭირდება, ნააზრევის ნათლად და თანმიმდევრულად გადმოცემაზე (მნიშვნელობის კონსტრუირება) საძირკვლიდანვე უნდა დავიწყოთ მუშაობა, რადგან სხვაგვარად წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება შეუძლებელია.

წერას წინ უძღვის და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ზეპირი ინტერაქცია და კითხვა. წიგნებთან ურთიერთობა ბავშვებს მნიშვნელოვან გამოცდილებას სძენს სათქმელის წერილობით ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც. მათ მექანიკურად ექმნებათ წარმოდგენა ტექსტის სტრუქტურირების (სასვენი ნიშნები, აბზაცები, წინადადებების წყობა და ა.შ.) შესახებ. გარკვეულ წერით გამოცდილებას ისინი დაკვირვების გზითაც იძენენ (ასო-ნიშნების კოპირება, მინაწერები ნახატებზე, საკუთარი სახელის ჩაწერა და სხვ.).

წერის სწავლება მოითხოვს ბევრ დროს, სისტემატურ ვარჯიშს და მრავალფეროვან აქტივობას, რათა მოსწავლემ შეძლოს წერის ყველა ასპექტის (თემა, იდეა, შინაარსი, სტრუქტურა, სტილი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) გააზრება და ეფექტურად გამოყენება. დამოუკიდებლად ამდენ მიმართულებაზე ერთდროულად კონცენტრირება რთულია. ამიტომ მასწავლებლები ხშირად ვიყენებთ ე.წ. „მე-ჩვენ-შენ“ მოდელს, ანუ პასუხისმგებლობის ეტაპობრივად გაზრდის მეთოდს. მოსწავლემ მოდელირებიდან დამოუკიდებელი წერის ეტაპამდე გაკვალული ბილიკი იმდენჯერ უნდა გაიაროს, სანამ დამოუკიდებლად არ

წერის სწავლება მოითხოვს ბევრ დროს, სისტემატურ ვარჯიშს და მრავალფეროვან აქტივობას, რათა მოსწავლემ შეძლოს წერის ყველა ასპექტის (თემა, იდეა, შინაარსი, სტრუქტურა, სტილი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) გააზრება და ეფექტურად გამოყენება.

შეძლებს კომპლექსური წერითი დავალებების შესრულებას.

საგანმანათლებლო სივრცეში წერის სწავლების საკმაო გამოცდილება დაგროვდა. წერითი აზროვნების განვითარების არაერთი ეფექტური გზა გვასწავლეს და გამოვცადეთ. მათგან გამოვყოფდი ერთ საინტერესო და შემოქმედებით მეთოდს, რომელსაც ხშირად ვიყენებ სწავლების პროცესში.

წერა ილუსტრაციების მიხედვით

მეთოდის თანახმად, მოსწავლეებმა უნდა შეთხზან ამბავი რომელიმე უცნობი მოთხრობის/ზღაპრის ილუსტრაციების მიხედვით. წარმოსახვასთან ერთად, ზემოაღნიშნული აქტივობა ავითარებს ნაზრევის წერილობით გადმოცემასა და სიუჟეტის აგებასთან დაკავშირებულ უნარ-ჩვევებს. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის დროსაც.

აუცილებელია ილუსტრაციების ყურადღებით შერჩევა – ისინი ფრთების გაშლის შესაძლებლობას უნდა იძლეოდნენ. გამოიყენეთ ფერადი ან კონტურული ილუსტრაციები. შავ-თეთრი ნახატების გამოყენების შემთხვევაში მოსწავლეებს მათი გაფერადება შეეძლებათ. თუ შთაგონებისთვის ერთი ამბის რამდენიმე ილუსტრაციას მიაწვდით, მოსწავლეებმა ჯერ მათი თანმიმდევრობა უნდა აღადგინონ, ან მოვლენათა განვითარების განსხვავებული, მაგრამ ლოგიკური ჯაჭვი შექმნან.

დავალების ერთ-ერთ ვარიაციას წარმოადგენს ჯგუფებისთვის ერთი და იმავე მოთხრობის ან ზღაპრის ილუსტრაციების დარიგება. ყველა ჯგუფს სხვადასხვა ილუსტრაცია უნდა შეხვდეს. საინტერესოა, მოერგება თუ არა ერთმანეთს მათ მიერ შეთხზული ეპიზოდები და თხზულების ახალი ვერსია რამდენად დაშორდება დედანს.

დეტალური ინსტრუქციის, ქარგის გარეშე მოსწავლეებს უჭირთ მსგავს კომპლექსურ აქტივობებთან დაკავშირებული სამუშაო პროცესის ორგანიზება, ამიტომ უმჯობესია, მკაფიო ნაბიჯებად გაწერილი სამოქმედო გეგმა შესთავაზოთ, მაგალითად:

- ჩამოწერე, რას ხედავ ილუსტრაციაზე;
- დაწერე შეკითხვები, რომლებიც ილუსტრაციასთან დაკავშირებით გაგიჩნდა;
- შეეცადე, შენივე შეკითხვებს პასუხი გასცე ვარაუდით ან ილუსტრაციაზე დაყრდნობით;
- ახლა დააჯგუფე შენი პასუხები აღწერითი და სიუჟეტური შინაარსის წინადადებებად და ისეთი თანმიმდევრობით გადააბი, რომ ამბავი გამოგივიდეს (შესაძლოა, დაგჭირდეს რამდენიმე წინადადების ჩამატება და ნამუშევრის სტილებრივად დახვეწა);
- წერის დასრულების შემდეგ აუცილებლად წაიკითხე შენი ნამუშევარი. ყურადღება მიაქციე სასვენ ნიშნებს, სიტყვების მართლწერას და ა.შ.

საგანმანათლებლო სივრცეში წერის სწავლების საკმაო გამოცდილება დაგროვდა. წერითი აზროვნების განვითარების არაერთი ეფექტური გზა გვასწავლეს და გამოვცადეთ. მათგან გამოვყოფდი ერთ საინტერესო და შემოქმედებით მეთოდს, რომელსაც ხშირად ვიყენებ სწავლების პროცესში.

აქვე ერთგვარ ექსპერიმენტს შემოგთავაზებთ: დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციას და გეგმის მიხედვით შეთხზეთ რაიმე ამბავი. მერე კი შეგიძლიათ, ჩემს ვერსიას და ილუსტრაციის პირველწყაროს (ტექსტს, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ილუსტრაცია) გაეცნოთ.

გეგმის მიხედვით გაკეთებული ჩანაწერები:

I. ილუსტრაციაზე ვხედავ:

1. ტყეს, დათოვლილ ნაძვებს, ბილიკს და ხის ტოტს, რომელზეც ციყვი შემოსკუპებულა. მას პომპონიანი ქუდი უჭირავს და ქვემოთ იყურება.
2. პატარა ბიჭს, რომელიც კუნძზე დგას და ხელები წინ (სავარაუდოდ, ციყვისკენ) გაუშვერია. მას სვიტერი, ბოტები და რამდენიმე ადგილას დაკემსილი შარვალი აცვია.

შეკითხვები:

1. ეს ქუდი, ციყვს რომ უჭირავს, ამ ბიჭისაა?
2. რატომ არ აცვია ბიჭს ქურთუკი? არ სცივა?
3. როგორ მოხვდა ბიჭი ტყეში? დაიკარგა თუ სახლიდან გამოიპარა?
4. საით მიდის ბილიკი? ეს გზა ბიჭს სახლში დააბრუნებს?
5. ციყვი ბიჭს ქუდს დაუბრუნებს?

პასუხები:

1. ქუდი, რომელიც ციყვს უჭირავს, სავარაუდოდ, ბიჭუნასია.
2. ტყეში ეციება, რადგან ხეები დათოვლილია და მოღრუბლულია. ალბათ ბიჭსაც სცივა, მაგრამ, მგონი, ქურთუკიც ქუდივით დაკარგა.
3. ბიჭი ალბათ ტყესთან ახლოს ცხოვრობს. პატარაა, ამიტომ სასეირნოდ მარტოს არავინ გამოუშვებდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, გამოიპარა და შინისკენ მიმავალ გზას ველარ აგნებს.
4. ბილიკზე ნაფეხურები ჩანს. ბიჭი ალბათ ამ ბილიკით მოვიდა. შეუძლია, თავისივე ნაფეხურებს გაჰყვეს და სახლში დაბრუნდეს, ან მშობლები მოაგნებენ ბილიკზე დატოვებული ნაკვალევის დახმარებით.
5. ვფიქრობ, ციყვი ქუდს ფუღუროში წაიღებს და თბილად გამოიზამთრებს.

წინადადებების თანმიმდევრულად დალაგების შემდეგ ამბის კონტური გამოიკვეთა და მისი „გამხატვრულება“, ანუ თხზულებად ქცევა აღარ გამჭირვებია:

ნისლიანი დღე იყო. მზე არ ჩანდა, ციოდა. ნაძვებს თოვლის სქელი საბნის ქვეშ მშვიდად ეძინათ. მიწაზე რბილი, ფაფუკი თოვლი ეფინა. ტყიდან ბილიკი გამოდიოდა. აქ აშკარად ვიღაცას გაევლო და თოვლში პატარა ოვალური ხვრელები დაეტოვებინა. ნაკვალევს თუ გაჰყვებოდი, ტყის სიღრმეში შეყუჟულ პატარა მინდორზე გაგიყვანდა. კვალი კუნძთან წყდებოდა. მასზე აბობღებული პატარა ბიჭუნა ხელებგაშვერილი იდგა და რაღაცას ბუტბუტებდა, მოპირდაპირე ხის ტოტზე არხეინად შემოსკუპებული ციყვი კი ბიჭს გაკვირვებული ჩამოჰყურებდა. თათებით პომპონიანი ქუდი ჩაებღუჯა და, როგორც ჩანს, „ნადავლის“ ძველი პატრონისთვის დაბრუნებას სულაც არ აპირებდა.

ბიჭუნა ტყისპირა სახლში ცხოვრობდა. ათას საქმეში გართულ მშობლებს ხანდახან სახლიდან ეპარებოდა და იქვე, შორიახლოს დასეირნობდა. დღეს დილით კი იმხელა თოვლი დახვდა გარეთ!.. თან ახალი წელი ახლოვდებოდა და იფიქრა, იქნებ თოვლის ბაბუს სახლს მივაგნო და ჩემი სურვილი გავუმხილოო (წერა ჯერ არ იცოდა). ბევრი აღარ უფიქრია, თბილად ჩაიცვა და ტყის სიღრმისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

სიარულის დროს ბიჭუნას დასცხა. ქურთუკი გაიხადა და ნაძვის პატარა ნერგს „ჩააბარა“, თან დაუბარა, არ დამიკარგოო! უცებ იგრძნო, რომ ვიღაცამ ქუდი მოხადა. ჯერ ლამის გული გაუსკდა, იფიქრა, საშიში ცხოველი მესხმის თავსო, მაგრამ მალევე მოჰკრა თვალი ტოტიდან ტოტზე მოხტუნავე პომპონს და აედევნა...

უკვე საღამოვდებოდა, ბიჭუნა კი ისევ იმ ხესთან იდგა, რომელზეც, სავარაუდოდ, ციყვს დაედო ბინა, და „ქურდს“ ჩურჩულით ემუდარებოდა: „დამიბრუნე რა ჩემი ქუდი! დამიბრუნე რაა!..“

ციყვმა ერთხანს უყურა ბიჭს, უყურა და ახალ „საბანთან“ ერთად ფუღუროში შეიმალა.

საბედნიეროდ, მალე ბიჭუნას მშობლები გამოჩნდნენ. სიცივისა და შიშისგან ერთიანად აცახცახებული პატარა გულში ჩაიკრეს, ნერგისთვის ჩაბარებული ქურთუკი ჩააცვეს და ისევ იმ გათელილ ბილიკს გაუყვნენ სახლისაკენ.

ციყვი კი საძილე ტომრად ქცეულ ქუდში შემძვრალიყო და ფიქრობდა: „ეს რა კარგი საწოლი ვიშოვე! ნეტავი იმ ბიჭს რად უნდოდა?! აბა, ამაში როგორ ჩაეტეოდა?!“

ილუსტრაცია ამოღებულია ანე-კატერინე ვესტლის ყველასათვის საყვარელი წიგნიდან „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“ და ასახავს წრიპა მორტენის ერთ-ერთ თავგადასავალს („იყო ერთი პატარა ციყვი“). ეს თავი ზამთრის არდადეგებიდან დაბრუნებულ პატარებს თავიანთი თავგადასავლების გახსენების შემდეგ წავუკითხე, მანამდე კი, ილუსტრაციაზე დაყრდნობით, ამბის ახალი ვერსიები დავაწერინე. მგონი, ქალბატონ ვესტლის მოეწონებოდა... და თქვენ?

თემურ სუყაშვილი

სავარჯიშოები ღირებულებების აღმოჩენისა და განმტკიცებისთვის

სასკოლო გარემოში ღირებულებათა ჩამოყალიბების მნიშვნელობას ხაზს უსვამს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის.

მოსწავლეებისთვის ღირებულებათა ჩამოყალიბების პროცესში სკოლას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. პედაგოგები ვცდილობთ, სხვადასხვა საგნის სწავლებასთან ერთად მათ ზოგადსაკაცობრიო თუ ეროვნული ღირებულებებიც ჩამოვუყალიბოთ და განვუმტკიცოთ.

სასკოლო გარემოში ღირებულებათა ჩამოყალიბების მნიშვნელობას ხაზს უსვამს **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები**. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა **მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის**. შედეგად მოზარდმა (მოსწავლემ) უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და **ღირებულებების** მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება.

მშობლები, მასწავლებლები, გარშემო მყოფები მოზარდებს ხშირად პირდაპირ ეუბნებიან: „აი, ესენია შენი ღირებულებები“. ზედაპირული დასწავლით ღირებულებები არ/ვერ შეითვისება, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ჩვენი მოსწავლეები ყოველთვის არ ცხოვრობენ იმ ღირებულებებით, რომლებიც „ვასწავლეთ“. მათი ჩამოყალიბება ხანგრძლივ, მიზანმიმართულ და კოორდინირებულ მუშაობას მოითხოვს.

სამოქალაქო განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანია. მის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, კონკრეტული თემების შესწავლასთან ერთად, ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და განმტკიცებასაც უწყობს ხელს. ამ მიზნით მოზარდებს, გარდა პროგრამული საკითხებისა, შეიძლება შევთავაზოთ არაპროგრამული დავალებებიც, რომელთა სასკოლო სივრცეში (მათ შორის – დისტანციურ რეჟიმშიც) შესრულება ხელს შეუწყობს ღირებულებების აღმოჩენას, ჩამოყალიბებასა თუ განმტკიცებას.

გაგიზიარებთ რამდენიმე საავარჯიშოს, რომლებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მათი შესრულება შესაძლებელია როგორც საგაკვეთილო, ასევე საკლუბო მუშაობის ფორმატში.

„რას აფასებ?“

ძნელია, ზუსტად იცოდე, რას წარმოადგენს შენი ღირებულებები. ამის გაგების ერთ-ერთი გზაა, ვუპასუხოთ ცხოვრებისეულ კითხვებს და ვნახოთ, რომელი ღირებულებები ამოტივტივდება.

სავარჯიშოს დაწყებამდე მოსწავლეებს უთხარით, რომ მათი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ოჯახი. სკოლა, კულტურა, რელიგია, აუხსენით, რომ სავარჯიშოს მიზანი მათი ღირებულების შეცვლა კი არა, დანახვა და უკეთ ამოცნობაა.

- **წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ სრულიად თავისუფალი ერთი დღე. არც სკოლაში ხართ წასასვლელი, არც საშინაო დავალება გაქვთ მოსამზადებელი და არც რამე სხვა საქმე გასაკეთებელი. რისი გაკეთება მოგინდებათ?**
- **რას იყიდიდით, 24 საათში 500 ლარის დახარჯვის შესაძლებლობა რომ გქონდეთ?**
- **დაასახელეთ სამი რამ, რის გამოც პატივს სცემთ გარშემო მყოფ ზრდასრულ ადამიანებს.**
- **უეცრად სახლში ცეცხლი გაჩნდა, თქვენი ოჯახის წევრები უსაფრთხოდ არიან. სამი ნივთის გადარჩენა რომ შეგეძლოთ, რას აირჩევდით?**
- **დაასახელეთ სამი რამ,**

რასაც შეცვლიდით თქვენს თემში.

- **წარმოიდგინეთ, რომ უკაცრიელ კუნძულზე გიწევთ მოხვედრა ერთ ადამიანთან ერთად. ვის აირჩევდით? რატომ?**
- **მხოლოდ ერთი რამის შეცვლა რომ შეგეძლოთ მსოფლიოში, რას შეცვლიდით?**

მას შემდეგ, რაც კითხვებს გაეცნობიან, მიეცით დრო დასაფიქრებლად და პასუხების ჩასაწერად. სთხოვეთ, ჩანაწერი ხმამაღლა წაიკითხონ (შეგიძლიათ, თავიდანვე შეთანხმდეთ ანონიმურობაზე). მოსმენილი პასუხები დაფაზე დააჯგუფეთ.

გაუწიეთ მოსწავლეებს ფასილიტაცია, რათა გამოიტანონ დასკვნები თავიანთი ღირებულებების შესახებ. მაგალითად, თუ რამდენიმემ თქვა, რომ 500 ლარად შეიძენდა ოჯახისთვის საჭირო ნივთებს, ან ხანძრის დროს სახლისთვის აუცილებელ ნივთებს გადაარჩენდა, ეს ნიშნავს, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ოჯახია.

ბოლოს, შეჯამების მიზნით დაუსვით შემდეგი კითხვები:

1. რა მსგავსება და განსხვავება დაინახეთ ერთსა და იმავე კითხვაზე თქვენს პასუხებს შორის?
2. რით იყო თქვენი პასუხები მსგავსი/განსხვავებული?
3. რითია მნიშვნელოვანი საკუთარი ღირებულებების ცოდნა?

ღირებულებების აღმოჩენა

მოზარდებს ჰყავთ კერპები, მისაბაძი პერსონაჟები ფილმებიდან, წიგნებიდან, საყვარელი სპორტსმენები და ა.შ. საინტერესოა, რამდენად აქვთ გააზრებული, რით იმსახურებენ ეს რეალური თუ გამოგონილი ადამიანები პატივისცემას, მათი რომელი თვისებები იწვევს აღფრთოვანებას.

	ღირებულების აღმოჩენა	დამაზუსტებელი შეკითხვა
1	დაასახელეთ ადამიანი (რეალურად არსებული ან წიგნის/ფილმის პერსონაჟი), რომელიც თქვენს პატივისცემას ან აღფრთოვანებას იმსახურებს. რა თვისებებს აფასებთ ამ ადამიანში?	თქვენი აზრით, რა არის ამ ადამიანის ღირებულება?
2	წარმოიდგინეთ, რომ თქვენი დაბადების დღეა, უკვე 30 წლის ხართ. თქვენი მეგობრები და ოჯახის წევრები თქვენს სადღეგრძელოს ამბობენ. როგორ ფიქრობთ, რას იტყვიან ისინი თქვენს ცხოვრებაზე?	თქვენს რომელ ღირებულებებს დაასახელებენ თქვენი ახლობლები სადღეგრძელოს თქმისას?
3	დაასახელეთ სამი რამ, რაზეც ყველაზე ხშირად ფიქრობთ.	ასახავს ეს აზრები თქვენს ღირებულებებს?
4	სასურსათო მაღაზიაში უცნობს თუ გამოელაპარაკებით ხუთი წუთით, როგორ ფიქრობთ, როგორ დაგახასიათებთ ეს ადამიანი?	რას იტყოდა ეს უცნობი თქვენს ღირებულებებზე? ამოიცნობდა თუ ვერა?

ადროვეთ დაფიქრება. სთხოვეთ, პასუხები რვეულში (ან word-ის ფაილში) ჩაიწერონ. შემდეგ მათი განხილვა მოაწყვეთ. დასახელდება ბევრი საინტერესო რეალური თუ გამოგონილი ადამიანი (მათ შორის შესაძლოა თქვენც აღმოჩნდეთ). ასევე, მნიშვნელოვანია, როგორ ხედავენ მოსწავლეები საკუთარ თავს მომავალში, სხვების თვალით, რაზე ფიქრობენ ყველაზე ხშირად და ა.შ.

ვინ ვარ მე?

ეს აქტივობა ერთგვარი შემაჯამებელი სავარჯიშოს როლს ასრულებს და უფრო მეტ დროს მოითხოვს. შეგიძლიათ, საშინაო დავალებად მისცეთ ან საკლუბო ფორმატში შეასრულებინოთ.





ჩემი ცხოვრების დევიზია: „ ამ ცხოვრებაში რასაც ეძებ, ის ხარ შენ“

აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა ჩამოწერონ გამოკვეთილი ღირებულებები, თავიანთი ინტერესები, რა გამოსდით უკეთ, რა უნდა იცოდნენ მათ შესახებ სხვებმა, რით გამოირჩევიან და რის ექსპერტებად მიიჩნევენ თავს. ისინი სიმბოლოების გამოყენებით წარმოაჩენენ საკუთარ თავს და შექმნიან დევიზს.

ამ სავარჯიშოების დახმარებით თქვენი მოსწავლეები უკეთ გაიაზრებენ ღირებულებების მნიშვნელობას და აღმოაჩენენ მათ საკუთარ თავში.

შემოთავაზებული დავალებები/კითხვები არ გახლავთ უნივერსალური, შეგიძლიათ, ისინი მოზარდების მზაობისა და საჭიროებების მიხედვით ცვალოთ.

სტატიაში გაზიარებული რესურსები შემუშავებულია მენტორინგის პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება მარნეულის მე-2 საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე. პროგრამის პარტნიორია ტალინის უნივერსიტეტი.

მოსწავლეებისთვის ღირებულებათა ჩამოყალიბების პროცესში სკოლას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. პედაგოგები ვცდილობთ, სხვადასხვა საგნის სწავლებასთან ერთად მათ ზოგადსაკაცობრიო თუ ეროვნული ღირებულებებიც ჩამოვუყალიბოთ და განვუმტკიცოთ.

თეონა ბექიშვილი

საფრთხეები და პრობლემები მხატვრულ ლიტერატურაში აღწერილი სექსუალური ძალადობის სცენების სწავლებისას

მხატვრულ ტექსტებში აღწერილი სექსუალური ძალადობა და მოზარდებისთვის მისი სწორად მიწოდება, ვფიქრობ, ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხია ქართული ლიტერატურის სწავლებისას.

საუკუნეების განმავლობაში სექსუალური ძალადობის გამოვლის შემდეგ ქალი ითვლებოდა გატეხილ ჭურჭლად, უვარგის ნივთად, რომელიც მერე შეიძლება ან ხიდიდან გადამხტარიყო, ან მეძავი გამხდარიყო – სხვა როლს, სხვა გზას აღარ უტოვებდა საზოგადოება.

ჩემს ბავშვობაში ხიდიდან გადახტომის ამბები უფრო მესმოდა, ვიდრე მეძავად გახდომისა. ყვებოდნენ, როგორც ქალის გმირობის რომანტიკულ შარავანდედში გახვეულ საქციელს; ყვებოდნენ, როგორ ამოიკერა კაბა ძალადობაგამოვლილმა ქალმა ხიდიდან გადახტომამდე – უკანასკნელად იზრუნა ღირსებაზე. ასეთი ამბების მთხრობელები დაბალი ფენის წარმომადგენლები როდი იყვნენ – ისინი გახლდნენ ანტისაბჭოთა განწყობით გაჟღენთილი ყველასთვის საყვარელი მწერლები, მეცნიერები, და მაინც, ბოლო არ უჩანდა ასეთ ისტორიებს.

ცოტა რომ წამოვიზარდე, აკაკი წერეთლის „გამზრდელმა“ მომგვარა შვება. იქ ბათუ ცოლს ცოდვად არ უთვლის მომხდარს და ეუბნება, ჩემი და შენი სიყვარული ისევ ისეთი წმინდაა. თუმცა ამ საკმაოდ იშვიათ ჯანსაღ შემთხვევასაც, ვიცი, როგორ უკუღმართულად ხსნიდა ათწლეულების განმავლობაში უნივერსიტეტის ერთი ცნობილი და მომხიბვლელი პროფესორი – წინა თავისუფალ მერხზე გამომწვევად ჩამოჯდებოდა, დამაინტრიგებელი ღიმილით ერთხანს იყუჩებდა და ბოლოს იდუმალი, ირონიული კილოთი იკითხავდა: „თქვენ გჯერათ, მეგობრებო, რომ ნაზიბროლას თვითონვე არ უნდოდა თავადთან სექსი და თვითონვე არ გამოიწვია საფარბეგი საარშიყოდ?!“ უმწვავესად აქვს აკაკის აღწერილი, რა დღეშია ნაზიბროლა, მაგრამ შიგნით, პიროვნებაში არსებული მოძალადე თუ რაღაც ბოროტი ვნება ხშირად უბიძგებთ ერთი შეხედვით ძალიან განვითარებულ ადამიანებსაც, მსხვერპლს შეახოცონ ხელები.

ჩვენი შვილები და მოსწავლეები სკოლაში ორ დიდ რომანს ეცნობიან: მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“. ამ წერილისთვის საგანგებოდ მოვუსმინე ლექციებსა და გაკვეთილებს, რომლებიც ამ ნაწარმოებებს ეხება და ჩემთვის სასურველი კომენტარი ზემოთ აღნიშნულ თემაზე ვერ ვიპოვე. ერთი-ორმა გაკვრით ახსენა და ფაქტის აღსაწერად გამოიყენა საოცარი გამოთქმა – „ნამუსი ახადა“. სულ ეს იყო. ნამუსი ქართულში სინდისის სინონიმია. მოვძებნე ინტერნეტში – იქ ეს ევფემიზმი ასე იყო განმარტებული: „ნამუსი ახადა – გააუპატიურა“.

https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98

ამ ელექტრონული რესურსის შემქმნელები სწორად მოიქცეოდნენ, რომ მიეთითებინათ, უბრალოდ ფრჩხილებში მოექციათ სიტყვა - „ძველად“.

მართლაც, ძველად ადამიანი თავის ნამუსს, სახელსა და ღირსებას მხოლოდ თვითონ არ განკარგავდა და ეს მხოლოდ ქალებს არ ეხებოდათ. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და მისი პერსონაჟი წიწოლა, რომელიც სიკვდილის შიშით გამოიქცა ბრძოლის ველიდან, მაგრამ მერე თავი

თავისთავად ცხადია, ავტორი თავისუფალია და როგორც უნდა, ისე დაწერს, მაგრამ, ვფიქრობ, მასწავლებლებს ეთიკური კანონი გვავალდებულებს, შესაბამისი კომენტარი გავაკეთოთ იქ, სადაც საფრთხეა ახალგაზრდების მსოფლმხედველობის არასწორი ჩამოყალიბებისა.

ქალთა პრობლემების წინ წამოწევა თუ გვინდა, ბიჭებსაც უნდა დავანახოთ თავიანთი ადგილი ამავე საკითხში. როგორც ის ჩანს დღეს აბსურდული, სხვისი საქციელის გამო მთელი ცხოვრება ღირსებაშელახულად გაგრძნობინებდნენ თავს, ასევე აბსურდულია გამოთქმა „ნამუსი ახადა“. ამიტომ, ვისურვებდი, მასწავლებელი არ იყენებდეს მსგავს გამოთქმებს, ხოლო როდესაც ის ტექსტშია, კრიტიკულად განმარტავდეს ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე.

მოიკლა, იმიტომ რომ შინ ვეღარ დაბრუნდებოდა. წიწოლას გატეხილი სახელი დიდხანს მიაყენებდა ზიანს მის ოჯახს. მაგალითად, შესაძლოა, ქალი არ მიეთხოვებინათ მისი ძმისა თუ ბიძაშვილისთვის, დღეობებზე წამოეძახებინათ და ა. შ.

ასე იყო ძველად. ძველად საზოგადოება იყო მკაცრი მსაჯული და ძალადობდა, რომ პასუხისმგებლობა არა მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ გვარზეც აგეღო. ალბათ იმიტომ, რომ არ არსებობდა კანონი, თითოეული ადამიანი კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც როგორც სამხედრო ძალა.

დღეს ადამიანის ღირსება მთლიანად მის ხელთაა. თავისუფლად შეგიძლია, გაემიჯნო თუნდაც დედმამიშვილის უღირს საქციელს. დღეს გაცილებით ძვირფასია ინდივიდი და მისი ინდივიდუალური თავისუფლება და კანონის წინაშე პასუხისმგებლობა. ვფიქრობ, ახალგაზრდებთან „ნამუსის ახდაზე“ საუბარი დაახლოებით ასე უნდა დავიწყოთ. ქალთა პრობლემების წინ წამოწევა თუ გვინდა, ბიჭებსაც უნდა დავანახოთ თავიანთი ადგილი ამავე საკითხში. როგორც ის ჩანს დღეს აბსურდული, სხვისი საქციელის გამო მთელი ცხოვრება ღირსებაშელახულად გაგრძნობინებდნენ თავს, ასევე აბსურდულია გამოთქმა „ნამუსი ახადა“. ამიტომ, ვისურვებდი, მასწავლებელი არ იყენებდეს მსგავს გამოთქმებს, ხოლო როდესაც ის ტექსტშია, კრიტიკულად განმარტავდეს ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე.

ახლა შევეხოთ სექსუალური ძალადობის სწავლების რამდენიმე საკითხს. „ჯაყოს ხიზნებით“ დავიწყებ. მიუხედავად იმისა, რომ მარგოს მხატვრული სახით, ვფიქრობ, ავტორმა ანდერძად დაგვიბარა, როგორ არ უნდა მოვიქცეთ, თუკი არ გვსურს, ვი-

ყოთ მსხვერპლები, და მარგოს სახე ძალიან ძვირფასი გაკვეთილია იმისა, პატარ-პატარა კომპრომისები როგორ ღუპავს ადამიანს, როგორ აძლევს მოძალადეს მსხვერპლზე საბოლოო ძალაუფლებას, ამ რომანში არის ადგილი, რომელიც სერიოზულ კომენტარს საჭიროებს მოზარდებისთვის. ის ქმნის საშიშროებას, წახალისდეს მოძალადე, მოძალადემ ჩათვალოს, რომ ამ გზით, გაუპატიურების გზით, შესაძლებელია მსხვერპლს სიამოვნება მიანიჭო და ამით გაამართლო შენი საქციელი.

ალბათ ყველას კარგად გახსოვთ მარგოს გაუპატიურების სცენა. ჯაყო ერთხელ ძალადობს, მეორედ ძალადობს, თანაც ორივეჯერ მისი საქციელი განსაკუთრებით სასტიკია – კბენს, ხელს სტკენს მსხვერპლს. მაგრამ, ჰოი საოცრებავ, ასეთ ფიზიკურ და ემოციურ მდგომარეობაში მყოფი მარგო მესამე ჯერზე სიამოვნებით კვნესის: „რიჟრაჟზე ჯაყო კიდევ ერთხელ აცოცდა ურემზე და იმ ჩარდახიდან კივილისა და ტირილის ნაცვლად დედაკაცის ვნებიანი კვნესა და თავდავიწყებული ბოდვა მოისმა“.

თავისთავად ცხადია, ავტორი თავისუფალია და როგორც უნდა, ისე დაწერს, მაგრამ, ვფიქრობ, მასწავლებლებს ეთიკური კანონი გვავალდებულებს, შესაბამისი კომენტარი გავაკეთოთ იქ, სადაც საფრთხეა ახალგაზრდების მსოფლმხედველობის არასწორი ჩამოყალიბებისა.

დაისმის კითხვა: ფიზიკურად რამდენად შესაძლებელია, სიამოვნებას იღებდეს ქალი, როდესაც მანამდე ორჯერ აუპატიურებენ? ამ ტიპის სექსუალური ძალადობის შემდეგ ქალს საშვილოსნოს ყელის კედლებზე ხშირ შემთხვევაში ნახეთქები რჩება. თავისთავად ცხადია, მხოლოდ ფიზიკური ტრავმებიც კი საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ მარგო მესამე ჯერზეც უმძიმეს მდგომარეობაში ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ამ ეპიზოდში მე არ მჯერა მწერლის და მგონია, არც მოსწავლეები უნდა დავაჯეროთ. არ უნდა დავაჯეროთ, რათა არასდროს გაამართლონ ძალადობა სიამოვნების მიღების პერსპექტივით, არასდროს თქვან: „მსხვერპლსაც უნდოდა“.

სექსუალური ძალადობა „დიდოსტატის მარჯვენაშიც“ მრავლადაა. უპირველესი და უმძაფრესია ფარსმან სპარსის საქციელი: ის აუპატიურებს არასრულწლოვან მონაზვნებს და ამისთვის მხოლოდ მაშინ მოჰკითხავენ პასუხს, როცა მისი გარყვნილება თავადის ქალებსაც შეეხება.

ფარსმან სპარსი რომანის მთავარი ანტიგმირია, საბოლოოდ მის მიერ დახლართული ინტრიგების გამო მოაჭრიან მარჯვენას დიდოსტატს, ამიტომ მთელი რისხვა ავტორისაც და მკითხველისაც ფარსმან სპარსისა და არსაკიძის ურთიერთშეპირისპირებისას იბადება. პედოფილია, ეს უმძიმესი დანაშაული, ნაწარმოებში განზე რჩება. ვფიქრობ, ფარსმან სპარსის მხატვრულ სახეზე მსჯელობისას პედოფილია როგორც ყველაზე მძიმე დანაშაული წინ უნდა წამოვწიოთ.

ასევე მნიშვნელოვანია ორი სცენა ვარდისახარზე ძალადობისა. მასზე ჯერ მეფე გიორგი გაიწევს, მერე კონსტანტინე ძალადობს. ვარდისახარი რომანში უარყოფითი პერსონაჟია, ის ოდესღაც ოვსთა მეფის ხარჭა იყო და შესაძლოა, მის სიკვდილშიც მიუძღვოდეს ბრალი, ამიტომ ვარდისახარზე მთვრალი გიორგის ძალადობა დიდად არ იქცევა განკითხვის საგნად. მით უფრო „არა უშავს“, როდესაც ქალს სექსუალურ კავშირს არსაკიძე, ყოფილი საყვარელი, აძალებს – ძალით უხსნის პერანგს და მხოლოდ მაშინ ჩერდება, როდესაც სხვა კაცის ნაკბილარს დაინახავს მის მკერდზე. ამის შემდეგ ვარდისახარი აწყვეტილი ღილების ძებნას იწყებს. ქალის ეს მეწვრილმანე ბუნება (საყვარელ კაცს კარგავს, რა დროს ღილებია) იმდენად უსიამოვნოა, აბსოლუტურად არ ტოვებს ადგილს თანაგრძნობისთვის. მით უმეტეს არ აღვიქვამთ მოძალადედ კონსტანტინეს, როცა ის უგულებელყოფს ქალის უარს და ისე ახევს ტანსაცმელს, თითქოს ვარდისახარზე, როგორც საყვარელზე, აბსოლუტური და სამუდამო ძალაუფლება ჰქონდეს.

ვფიქრობ, „დიდოსტატის მარჯვენის“ სწავლებისას აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი ამ სცენებს და ითქვას, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც დღევანდელზე დაუცველი იყო ქალი, სექსუალური ძალადობის მიმართ მგრძნობელობაც ნაკლები გახლდათ, მაგრამ დღეს პროგრესული საზოგადოება ერთხმად აღიარებს, რომ ძალადობა დანაშაულია მაშინაც კი, როდესაც მსხვერპლი მოძალადის პარტნიორია და ადრე თანახმა იყო ამ ტიპის ურთიერთობაზე. ამ რომანებზე მუშაობისას დაპირისპირება „ძველად“ და „ახლა“, მუდმივი ხაზგასმა მაშინდელი და ახლანდელი კონტექსტისა მოცემული ტექსტების გააზრებაშიც დაეხმარება მოზარდებს და ძველი, დღევანდელობისთვის შეუფერებელი აზროვნებისგანაც დაიფარავს.



გიტა თვალაბეიშვილი

ჩვენ შეგვიძლია

მოსწავლეებმა დაწყებით კლასებში ხშირად იციან დიფერენცირება „ჩვენ ბიჭები“ და „ჩვენ გოგონები“. ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვი აპროტესტებს საწინააღმდეგო სქესთან ერთად ერთ მერხთან ჯდომას. ან თუნდაც არ სურს ჯგუფთან მუშაობა იმიტომ, რომ მასში სულ “გოგონები“ ან სულ „ბიჭები“ არიან. თავისუფალი თამაშის დროს უარს ამბობენ საწინააღმდეგო სქესის არჩევაზე. მაგ: „– აუ, მას, ჩვენ ბიჭური თამაში გვინდა, გოგოები კი ასე ვერ ითამაშებენ!“

„გენდერი – ეს ტერმინი მეცნიერებაში სოციალური სქესის აღმნიშვნელად გამოიყენება. სქესი დაკავშირებული ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიკურ სხეულებრივ განსხვავებებთან. ცნება „გენდერი“ კი მიუთითებს მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე. სქესი ბიოლოგიურად არის განსაზღვრული, გენდერი კი სოციალური და კულტურული ფაქტორებით არის განპირობებული და აღნიშნავს ქალისა და მამაკაცის სოციალურად ნასწავლი ქცევების, თვისებებისა და დამოკიდებულებების ნაკრებს. ბავშვი დაბადებიდანვე განეკუთვნება ბიოლოგიურ კატეგორიას - სქესს მდედრობითი ან მამრობითი. აღზრდის პროცესში კი ხდება მათი გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბება. გოგონები და ბიჭები სხვადასხვაგვარ გამოცდილებას იღებენ და ითავისებენ არსებულ გენდერულ როლებს მოცემულ კულტურაში“ – ასე ვკითხულობთ სამოქალაქო განათლების ლექსიკონში.

აქვეა მოცემული განმარტება გენდერულ თანასწორობაზეც, რაც ნიშნავს, „ თანაბარ შესაძლებლობებს, მონაწილეობას და ორივე სქესის გამოჩენას საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარ დონეზე. გენდერული თანასწორობა არ უნდა გავიგოთ როგორც გენდერული მრავალფეროვნების, არამედ პირიქით, როგორც გენდერული უთანასწორობის საწინააღმდეგო. ის მიზნად ისახავს ქალების და მამაკაცების საზოგადოებაში სრული მონაწილეობის წახალისებას . ისევე როგორც ადამიანის უფლებებისთვის, გენდერული თანასწორობისთვის საჭიროა მუდმივი ბრძოლა, დაცვა და მხარდაჭერა, რადგან გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია.“

დღეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მშობლის წინაშე არის ოჯახში გენდერული სტერეოტიპებისგან დაცლილი აღმზრდელობითი სივრცე, რათა გოგონებსა და ბიჭებს ერთნაირად მიეცეთ განვითარების შესაძლებლობა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს გამოწვევა ეხება არა მხოლოდ ოჯახს , არამედ სასკოლო საზოგადოებასაც, რადგან სკოლა არის ის ერთ-ერთი ინსტიტუცია, სადაც საფუძველშივე ხელი უნდა შეეწყოს ბავშვის სამოქალაქო ცნობიერების სწორად ფორმირებას.

მოსწავლეებისგან ხშირად მომისმენია და ალბათ ბევრი საკუთარ თავსაც ამოიცნობს მსმენელის რანგში:

„– აუ, რა გოგოსავით ტირი, ბიჭი არა ხარ?“
„– მას, ჩემს ჩანთას ადამიანი ობობა ახატია და დაჩიმ დამცინა, გოგოს ბიჭის ჩანთა რად გინდაო“ .

„– ეეე, რას წიკვინებ გოგოსავით?“
„– მას, შეგიძლიათ გამიცვალოთ? ლურჯი ბარათი შემხვდა, ნინიმ მითხრა, ეგ რად გინდა, ბიჭის ფერიაო და აღარ მინდა“... და სხვა მრავალი მსგავსი გამონათქვამები, რაც, რა თქმა უნდა, სტერეოტიპული დამოკიდებულების სახეებია.

ჩვენ ირგვლივ ხშირია ამგვარი სტერეოტიპული შეხედულების სავალალო შედეგები. წუხილს გამოვთქვამთ, პროტესტს ვაცხადებთ, ბევრს ვმსჯელობთ, მაგრამ თითქოს არაფერი იცვლება. იქნებ გამოსავალი სწორედ საფუძველშივე მიგნებულ პრობლემაში უნდა ვეძებოთ. იქნებ თავიდანვე რომ მეტად დავაკვირდეთ, მეტად მოვინდომოთ და აღმოვაჩინოთ ის, ასეთ შედეგებამდეც აღარ მივიდეთ. არ ვიცი რა გზით, მაგრამ ადრეული ასაკიდანვე დაწყებული ზრუნვა, ალბათ საწინდარი იქნება მოსწავლეების დამოკიდებულებების სწორად წარმართვა/ჩამოყალიბების პროცესის.

მიუხედავად დიდი მითქმა-მოთქმისა და განსჯისა, 2018 წლიდან განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მესამე და მეოთხე კლასში ოფიციალურად ისწავლება საგანი „მე და საზოგადოება“ . იგი მოიცავს ისეთ საჭირო და სავალდებულო თემებს, როგორიცაა:

- ჩემი ოჯახი;

- სასკოლო გარემო, მეგობრები, თანატოლები;
- გარემო, რომელშიც ვცხოვრობ;
- სად და როგორ ვიღებ განათლებას?
- მედია და ინფორმაცია;
- მე და ჩემი ქვეყანა.

რაც აქვე მოიაზრებს შემდეგ სამიზნე ცნებებს: საზოგადოება, ინსტიტუცია, ზრუნვა, გეგმა/დაგეგმვა და ცვლილებები.

სწორედ ეს საგანი ითვალისწინებს ისეთ საკითხზე მუშაობას, როგორიცაა გენდერი და გენდერული თანასწორობის საფუძვლები. ვაღიაროთ, რომ 9-10 წლის მოსწავლეებთან გაკვეთილზე ამ ტერმინებით ვერ ვისაუბრებთ, ამიტომ მათთვის მეტად გასაგები რომ იყოს, ჩანაცვლებულია მარტივი განმარტებებით – „ჩვენ – ბიჭები და გოგონები“.

გაკვეთილზე საკითხის შესწავლას ბევრად აადვილებს სხვა საგნისა თუ გამჭოლი კომპეტენციის ჭრილში მუშაობა. პროცესს ასევე საინტერესოსა და შედეგზე ორიენტირებულს ხდის რეალური შემთხვევების ანალიზი, დისკუსია და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება .

გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლე შეძლებს სიტყვა ტოლერანტობის გააზრებას სქესის კონტექსტში, ჰეტეროგენულ ჯგუფებში მუშაობას, ლიტერატურულ და სიტუაციურ ამოცანებზე დაყრდნობით პირადი დამოკიდებულების გამოხატვას, პრობლემის გამოკვეთას, გადაჭრას და დასკვნების გაკეთებას. შეიმუშავებენ რეკომენდაციებს კლასისთვის.

ესგ-ს სტანდარტი , რომელიც უშუალოდ თემასა და აქტივობებს ეხმიანება:

ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი საკომუნიკაციო სიტუაციის ადეკვატური სამეტყველო ქცევის უნარის გამოვლენა.

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

საზ.მეც.დაწყ.(I).10. ღირებულებების (მაგ. ეთიკური ქცევის ნორმების დაცვა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა,) რეალურ სიტუაციებთან დაკავშირება;

საზ.მეც.დაწყ.(I).13. ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერება, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გააზრება;

საზ.მეც.დაწყ.(I).14. ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების, სქესის მქონე ადამიანების მიმართ;

საზ.მეც.დაწყ.(I).16. კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა.

რატომ არის პრობლემა აქტუალური?

მოსწავლეებმა დაწყებით კლასებში ხშირად იციან დიფერენცირება „ჩვენ ბიჭები“ და „ჩვენ გოგონები“. ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვი აპროტესტებს საწინააღმდეგო სქესთან ერთად ერთ მერხთან ჯდომას. ან თუნდაც არ სურს ჯგუფთან მუშაობა იმიტომ, რომ მასში სულ “გოგონები“ ან სულ „ბიჭები“ არიან. თავისუფალი თამაშის დროს უარს ამბობენ საწინააღმდეგო სქესის არჩევაზე. მაგ: „– აუ, მას, ჩვენ ბიჭური თამაში გვინდა, გოგოები კი ასე ვერ ითამაშებენ!“

გარდა ამისა გაკვეთილი ხელს შეუწყობს ისეთი **გამჭოლი კომპეტენციის** განვითარებას, როგორიცაა **სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია.** სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

ქვემოთ გთავაზობთ პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილებისთვის რამდენიმე აქტივობას.

აქტივობა 1 – ბავშვთა უფლებები

გამოწვევისთვის გაკვეთილი შეგიძლიათ დაიწყოთ მცირე ანიმაციური ვიდეო-რგოლის „კალათბურთის“ ჩვენებით, რომელშიც ნათლად ჩანს პრობლემა და ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. ვიდეო-რგოლის ჩვენების შემდეგ შევეცადოთ, მოსწავლეებმა თავად გამოკვეთონ მასში მოცემული პრობლემა და მისი გადაჭრის ვარიანტი. აუცილებელია, მოსწავლეებმა დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია და შეხედულება პრობლემის ირგვლივ. შეაფასონ ამბის დასასრული : მომეწონა, არ მომეწონა, ვისი ქცევა იყო დასაძრახი და რატომ? რა რჩევებს მისცემდით თქვენს თანატოლებს ამ ფილმიდან? და ა. შ.

აქტივობა 2. – ჯგუფური მუშაობა „რა ახასიათებთ გოგონებს და ბიჭებს?“

დისკუსიის დასრულების შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ წაუკითხავს მე-2 მუხლს ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციიდან:

„მუხლი 2
სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ყველა ბავშვის უფლება. არ უნდა მოხდეს რაიმე სახის დისკრიმინაცია არავითარი მიზეზით. მათ შორის ისეთებით როგორიცაა , რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია და სხვა განსხვავებული შეხედულებები. წარმომავლობა, ქონებრივი მდგომარეობა თუ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა.“

და ბავშვებს ყურადღებას გააამახვილებინებს ისეთ სიტყვაზე როგორიცაა სქესი – ბიჭები და გოგონები, აძლევს ახალ ინსტრუქციას ჯგუფური მუშაობისთვის:

კლასს ყოფს ბიჭებად და გოგონებად (ორი ბიჭების ჯგუფი და ორი გოგონების ჯგუფი, რის საშუალებასაც მოსწავლეთა რაოდენობა იძლევა). ურიგებს სამუშაო მასალას და დამხმარე სიტყვების საშუალებით ბიჭების ერთ ჯგუფს სთხოვს, შეავსონ ბიჭების მახასიათებლები, ხოლო მეორეს – გოგონების მახასიათებლები. იმავეს იმეორებს გოგონების ჯგუფთან. ჯგუფის ერთ ნაწილს სთხოვს, შეავსონ ბიჭების მახასიათებლები, ხოლო მეორეს – გოგონების. დასრულების შემდეგ ჯგუფები წარადგე-

ნაბიჯი 1: ამ სიტყვებიდან აარჩიეთ რომელი ახასიათებს გოგონებს და რომელი ბიჭებს.

ნაბიჯი 2: აარჩიეთ რომელი თვისებები აქვთ მათ საერთო.

მახასიათებლები: სიფრთხილე, მორიდებულობა, ერთგულება, თავდაჯერებულობა, სიამაყე, სიკეთე, სილაღე, მგრძნობიარობა, მხიარულება, წესიერება, სიმტკიცე, სინაზე, მოამბოხებლობა, მშრომელობა, ღონიერება, პოზიტიურობა, სიმედიო

აღნიშნეთ, რა მოგეწონათ ამ ამბავში.

დაწერეთ, რა უწყობს ხელს ადამიანების მეგობრობას?

სიტუაცია 3 – წიგნების ფესტივალზე:

– ისა, მამა, აი, პეპის წიგნი რომ ავიღოთ? - მისდევს გასასვლელისკენ წასულ მამას 9 წლის ბიჭუნა, რომელსაც პეპის წიგნი ჩაუხუტებია. შორიახლოს დედაც დგას.
– დადე, შვილო! – ეუბნება დედა შვილს.

მამა შვილისკენ მოხედავს და ამბობს:
– რად გინდა, ბიჭო, პეპი, ეგ გოგოს წიგნია!
ეცბუნებული ბავშვი თავს იმართლებს:
– არა, მა, ისე, ვიფიქრე, ლუკას წავუღებთ-მეთქი.
– რად უნდა, ბიჭო, ლუკას ეგ წიგნი, ისიც გოგო ხომ არ არის? დადე თავის ადგილზე!

არც წიგნს და არც ბავშვს აღარ უყურებს მამა, ისე გადის წიგნის მაღაზიიდან. ბიჭი ცივად დებს წიგნს და მისდევს მამას.

რაში მდგომარეობს პრობლემა: რა არის ამის მიზეზი: თქვენ როგორ მოიქცეოდით მამის ადგილას? (ახსენით რატომ?)

სიტუაცია 4 – სკოლაში:

დასვენებაზე შემორბის გოგონა და მასწავლებელს მიმართავს:

– მას, ბიჭები არ გვათამაშებენ გოგონებს!
– რატომ? – კითხულობს მასწავლებელი.
– ამბობენ, ხელს გვიშლითო.

მასწავლებელი ეძახის ბიჭებს და ეკითხება, თუ რატომ არ თამაშობენ ერთად.

„– აუ, მას, ჩვენ დაჭერობანა გვინდა , გოგოები კი სწრაფად ვერ დარბიან!“– პასუხობენ ბიჭები.

გამოკვეთეთ პრობლემა და დაეხმარეთ მასწავლებელს ამ პრობლემის მოგვარებაში.

სიტუაცია 5 – საკლასო ოთახში:

– მას , თემო ამბობს, რომ მე ბიჭის რვეული მაქვს – ამბობს გოგონა.
– თემო, რატომ ფიქრობ, რომ მას ბიჭის რვეული აქვს? – ეკითხება მასწავლებელი თემოს.
– მასწავლებელო, ნიას რვეულს მაქ-ქვინის მანქანა ახატია და მანქანები ხომ ბიჭებს მოსწონთ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ის ბიჭს უფრო შეეფერება ვიდრე გოგოს.

გამოკვეთეთ პრობლემა და დაეხმარეთ მასწავლებელს ამ პრობლემის მოგვარებაში.

აქტივობა 6 – ასოციაციურ რუკაზე მუშაობა

განხილული მასალის გამთლიანების მიზნით მოსწავლეები ავსებენ მზის გამოსახულებიან რუკას. დასახელებული სიტყვებიდან მზეს სხივებად აწებებენ იმ ქცევებს, რაც გოგონებისთვისაც შესაძლებელია და ბიჭებისთვისაც. აღმოაჩენენ, რომ ყველა სხივი თავის ადგილას აღმოჩნდა და მზეც გაბედნიერდა ამით. შეეცადეთ, ბავშვებმა თავად გამოიტანონ დასკვნა, თუ რამ გააბედნიერა მზე.

„ ჩვენ განსხვავებულები ვართ, მაგრამ შეგვიძლია ერთად...“



აქვე შეგიძლიათ შესთავაზოთ ცხრილი მონაცემთა ანალიზისთვის, ვინ რომელ პოსტერს უჭერს მხარს და მისცეთ საშუალება, თავად დაითვალონ შედეგები, გამოიტანონ დასკვნები, რაც შემდგომ უკვე დაეხმარებათ გაკვეთილის შეფასებაში.

პოსტერები	ხმათა რაოდენობა

თვითშეფასება – საბოლოო მდგომარეობის შეფასებისთვის შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ შუქნიშნის ფერების გამოყენება.

პრობლემა აღარ არსებობს

პრობლემა ნაწილობრივ გადაიჭრა

პრობლემა ისევ აქტუალურია (ვერ გადაიჭრა)

დავალება – განმტკიცების მიზნით მოსწავლეებს საბოლოო დავალებად შესთავაზეთ პოსტერის შექმნა.

ინსტრუქცია: გადადგით ნაბიჯი გოგონებსა და ბიჭებს შორის მეგობრობის გაღრმავების მიზნით. ამაში დაგეხმარებათ ილუსტრირებული ბარათები, რომელსაც შექმნით „ვსწავლობთ თამაშით“ პროგრამის გამოყენებით(შესაძლებელია იყოს ხელნაკეთიც). იგი უნდა შეიქმნას მეგობრისთვის (ბიჭებმა გოგონებისთვის და გოგონებმა ბიჭებისთვის), რომელზეც დაწერთ, რა გამოსდით მათ ყველაზე კარგად. არ დაგავიწყდეთ კეთილი, თბილი და გულწრფელი სურვილები.

ძვირფასო მასწავლებლებო!
არც თქვენ დაგავიწყდეთ ბარათის შექმნა, რადგან ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ, სხვა დიდ ადამიანებთან ერთად, ისინი ჩვენც გვბაძავენ. ამიტომაცაა ასე მნიშვნელოვანი, რომ ჩვენგან აიღონ მათ საუკეთესო მაგალითი.

სრული გაკვეთილის გეგმის ნახვას შეძლებთ აქ , დამხმარე მასალის ნახვას კი ამ ბმულზე.

მარიამ გოდუაძე

როცა კლასში რთული ქცევის ბავშვია

როცა კლასში რთული ქცევის ბავშვია, სხვა მოსწავლეთა ქცევის მართვაც რთულდება და მათ მიერ შედგენილი, კედელზე გამოკრული წესები საკმარისი აღარ არის. მაგრამ ვიდრე ქცევის რეგულირებაზე დავიწყებდეთ ფიქრს, უნდა შეგვეძლოს რთული ქცევის იდენტიფიცირება და იმის ზუსტად ამოცნობა, როდის შეიძლება მივიჩნიოთ ბავშვის ქცევა პრობლემურად.

როცა კლასში რთული ქცევის ბავშვია, სხვა მოსწავლეთა ქცევის მართვაც რთულდება და მათ მიერ შედგენილი, კედელზე გამოკრული წესები საკმარისი აღარ არის. მაგრამ ვიდრე ქცევის რეგულირებაზე დავიწყებდეთ ფიქრს, უნდა შეგვეძლოს რთული ქცევის იდენტიფიცირება და იმის ზუსტად ამოცნობა, როდის შეიძლება მივიჩნიოთ ბავშვის ქცევა პრობლემურად.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ქცევა მაშინ არის პრობლემური, როდესაც ის თავად ბავშვისა და მისი გარემოსთვის მნიშვნელოვან სირთულეებს წარმოშობს. ეს სირთულეები შეიძლება ხელს უშლიდეს ბავშვის ნორმალურ განვითარებას და უარყოფით გავლენას ახდენდეს მის აკადემიურ მიღწევებზე.

თუ ქცევა ზიანის მომტანია სხვისთვის, ზიანს აყენებს ფიზიკურ გარემოს, ხელს უშლის ბავშვის სოციალურ ურთიერთობებს, იწვევს მის სოციალურ იზოლაციას და/ან არ შეესაბამება სოციალურ თუ კულტურულ ნორმებს, ეს პრობლემური ქცევაა და აუცილებელია იმ სამი მახასიათებლის ცოდნა, რომელთა მიხედვითაც ასეთ ქცევას ამოიცნობენ. ესენია **სიხშირე, ინტენსივობა** და **ხანგრძლივობა.**

სიხშირე გულისხმობს კონკრეტული ქცევის გამოვლენის რაოდენობას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, მაგალითად, გაკვეთილის მსვლელობისას რამდენჯერ თქვა მოსწავლემ უარი დავალების შესრულებაზე. ქცევის გამოვლენის სიხშირეზე დაკვირვება მნიშვნელოვანია, რათა განისაზღვროს ჩარევის სტრატეგია პრობლემური ქცევის სიხშირის შესამცირებლად და საბოლოო ჯამში – მის ჩასაქრობად.

ინტენსივობა ქცევის გამოვლენის სიძლიერეს გულისხმობს. რაც უფრო ძლიერად არის გამოხატული ქცევა, მით უფრო მაღალია მისი ინტენსივობის მაჩვენებელი. მაგალითად, თუ ბავშვი ჩვენი თხოვნის პასუხად ამბობს: „არ მინდა“, – ეს დაბალი ინტენსივობის ქცევაა. იგივე ქცევა შეიძლება გამოიხატოს უკიდურესად ინტენსიურად, მაგალითად, ხმამაღალი ყვირილით. ინტენსივობის გაზრდის მაჩვენებელია ისიც, როცა ქცევას ემატება ახალი ელემენტები, მაგალითად, წინააღმდეგობას და ყვირილს თან ახლავს ტირილი, ფეხების ბაკუნი და მაგიდიდან ნივთების გადმოყრა.

ქცევის ინტენსივობის შეფასება შესაძლებელია ქცევის მაქსიმალურად ობიექტური აღწერით და შესაბამისი ჩანაწერების წარმოებით. რა თქმა უნდა, საკლასო ოთახში საგნის მასწავლებელს გაუჭირდება ქცევის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. ამდენად, ქცევის მართვის სპეციალისტის, სპეციალური მასწავლებლისა თუ ფსიქოლოგის კონსულტაცია და დახმარება აუცილებელია.

ხანგრძლივობა გულისხმობს, რამდენ ხანს გრძელდება ქცევა. მაგალითად, რამდენ ხანს ტირის და აბაკუნებს ფეხებს ბავშვი. ქცევის ხანგრძლივობა უნდა გაიზომოს წუთებისა და წამების ზუსტი აღნუსხვით.

რთულ ქცევაზე საუბრისას სპეციალისტები ხაზს უსვამენ ქცევის გამომწვევ მიზეზებს, რომლებსაც სამ კატეგორიად ყოფენ:

1. შინაგანი/ინტერნალური მიზეზები:
   - ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევა;
   - ემოციური და ქცევითი დარღვევები;
   - დასწავლის უნარის დაქვეითება;
   - ყურადღების პრობლემები და ჰიპერაქტიურობა;
   - მეტყველების დარღვევა და სხვ.

2. ფიზიკური გარემო:
   - შეუსაბამო სასკოლო გარემო, როდესაც კლასის მოწყობა და არსებული რესურსები არ შეესაბამება ბავშვის საჭიროებებს;
   - შეუსაბამო ფიზიკური გარემო სახლში, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ოჯახის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით ან ბავშვის საჭიროებათა შესახებ ინფორმაციის უქონლობით.

3. სოციალური გარემო:
   - დისფუნქციური ოჯახი და ბავშვის საჭიროებათა უგულებელყოფა;
   - ოჯახის წევრებისა და მასწავლებლების მხრივ უხეში, სასტიკი, არათანმიმდევრული აღზრდის სტილი;
   - მშობლების უთანხმოება;
   - თანატოლების გავლენა; ძალადობა, ბულინგი.

ეს გავრცელებული მიზეზებია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სხვა მიზეზებსაც წავაწყდეთ და კლასზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ერთსა და იმავე დროს საქმე გვაქვს როგორც ცალკეულ უნიკალურ ინდივიდებთან, ისე მათ მთლიანობასთან. როდესაც გვსურს, კლასში ბავშვის ქცევა შეიცვალოს, უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება ამის განხორციელება მთელ კლასთან მიმართებით. ეს, რა თქმა უნდა, რთული ამოცანაა, მაგრამ არა შეუძლებელი.

თუ ქცევა ზიანის მომტანია სხვისთვის, ზიანს აყენებს ფიზიკურ გარემოს, ხელს უშლის ბავშვის სოციალურ ურთიერ–თობებს, იწვევს მის სოციალურ იზოლაციას და/ან არ შეესაბამება სოციალურ თუ კულტურულ ნორმებს, ეს პრობლემური ქცევაა და აუცილებელია იმ სამი მახასიათებლის ცოდნა, რომელთა მიხედვითაც ასეთ ქცევას ამოიცნობენ.

ქცევის მიზნები

თუ ქცევის საშუალებით სასურველი მიზანი მიიღწევა, იზრდება „წარმატებული“ ქცევის მრავალჯერადი გამოვლენის ალბათობა, ქცევის შენარჩუნება იმავე ან სხვა მსგავს სიტუაციებში.

გამოყოფენ ქცევის ორ ძირითად მიზანს:

1. **სასურველის მიღება,** რაც დაკავშირებული უნდა იყოს საყვარელი სათამაშოს, საკვების, ნებისმიერი ნივთის მიღებასთან, საყვარელ გარემოში დარჩენის სურვილთან, სენსორულ სტიმულაციასთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს შეხებით, მოფერებით, მოძრაობით გარკვეული შეგრძნებების მიღებას. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ტაშის შემოკვრა, სტერეოტიპული მოძრაობები. სენსორული სტიმულაცია თვითგანმამტკიცებელი ქცევაა, რადგან თავად ქცევაა დაკავშირებული სასურველსა და სასიამოვნოსთან.

ბავშვის ქცევა შესაძლოა გამოწვეული იყოს ყურადღების ცენტრში მოქცევის სურვილით. მასწავლებლები, მშობლები და ოჯახის სხვა წევრები ხშირად დარწმუნებულნი არიან, რომ ბავშვი ისედაც საკმარის ყურადღებას იღებს და შესაძლოა გამოეპაროთ, რომ პრობლემური ქცევის მიზანი ყურადღების მიღებაა. სკოლაში ამ მიზნისკენ მიმართული ქცევა შესაძლოა უკავშირდებოდეს ნეგატიურ დემონსტრატიულობას, კლასის გამრთობის იმიჯის შექმნას.

2. **არასასურველის არიდება** – ამ შემთხვევაში ქცევა შესაძლოა ბავშვისთვის რაიმე არასასურველის არიდების საშუალება იყოს. არასასურველი შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი, მოვლენა ან ადამიანი, რომელიც ბავშვისთვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დისკომფორტის წყაროა.

ქცევებზე მუშაობა საჭიროა არასასურველი ქცევის შესამცირებლად/თავიდან ასაცი-

ლებლად და ახლის, სოციალურად მისაღების განსამტკიცებილად.

დადებითი განმტკიცება

არსებული ქცევის შეცვლას ან ახალი, პოზიტიური ქცევის დასწავლას ხელს უწყობს დადებითი განმტკიცება. განსაზღვრული ქცევის გამოვლენისას ადამიანი იღებს მისთვის სასურველ მატერიალურ ან არამატერიალურ სტიმულს. ქცევის გამოვლენის შედეგად სასურველის მიღება ზრდის ალბათობას, რომ ადამიანი შემდგომშიც ეცდება, ასევე მოიქცეს.

სტიმულებს, რომლებიც თან ახლავს ქცევას და ზრდის მისი გამოვლენის ალბათობას, განმამტკიცებლები ეწოდება. ისინი უამრავი სახისაა. გამოყოფენ განმამტკიცებლების რამდენიმე ზოგად კატეგორიას:

- **კვებითი** – ნებისმიერი საკვები, რომელიც სასურველია ბავშვისთვის (ბანანი, ნაყინი, შოკოლადი);
- **შეგრძნებითი** – სასიამოვნო მუსიკის მოსმენა, საქანელაზე ქანაობა. შეგრძნებითი განმამტკიცებლები გულისხმობს განსაზღვრული აქტივობით სასურველი შეგრძნებების მიღებას;
- **ბუნებრივი, აქტივობითი** – ნებისმიერი აქტივობა, რომელიც სასურველია ბავშვისთვის, დაწყებული კონკრეტული თამაშით, დამთავრებული მშობლებთან ერთად გასეირნებით;
- **მატერიალური** – ნებისმიერი ნივთი, სათამაშო, ჩანთა, ტანსაცმელი და სხვ.;
- **გადაცვლადი** – გულისხმობს სასურველი ქცევის გამოვლენის გზით დაგროვილ ნივთებს ან სიმბოლოებს (პლუსები, სტიკერები, ყულაბის სისტემა, რომელში მოგროვილი პირობითი ქულებიც განსაზღვრული რაოდენობის მიღწევის შემდეგ ბავშვისთვის ღირებულ საგანზე გადაიცვლება);
- **სოციალური** – გაღიმება, სიგელი, თვალის ჩაკვრა, ქება, შეხება, კომპლიმენტი;
- **პრივილეგირება** – სოციალური განმამტკიცებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა პრივილეგირება, რაც გულისხმობს ბავშვისთვის დამატებითი დროის მიცემას, დილით გვიან გაღვიძებას, ჯგუფის ლიდერობას და სხვ.

დადებითი განმტკიცების ტექნიკის გამოყენებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მითითებები:

- გამოყავით ქცევა, რომლის ფორმირებაც გსურთ.
- შეიმუშავეთ სამიზნე ქცევის აღწერილობა, რაც გულისხმობს მარტივი, არაორაზროვანი სიტყვებით ქცევის აღწერას.
- ქცევის განსამტკიცებლად შერჩეული განმამტკიცებელი მორგებული უნდა იყოს სუბიექტის მოთხოვნილებებს, ასაკს, უნარებს, იყოს მისთვის საინტერესო და სასურველი.
- განმამტკიცებელი მის მოსაპოვებლად საჭირო ძალისხმევის ტოლფასი უნდა იყოს. შეარჩიეთ რამდენიმე სახის განმამტკიცებელი, რომ ბავშვს არ მობეზრდეს.
- ბავშვი სასურველი ქცევის გამოვლენისთანავე უნდა დაჯილდოვდეს.
- პირველ ეტაპზე სასურველთან მიახლოებული ქცევის მცდელობისთვისაც დააჯილდოეთ.
- როდესაც ქცევა განმტკიცდება და ჩამოყალიბდება, განმამტკიცებლის გამოყენება ნელ-ნელა შეამცირეთ.

თუ ქცევის მონიტორინგმა აჩვენა, რომ სასურველი ქცევის სიხშირე არ გაზრდილა, შეამოწმეთ, რამდენად კონკრეტული და მკაფიოა მიზანი, რამდენად გასაგებია ის ბავშვისა და მასთან მომუშავე პირებისთვის. გადაამოწმეთ შერჩეული განმამტკიცებელი – გადაჭარბებული ხომ არ არის, ღირებულია თუ არა ბავშვისთვის ის, რასაც სთავაზობთ სამიზნე ქცევის გამოვლენის სანაცვლოდ და, საერთოდ, არსებობს თუ არა იმ ქცევის ფორმირების საჭიროება, რომელიც მიზნად გაქვთ დასახული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქცევის მართვა, მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის, თბილისი, 2017

თამარ მურუსიძე

ინტერნეტმაღაზია – კომპლექსური დავალების შეფასება სოლოტაქსონომიით

სოლო – არის დაკვირვებადი სწავლის შედეგების სტრუქტურა, რომელიც იძლევა მოსწავლის ნამუშევრის ხარისხისა და სწავლის შედეგების კლასიფიცირების საშუალებას. ის შემეცნების დონის ხუთი განზომილე–ბისგან შედგება.

ყოველდღიურად ვადევნებ თვალს, საით მიდიან მოსწავ-ლეები, ვაძლევ მიმართულებას, რათა არ ასცდნენ მიზნისაკენ მიმავალ გზას. ყველამ იცის, რომ განმავითარებელი შეფასება სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. განმავითარებე-ლი შეფასების ინსტრუმენტე-ბით ვაგროვებ ინფორმაციას მოსწავლის გაგება-გააზრების დონის შესახებ, რაც საშუალე-ბას მაძლევს, ხელი შევუწყო მოსწავლეთა პროგრესს და სწავლის პროცესი გავაუმჯო-ბესო.

სოლოტაქსონომიაც განმავითა-რებელი შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლითაც მოსწავლეთა შედეგებს ვადგენთ. სოლო არის დაკვირ-ვებადი სწავლის შედეგების სტრუქტურა, რომელიც იძლევა მოსწავლის ნამუშევრის ხარის-ხისა და სწავლის შედეგების კლასიფიცირების საშუალებას. ის შედგება შემეცნების დონის ხუთი განზომილებისგან:

პრესტრუქტურული დონე – მოსწავლეს საკითხის შესახებ არ აქვს რელევანტური ინფორ-მაცია;

უნისტრუქტურული დონე – მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსა-ხილველი საკითხის შესახებ;

მულტისტრუქტურული დონე – მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსა-ხილველი საკითხის შესახებ;

მიმართებითი დონე – მოს-წავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურ-თიერთმიმართებებს საკითხ-თან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის;

აბსტრაქტული დონე – მოსწავ-ლეს სიღრმისეულად აქვს გააზ-რებული საკითხის არსი/არ-სობრივი მახასიათებლები, რაც ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების, სხვა მსგავს მაგალითებთან შე-დარების საშუალებას აძლევს; განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას უკავშირებს.

როგორც აღვნიშნე, სწორედ შეფასების ზემოთ აღნიშნული მეთოდიკა უდევს საფუძვლად მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებელ კომპლექსურ დავალებას. დგება დიფერენ-ცირებული ანალიზი საგნის სამიზნე ცნებებთან მიმარ-თებით სოლოტაქსონომიით შეფასების დონეზე. წარმო-გიდგენთ შეფასების რუბრიკას სოლოტაქსონომიის მიხედვით. კომპლექსური დავალების პრე-ზენტაციის დროს მოსწავლემ ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერა, როგორ შეასრულა დავალება, უპასუხა მასწავლებლისა და თანაკლასე-ლების შეკითხვებს.

სოლოტაქსონომიის მოდელის საშუალებით (დაკვირვებადი სწავლის შედეგების სტრუქტუ-რა) გავარკვიე, როგორ ესმის მოსწავლეს, რასაც სწავლობს და რა პრობლემებს შეიძლება შეეჯახოს სასწავლო პროცესში. აღვწერე მოსწავლის ნამუშე-ვარი, განვსაზღვრე მიღწევის დონე და მივეცი უკუკავშირი კომენტარის სახით წინსვლისა და სწავლის შესაფასებლად (წე-რილობით ან სიტყვიერად). კო-მენტარს ვაძლევ აუცილებლად წამახალისებელს, წარმატებაზე ორიენტირებულს, რათა მოსწ-რება გააუმჯობესოს. ვიყენებ „სენდვიჩის“ მეთოდს, რომელიც ამაღლებს მიღწევების გაუმჯო-ბესებისთვის მზაობის მუხტს.

წარმოგიდგენთ, როგორ შევაფასე ზოგიერთი მოსწავ-ლის ნამუშევრები დონეების მიხედვით:

დონე	განმარტება მათემატიკური სამუშაოს შესრულება, განმარტება დავალების ფარგლებში
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი?/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. განსახილველ საკითხს უკავშირებს პირად გამოცდილებას. 	მოსწავლემ შეასრულა დავალების ყველა პირობა. სიღრმისეულად გაიაზრა და დაუკავშირა საკითხი ცხოვრებისეულ მაგალითებს. შექმნა დავალების ანალოგი თანატოლებისთვის. • წარმოადგინა ინტერნეტმაღაზია სასწავლო რესურსის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით ან სახატავ ფურცელზე ფერადი ფანქრებით. • გასაყიდად გამოიტანა დავალების პირობაში მითითებული რაოდენობის (8) ნივთი. • თითოეულ საქონელს მიუწერა პირობის მიხედვით გათვალისწინებული ფასი – ლარებსა და თეთრებში. ფასები შეესაბამება რეალურს. • საქონლის ფასების ჯამი აკმაყოფილებს დავალების პირობას. რვავე ნივთის ფასების ჯამი არ აღემატება 600 ლარს და არის 500 ლარზე მეტი. • წარმოადგინა საქონლის ჯამის მიახლოებითი და ზუსტი გამოთვლა. • იყენებს შეკრება-გამოკლების სხვადასხვა სტრატეგიას. • პასუხობს დავალების ყველა შეკითხვას. • მსჯელობს დამაჯერებლად. • აკავშირებს დავალების პირობას რეალურ ცხოვრებასთან, მოჰყავს მაგალითები. • ქმნის მსგავს დავალებას 3 პირობით.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. 	მოსწავლე ასრულებს დავალების ყველა პირობას და მათ ერთმანეთთან აკავშირებს. გამოთვლები სწორია, მსჯელობა – ლოგიკური. • წარმოადგინა ინტერნეტმაღაზია სასწავლო რესურსის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით ან სახატავ ფურცელზე, ფერადი ფანქრებით. • გასაყიდად გამოიტანა დავალების პირობაში მითითებული რაოდენობის (8) ნივთი. • თითოეულ საქონელს მიუწერა პირობის მიხედვით გათვალისწინებული ფასი – ლარებსა და თეთრებში. ფასები შეესაბამება რეალურს. • საქონლის ფასების ჯამი აკმაყოფილებს დავალების პირობას. რვავე ნივთის ფასების ჯამი არ აღემატება 600 ლარს და არის 500 ლარზე მეტი. • წარმოადგინა საქონლის ჯამის მიახლოებითი და ზუსტი გამოთვლები. • იყენებს შეკრება-გამოკლების სხვადასხვა სტრატეგიას. • პასუხობს დავალების ყველა შეკითხვას. • მსჯელობს დამაჯერებლად.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველი საკითხის შესახებ. 	მოსწავლე ასრულებს დავალების რამდენიმე პირობას, თუმცა მათ ერთმანეთთან ვერ აკავშირებს. • წარმოადგინა ინტერნეტმაღაზია სასწავლო რესურსის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით ან სახატავ ფურცელზე, ფერადი ფანქრებით. • გასაყიდად გამოიტანა დავალების პირობაში მითითებული რაოდენობის (8) ნივთი. • თითოეულ საქონელს მიუწერა პირობის მიხედვით გათვალისწინებული ფასი – ლარებსა და თეთრებში. ფასები შეესაბამება რეალურს.

დონე	განმარტება მათემატიკური სამუშაოს შესრულება, განმარტება დავალების ფარგლებში
	• საქონლის ფასების ჯამი აკმაყოფილებს დავალების პირობას. რვავე ნივთის ფასების ჯამი არ აღემატება 600 ლარს და არის 500 ლარზე მეტი. გამოთვლებში აქვს მცირე ხარვეზი. • ერთმანეთთან ვერ აკავშირებს საქონლის ჯამის მიახლოებით და ზუსტ გამოთვლებს.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველი საკითხის შესახებ	მოსწავლემ შეასრულა დავალების ერთი მოქმედება • მოსწავლემ წარმოადგინა ინტერნეტმაღაზია და გასაყიდად გამოიტანა რვა ნივთი. მიუწერა ფასები შესაბამისი შეზღუდვით, ლარებსა და თეთრებში. რვავე ნივთი ერთი და იმავე სექციიდანაა. ან • მოსწავლის მიერ მაღაზიაში წარმოდგენილი ნივთების ფიქსირებული ფასები არ აკმაყოფილებს პირობას, თუმცა რვავე მათგანის ფასების ჯამი 500-დან 600 ლარამდეა.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხის შესახებ არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	ვერ გაიაზრებს ამოცანის პირობას, ვერ იწყებს დავალებას, ან შესაძლოა შექმნას „მაღაზია“ და გასაყიდად გამოიტანოს სხვადასხვა სახის რვა ნივთი.

	აღწერა	კომენტარი
აბსტრაქტული დონე	წარმოადგინა ინტერნეტმაღაზია სასწავლო რესურსის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით სამივე პირობის დაცვით. წარმოადგინა საქონლის ჯამის მიახლოებითი და ზუსტი მნიშვნელობა. იყენებს რიცხვების თვისებებს და გამოთვლის სხვადასხვა სტრატეგიას. გამოთვლები სწორია. მსჯელობს არგუმენტირებულად. აკავშირებს ამოცანას სხვა ყოფაცხოვრებისეულ მაგალითებთან, ქმნის ანალოგიურ პირობას თანაკლასელთათვის.	შენი ნამუშევარი შესანიშნავია, დავალების პირობის ყველა მოთხოვნა დაცულია და ყველა კითხვაზე სწორი პასუხი გაქვს. ამოცანას აკავშირებ სხვა ყოფით მაგალითებთან, ქმნი მსგავს პირობას. მოგყავს მყარი არგუმენტები. შენი მსჯელობის დასასაბუთებლად. შესანიშნავი იყო ნამუშევრის გასიტყვება, მსჯელობა დამაჯერებელია, თანმიმდევრული.
მიმართებითი დონე	წარმოადგინა ინტერნეტმაღაზია სასწავლო რესურსის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით (ან სახატავი საშუალებებით) სამივე პირობის დაცვით.	კარგი ნამუშევარი გაქვს. დავალების ყველა კითხვას სრულყოფილად პასუხობ. გამოთვლები სწორია.

	აღწერა	კომენტარი
	წარმოადგინა საქონლის ჯამის მიახლოებითი და ზუსტი მნიშვნელობა. გამოთვლები სწორია. იყენებს რიცხვების თვისებებს და გამოთვლის სხვადასხვა სტრატეგიას, არგუმენტირებულად მსჯელობს უპირატესობებზე.	კარგი ნამუშევარი გაქვს. დავალების ყველა კითხვას სრულყოფილად პასუხობ. გამოთვლები სწორია. დაფიქრდი, მიღებულ გამოცდილებას როგორ დააკავშირებ სხვა საყოფაცხოვრებო საკითხებთან. დააკვირდი დავალების ალგორითმს და შექმენი მსგავსი პირობა. ძალიან მომეწონა შენ მიერ ორგანიზებული ონლაინმაღაზია და გამოთვლის თვალსაჩინო წარმოდგენა. ძალიან კარგია, რომ დავალების ყველა ნაბიჯის არგუმენტირებულად დასაბუთება შეგიძლია.
მულტისტრუქტურული დონე	შექმნა ონლაინმაღაზია მოცემული პირობების გათვალისწინებით, თუმცა მათ შორის კავშირებს ვერ ხედავს. ასრულებს მოქმედებებს ძირითადად ერთი სტრატეგიის გამოყენებით. გამოთვლებში აქვს მცირე ხარვეზები.	კარგია, რომ დავალება ძირითადად შეასრულე. გამოთვლები უმეტესად სწორია. მცირე ხარვეზების გამოსწორებას შეძლებ, თუ კიდევ ერთხელ გააზრებულად ნახავ დავალების პირობაში ჩაშენებულ სასწავლო ვიდეოებს და შეასრულებ სავარჯიშოებს. ეცადე, შენ მიერ შესრულებულ მოქმედებებს შორის კავშირები დაამყარო. ძალიან მომეწონა შენ მიერ ორგანიზებული ონლაინმაღაზიის დიზაინი. ნივთების ფასებიც რეალურთან ახლოსაა.
უნისტრუქტურული დონე	შექმნა ინტერნეტმაღაზია. დაალაგა ნივთები, მიუწერა ფასები, თუმცა დავალების ყველა პირობა ვერ შეასრულა. შეკრების მოქმედებაც ხარვეზებით აქვს დაწყებული.	კარგია, რომ შექმენი ონლაინმაღაზია და დალაგებულ ნივთებს ფასები მიუწერე, თუმცა ფასები აუცილებლად ლარებსა და თეთრებში უნდა ყოფილიყო. ფასთა ჯამი სწორად განგისაზღვრავს. მსგავსი შეცდომის თავიდან ასაცილებლად გირჩევ, ყურადღებით წაიკითხო დავალების ყველა პირობა. რიცხვებზე მოქმედებებში რომ გაიწაფო, უყურე დავალების პირობაში ჩაშენებულ ვიდეოგაკვეთილებს და შეასრულე მოქმედებები. მაღაზიის დიზაინი ძალიან მომეწონა.
პრესტრუქტურული დონე	ვერ გაიაზრა დავალების ვერც ერთი პირობა. არასწორად დაიწყო მუშაობა.	მომეწონა დაწყებული დავალება. მაღაზიაში ნივთები დალაგებული გაქვს. ცოტა მეტი ძალისხმევა რომ გამოგეჩინა და ყურადღებით წაგეკითხა, მომდევნო

	აღწერა	კომენტარი
პრესტრუქტურული დონე	მხოლოდ მაღაზია შექმნა და ნივთების დალაგებისას ვერც ერთი პირობა ვერ შეასრულა.	ნაბიჯებსაც თავისუფლად გადადგამდი. გირჩევ, პირობა რამდენჯერმე წაიკითხო და გაიაზრო, რას ითხოვს შენგან დავალება. რიცხვებზე მოქმედებებში რომ გაიწაფო, უყურე დავალების პირობაში ჩაშენებულ ვიდეოგაკვეთილებს და შეასრულე სავარჯიშოები. მოსაწონია, რომ დავალებაზე მუშაობა დაიწყე.

შეფასება მნიშვნელოვანია სწავლის მართვისთვის და აუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს. სოლოტაქსონომიით შეფასება კი შესანიშნავი შესაძლებლობაა მოსწავლეთა შედეგების დასადგენად და გასაუმჯობესებლად.

სოლოტაქსონომია დამეხმარა მოსწავლის დონის განსაზღვრაში, შედეგის თვალსაჩინოდ დანახვაში, სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენაში. მოსწავლეებთან ერთად ვიმუშავე იმ თემატური ერთეულის ცოდნის გაუმჯობესებაზე, რომელშიც ვმონაწილეობდით და შევაფასე სწავლა-სწავლების პროცესი. კიდევ ერთხელ გავიაზრე, რომ შეფასება მნიშვნელოვანია სწავლის მართვისთვის და აუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს. სოლოტაქსონომიით შეფასება კი შესანიშნავი შესაძლებლობაა მოსწავლეთა შედეგების დასადგენად და გასაუმჯობესებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა http://ncp.ge/ge/curriculum?subject=36&subchild=198
2. ქეთი ცერცვაძე. მათემატიკის გზამკვლევი კურიკულუმის შედგენისათვის. დამხმარე რესურსი მასწავლებლებისათვის (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით) https://clck.ru/SkNrc

ქეთო ნინიძე

საშლელები – რეპრესირებული ტკივილების მეტაფორა

მინდოდა დამეწერა, გასულმა წელმა მეტისმეტად მძიმე ახალგაზრდული ისტორიებით დაგვამახსოვრა თავი-მეთქი. თუმცა ეს განსაცდელი, ვირუსივით, 2020-ში არ დაბადებულა და არც მისი წასვლით დასრულებულა. მას გაცილებით დიდი ისტორია და რთული აგებულება აქვს. თუმცა პანდორას ყუთი თითქოს ერთიანად ამოიფრქვა შემზარავ ამბებად, სასოწარკვეთილ მიმიკებად, ფრაზებად, ქუჩის წარწერებად, გულისგამაწვრილებელ მელოდიებად და ჯერ კიდევ შეუჩერებლად აზიდებს ჩვენი ცნობიერების ბნელ კუნჭულებში გადავიწყებულ, უთქმელ ტრავმებსაც.

ვიცით – ადამიანური ტრაგედიები დროის, სივრცისა და სხვა პირობითობების მიღმაა. ისინი უკვე მოხდა. მათ ვერც შეცვლი, ვერც ჯადოსნური ჯოხის აქნევით გააქრობ. მე ვფიქრობ, გაკვეთილადაც ვერ გამოდგება.

ერთადერთი ეთიკური კითხვა, რაც შეიძლება ასეთ დროს საკუთარ თავსა და საზოგადოებას დაუსვა, ესაა: როგორ შევეცადეთ, შეგვეცვალა სამყარო უკეთესობისკენ ჩვენი მოსწავლეების, შვილების, მოზარდი მოქალაქეებისთვის? რით უპასუხეს სახელმწიფომ, მედიამ, ეკლესიამ და, რა თქმა უნდა, სკოლამ უშუალოდ მის წიაღში ამოფრქვეულ უბედურებებს? რა გამოსავალი, რომელი ახალი მიდგომა, ინსტრუმენტი, პლატფორმა შევთავაზეთ მოზარდებს, რათა მათ ერთმანეთის მიღება, დანდობა და თანამშრომლობა ესწავლათ?

საინტერესოა, ხელოვნებამ, მწერლობამ როგორ აირეკლა ეს პრობლემა. თუკი ლიტერატურა სარკეა, რომელიც ცხოვრებას ბაძავს, სადაც მჭვრეტელმა საკუთარი თავი უნდა ამოიცნოს, საკუთარი ტკივილები გვერდიდან დაინახოს და განიწმინდოს, უკეთესი გახდეს, რატომ არის ე.წ. ლიტერატურული კანონი სკოლაში სამუზეუმო ექსპონატივით ხელშეუხებელი?

მეტად სევდიანი ამბავია, რომ ყმაწვილი ადამიანების ხმა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ძალიან სუსტად ან თითქმის არ ისმის. იმ საამო და იშვიათ მცდელობებს კი, სადაც მწერლები მოზარდთა ენით ლაპარაკობენ, ლიტერატურის სახელმძღვანელოები ყურს უყრუებენ. რომელიც არ უყრუებს და ამ საჭიროებას თვალს უსწორებს, როგორც წესი, სახელმწიფო გრიფის გარეშე რჩება, თითქოსდა ლიტერატურული კანონიდან ერეტიკული თუ ნაივური გადახვევის გამო. დღემდე ერთი-ორი ავტორი თუ მაინც შეეცადა მსოფლიოს საყმაწვილო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების შემოტანას, მაქსიმუმ, დამხმარე რესურსების სახით, ეს სახელმძღვანელოები მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა არ მიიღო, როგორც „არაქართული“, „რთულად სასწავლებელი“ ან მოსწავლეთათვის „რთულად აღსაქმელი“. როგორც ჩანს, ქართულ ლიტერატურას სკოლაში მასწავლებელთა და საგნობრივი პოლიტიკის შემქმნელთა დიდი ნაწილი ხედავს როგორც სტერილურ, ხელშეუხებელ სამუზეუმო ექსპონატს, ნივთიერ ძეგლსა და საგანძურს. ამიტომ შორდებიან მოსწავლეები ლიტერატურას და არა იმიტომ, რომ უქნარა თაობა მოდის ან იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საყმაწვილო პრობლემებზე ვერ „გადმოითარგმნება“.

გამონაკლისები ისევ ცალკეული მასწავლებლების დიდი ძალისხმევის მიღწევებად უნდა მივიღოთ.

წარმოიდგინეთ, როგორი საინტერესო ინსტრუმენტი შეიძლებოდა ყოფილიყო ქართული

მიუხედავად იმ ფართო შესაძლებლობებისა, რითაც გლობალიზაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები აჯილდოებს ჩვენს შვილებს, მათ ფსიქოემოციურად, ინტელექტუალურად მთელი ამ სამი ათეული წლის შემდეგაც კი ვერ მოუშუშებიათ ჩვენი თაობის ღია ჭრილობები.

როგორ შევეცადეთ, შეგვეცვალა სამყარო უკეთესობისკენ ჩვენი მოსწავლეების, შვილების, მოზარდი მოქალაქეებისთვის? რით უპასუხეს სახელმწიფომ, მედიამ, ეკლესიამ და, რა თქმა უნდა, სკოლამ უშუალოდ მის წიაღში ამოფრქვეულ უბედურებებს? რა გამოსავალი, რომელი ახალი მიდგომა, ინსტრუმენტი, პლატფორმა შევთავაზეთ მოზარდებს, რათა მათ ერთმანეთის მიღება, დანდობა და თანამშრომლობა ესწავლათ?

ლიტერატურა მოზარდთა ფსიქოემოციური ან თუნდაც სამოქალაქო პრობლემების რეფლექსიისთვის. თუმცა თითქოს უხილავი ხელი არ აძლევს საშუალებას მოზარდებს, სიცხადე შეიტანონ თავიანთ ყოფაში, შეძლონ საკუთარი განცდების ვერბალიზება, დამოკიდებულებების შეფასება-გადაფასება, ქცევების მართვა, საბოლოოდ – სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ამ ბუნდოვან, ნისლიან ღირებულებრივ გარემოში ორიენტირება.

ეს დამთრგუნველი ბუნდოვანება და ბურუსი როგორც ჩვენი საზოგადოებრივი და სასკოლო ცხოვრების მეტაფორა კარგად გადმოსცა თამარ გეგეშიძემ თავის საყმაწვილო რომანში „საშლელები“. ტექსტი მრავალმხრივაა საინტერესო – თემატური დიაპაზონით, გმირებით, ავთენტური ამბებით, სწორი ინტერტექსტებით, თუმცა ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება, რაც წიგნისგან დამრჩა, სწორედ ეს ნისლიანი, ბუნდოვანი მიკროკლიმატია. ეს აღქმა შესაძლოა თავიდან ბოლომდე ჩემი სიყმაწვილის დავიწყებული ტრავმების გამოძახილიც იყოს, თუმცა, მე ვფიქრობ, ავტორის ძალიან გულწრფელი და ოსტატური თხრობის ეფექტია.

„საშლელები“ მოზარდების სასკოლო ცხოვრებაზე ცამეტი წლის ანას ენით გვიამბობს. თხრობა გულწრფელი და სადაა, სიფაქიზის მიუხედავად, დიდი პროტესტით დამუხტული. ესეც საკმაოდ უჩვეულოა, რადგან მსოფლიო ლიტერატურაში მოზარდების ჯანყი უმეტესად ყმაწვილი კაცების სპეციფიკურ, საკმაოდ უხეშ ენასთანაა გაიგივებული, ან იმ გოგოებთან, რომლებიც თითქოს სათქმელის ვალიდაციისთვის ბიჭებივით ლაპარაკს, ქცევას, პროტესტის „ბიჭური“ სტილით გამოხატვას ცდილობენ. მერვეკლასელი გოგონას მგრძნობიარე თხრობა კი თითქოს იისფერ ვენასავით ნატიფად და ზუსტად ფეთქავს ჩვენი ღონემიხდილი საყმაწვილო ლიტერატურის მაჯაზე. ეს ხმა, ცხადია, წინამორბედი გმირი გოგოების – ნაირა გელაშვილის ნიას („მე ის ვარ“), თეა ლომაძის მარიამის („წერილი ბოთლში“) ალტრუიზმით, ეიფორიით, გულწრფელობით, გამბედაობითაც საზრდოობს, თუმცა ბევრი თვითმყოფადი შტრიხი და ახალი კონტექსტი შეუძენია.

საერთოდ, უმწეო ბავშვის, მით უმეტეს, მგრძნობიარე გოგოს სულიერი სამყაროს გადმოშლა, როგორც ომის, რეჟიმის ან პატრიარქალური საზოგადოების ბრუტალურობის, დეჰუმანიზებულობის კონტრასტი, ლიტერატურასა და საყმაწვილო რომანშიც კარგად გამოცდილი ხერხია. ამ კონტექსტში არ შეიძლება არ გაგვახსენდეს თამთა მელაშვილის „გათვლა“, რომელიც ამგვარი მცდელობის ერთ-ერთი პირველი და ძალიან შთამბეჭდავი ნიმუშია თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

ამავე ხერხს მიმართავს თამარ გეგეშიძე. როგორც ჩვენში იტყვიან, „სიფრიფანა გოგოს“ ჭვრეტას, მის ეგზისტენციურ კითხვებს, ფაქიზ და წრფელ ამბოხს სალ კლდესავით ხვდება ქანცგაწყვეტილი დედებისა და ინფანტილური მამების, გულგრილი მასწავლებლებისა და ბრაზიანი მეზობლების მიერ გულმოდგინედ ნაშენი, ღირებულებრივად ეკლექტური, უკიდურეს მატერიალიზმსა და რელიგიურ მისტიციზმს შორის მუტანტ ურბანულ ნაგებობასავით ამოზრდილი, უსახური საზოგადოებრივი სტრუქტურა.

ანა მშრომელი და პატიოსანი ინტელიგენტების შვილია, თუმცა საზოგადოებაში, რომელიც ჰუმანიზმის კრიზისს განიცდის, ასეთი მშობლებისთვისაც კი ხშირად ნათესავ-მეზობლების აზრი, საზოგადოებრივი წესები და რიტუალები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი შვილების მიმართ ემპათია. ამგვარ საზოგადოებაში ბავშვი არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი ინდივიდი, თავისთავად ღირებული ქმნილება, რომელსაც თვითმყოფადი განცდები, სურვილები, ინტერესები აქვს. ამიტომ ანას დაბნეული მშობლები არცთუ იშვიათად უნებლიეთ უარყოფენ შვილების ინტერესებს, მათ განცდებს, მეორე მხრივ კი დიდი მონდომებით ცდილობენ, გაუმკლავდნენ მათ ასაკობრივ ახირებებს. ამის საპირისპიროდ, მოზარდები თავგანწირვით მიილტვიან თავისუფლებისკენ: ზოგი ლიტერატურულ წრეებში ეძებს ამ ძალას, ზოგი – ექსტრემალურ სპორტში.

მაგალითად, ანას უფროსი ძმა, კოსტა, სამთო ველოსპორტის ერთ-ერთი განხრით – დაუნჰილითაა გატაცებული. როგორც ჩანს, კოსტას არ აქვს ოჯახის მხარდაჭერის იმედი და ალბათ ამიტომ არ უმხელს მშობლებს თავისი გატაცების შესახებ. გზას, რომელსაც მათი მშობლები სიუჟეტური ქარგის განვითარებასთან ერთად გადიან, მათ სრულ ფერისცვალებამდე მივყავართ. რომანის

ფინალში მშობლებისთვის უმნიშვნელო ხდება საზოგადოებრივი აზრი და სრული თავდაჯერებით უჭერენ მხარს შვილის საყვარელ საქმიანობას, უფრო ზუსტად, წაახალისებენ მის სწრაფვას თავისუფლებისკენ. თითქოს თავიანთი სწორი ღირებულებრივი არჩევანითა და ჰუმანურობით, ალეგორიულად, ისინიც დიდი ნახტომით თავზე გადაევლებიან „მამათა“ და „შვილთა“ შორის გაჩენილ უზარმაზარ ნაპრალს, რომელზეც ეს წიგნი გვიამბობს.

მამათა და შვილთა სხვადასხვა „ორბიტაზე“ რბოლას, ბუნებრივია, განსაზღვრული ისტორიული, კულტურული და სოციალური კონტექსტიც აქვს. ლიტერატურაში ახალგაზრდობა იმთავითვე გაიგივებული იყო ჯანყთან, წრფელ შემართებასთან, ალტრუიზმთან, თუმცა არაერთი თანამედროვე კვლევა ამბობს, რომ Z თაობაში (Gen Z), აი, იმ თაობაში, რომელსაც გრეტა ტურნბერგი წარმოადგენს, ღირებულებრივი ალგორითმები არსებითად შეიცვალა. ამ თაობას გაცილებით დიდი მგრძნობელობა და პასუხისმგებლობა აქვს გარემოსა და ადამიანების მიმართ. ის მძლავრად არყევს, ყველაზე პატრიარქალური გაგებით, „მამათა“ მიერ შექმნილ ძალაუფლების პარადიგმას. ეს ეკოფემინისტური მოდელი კი ძალიან ახლო დგას „საშლელების“ პროტაგონისტი რომანტიკოსი (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) გოგოს ერთი შეხედვით უმწეო და იმავდროულად ძალუმ, წრფელ პათოსთან.

თეა ლომაძის „წერილი ბოთლში“ შემთხვევით არ გამხსენებია. ეს წიგნი თითქოს ინტერტექსტივით შემოდის „საშლელებში“ ანას თანაკლასელ ბათას თხზულებიდან „დედა სკოლაში მიდის“. ბიჭი დედამისის ბავშვობის ყველაზე ნათელ მოგონებას აღწერს, რომელიც მას სოხუმიდან მოჰყვება – გზას მწვანე ხეივნიდან და ზღვისპირა კენჭებიდან იქაური სკოლის ჭრიალა კარამდე. და მიუხედავად იმისა, რომ ანამ და მისმა მეგობრებმა ბევრი არაფერი იციან აფხაზეთზე, შესაძლოა, სწორედ ბათას დედის სიყმაწვილეა თეა ლომაძის წიგნის პროტაგონისტი მარიამი, ვისმა სევდიანმა და გულწრფელმა თხრობამ სოხუმის დაცემასა და დაკარგულ ბავშვობაზე ყველას გამორჩეულად დაგვამახსოვრა თავი.

მართალია, მას შემდეგ ფასადი შელამაზდა, მაგრამ არსებითად ბევრი არაფერი შეცვლილა საზო-

გადოებაში, სკოლასა და ოჯახში იმ თვალსაზრისით, რომ უთქმელი და გადავიწყებული ტრავმები ტრავმებად დარჩა. შესაძლოა, ოჯახები ეკონომიკურად წელში გაიმართნენ და, 90-იან წლებთან შედარებით, განათლებისა და პატიოსანი შრომის პერსპექტივაც გამოჩნდა, მაგრამ ამასთან ერთად ჩემი თაობის მშობლები უკიდურესი გაჭირვების შემდეგ უკიდურესმა მომხვეჭელობამ შეგვიპყრო. მატერიალისტური პრიორიტეტების მიღმა დარჩნენ შვილები, რომლებიც უდავოდ იღებენ უფრო ძვირად ღირებულ განათლებას, უფრო კარგადაც იმოსებიან, სწავლისა და გართობის საშუალებების დიდი არჩევანიც აქვთ, თუმცა ამ სიკეთეებისთვის გაცილებით დიდ ფასსაც იხდიან – მშობლებთან გატარებულ უფრო და უფრო მცირე დროს, უფრო ნაკლებ ყურადღებას, ნაკლებ ემპათიას, შესაბამისად, ნაკლებ მხარდაჭერასაც.

მეორე მხრივ, თავად ბავშვებიც ჩავაბით ამ დაძაბულ, შემგროვებლურ რბოლაში, რადგან ვასწავლეთ, რომ რაკი დრო ფულია, ის მხოლოდ მონეტიზებადი ცოდნის დასაგროვებლად უნდა დაიხარჯოს. ამ ქანცის გამწყვეტ მარათონში კი მოზარდებს აღარ რჩებათ მეგობრებთან ურთიერთობის, სილაღის, მოდუნების საშუალება; ვეღარ იცლიან სხვებსა და საკუთარ თავთან კომუნიკაციისთვის, საკუთარ განცდებსა და სხეულთან დიალოგისთვის.

90-იანების შემდეგ თითქოს სკოლაც დაოსტატდა ისეთი ტერმინებით თავის მოწონებაში, როგორიცაა „ინტერაქციულობა“, „კვლევითი უნარები“, „ფასილიტაცია“, „გუნდური მუშაობა“, „ინდივიდუალური მიდგომა“, „პროექტებით სწავლა“, თუმცა ამ ტერმინების სიმყიფე ბოლოდროინდელმა ამბებმა განსაკუთრებით მწვავედ გვაჩვენა. აღმოჩნდა, რომ სკოლა ისევ ის მოუქნელი, თვითკმარ სტრუქტურებსა და თეორიებზე ორიენტირებული ნაგებობაა, რომლის ცივი და დამთრგუნველი დერეფნების ნისლში ბავშვები, როგორც ინდივიდები, ორიენტაციას კარგავენ.

აღმოჩნდა, რომ განათლების ცენტრში არ მოიაზრება ბავშვი, მოზარდი, რომელიც თვითმყოფადი სუბიექტი კი არა, მხოლოდ ცოდნის მიმღები ობიექტია, „სუფთა დაფაა“. აღმოჩნდა, რომ სკოლაში ბავშვები კვლავ მარტო არიან ძალადობასთან, ჩაგვრასთან, საკუთარი სხეულის სიძულვილთან, სოციალურ უთანასწორობასთან, საგანმანათლებლო სირთულეებთან, უპასუხო და მიჩქმალულ განცდებთან, თვითუარყოფისადმი მომწამვლელ მიდრეკილებასთან და სკოლა, ცალკეული ბედნიერი შემთხვევების გარდა, მათ ამ პრობლემებთან გამკლავებაში ვერაფრით ეხმარება.

სწორედ ამ პრობლემების გარშემო ვითარდება „საშლელები“, რომელიც თამარ გეგეშიძის მეორე საყმაწვილო რომანია. უნდა ითქვას, რომ ეს ავტორი მუდამ დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით, თუმცა მაინც თამამად ახმოვანებს საზოგადოების ყველაზე მგრძნობიარე ნაწილის – მოზარდთა პრობლემებს და ამ მხრივ, ერთ-ერთი უიშვიათესია თანამედროვე ქართველ ავტორებს შორის.

ხშირად მიფიქრია: სულ რაღაც ოცდაათიოდე წელი გავიდა ჩემსა და ჩემი შვილების ბავშვობას შორის, არადა, ორი სხვადასხვა ეპოქაა სრულიად განსხვავებული სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კონფიგურაციებით. და მიუხედავად იმ ფართო შესაძლებლობებისა, რითაც გლობალიზაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები აჯილდოებს ჩვენს შვილებს, მათ ფსიქოემოციურად, ინტელექტუალურად მთელი ამ სამი ათეული წლის შემდეგაც კი ვერ მოუშუშებიათ ჩვენი თაობის ღია ჭრილობები.

როგორც ჩანს, ამ ტრავმების, მარცხის ისტორიების შესახებ ბევრი არაფერი დაწერილა, საკმარისად არ თქმულა სკოლაში, მედიაში თუ საკვირაო ქადაგებებზე. მეტიც, ამ „მემკვიდრეობას“, რომელსაც ახალი და ახალი თაობები ტვირთად ეზიდებიან, სკოლაც, ოჯახიცა და საზოგადოებაც პირდაპირ – დავიწყებით, მეტაფორულად – საშლელებით უპირისპირდებიან. არ ვიცი, რამდენად ახერხებს ეს ტრავმები გაქრობას, უფრო გადღაბნილ და ჭუჭყიან მტკიცებულებებად რჩება ჩვენს ისტორიასა და მეხსიერებაში. როგორც ანას მეგობარი თოკო ამბობს, დიდი ფანქარი უნდა გვქონდეს, რომ ჯერ ყველაფერი დავხატოთ, რისი წაშლაც გვინდა და მერეღა ვიფიქროთ მათ დავიწყებაზე. ეს არის ამ წიგნის მთავარი გზავნილიც და ზუსტი მეტაფორაც – ახალგაზრდა ადამიანების განცდების, ტკივილების, საფიქრალის მოხელთება და ფორმულირება.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ვწერ მასწავლებლისთვის“

შესანიშნავი დეკლამატორი მარკ ტვენი პირველი ლექციის ჩატარების წინ შიშით იყო შეპყრობილი, მაგრამ პირველივე წინადადებით აღაფრთოვანა მსმენელები. ეს ცნობილი პირველი წინადადება ასე ჟღერდა: „იულიუს ცეზარი მოკვდა, შექსპირი მოკვდა, ნაპოლეონი მოკვდა და მეც ვერ ვგრძნობ თავს მთლად ჯანმრთელად“.